



ლევან მიხეილაძის საზოგადოებრივი ფონდი
THE LEVAN MIKHEIDZE FOUNDATION



სოციალური კვლევისა და ანალიზის ინსტიტუტი



OPEN SOCIETY GEORGIA FOUNDATION
ფონდი ღირს საზოგადოებასა საქართველოში

სტუდენტზე ორიენტირებული საუნივერსიტეტო განათლების ხელშეწყობა

თბილისი

2015

სტუდენტზე ორიენტირებული საუნივერსიტეტო განათლების ხელშეწყობა

© ლევან მიქელაძის სახელობის ფონდი, 2015 წ., ნოემბერი

პროექტი განხორციელდა და ანალიტიკური მოხსენება გამოქვეყნდა ფონდ „ღია საზოგადოება - საქართველოს“ ფინანსური მხარდაჭერით

პროექტის დირექტორი: გიორგი გოგსაძე

მოხსენების ავტორები: იაგო კაჭკაჭიშვილი
ნანა მაჭარაშვილი
გიორგი გოგსაძე

პროექტის დირექტორის
თანაშემწე: მაია მიქელაძე
ფინანსური მენეჯერი: ეთერ საჯაია

სოციოლოგიური
მონაცემების დამუშავება
და ანალიზი: იაგო კაჭკაჭიშვილი
გიორგი ლოლაშვილი
ბელა რეხვიაშვილი

მადლობის გამოთქმა

ლევან მიქელაძის სახელობის ფონდი მადლობას უხდის ფოკუს ჯგუფების, ჩაღრმავებული ინტერვიუების და რაოდენობრივი კვლევის ყველა მონაწილეს.

განსაკუთრებული მადლობა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის (ქუთაისი), იაკობ გოგებაშვილის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციების წარმომადგენლებს თვისებრივი და რაოდენობრივი კვლევების ჩატარებაში დახმარების გაწევისთვის.

ლევან მიქელაძის სახელობის ფონდი მადლობას უხდის თსუ, საზოგადოებრივი გეოგრაფიის დეპარტამენტის სტუდენტებს თამარ მაზმიშვილს, დავით კვარაცხელიას, იზა ვაშაკიძეს, ანა ჩუბინიძეს, თათია ლიპარტიას, ვენერა ებელაშვილს, ტატიანა სიჭინავას, ქრისტინე კაშიას, მიხეილ ჩაჩუას, მერი თინიკაშვილს, გვანცა მელანაშვილს, რომლებმაც მოხალისეების სტატუსით მონაწილეობა მიიღეს რაოდენობრივი კვლევის ჩატარებაში.

სარჩევი

1. პროექტის აღწერა	4
2. სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების საერთაშორისო გამოცდილება.....	8
3. რაოდენობრივი კვლევის შედეგები საქართველოს ოთხ სახელმწიფო უნივერსიტეტში	266
3.1 ძირითადი შედეგები	266
3.2 მეთოდოლოგია.....	355
3.3 ზოგადი შეფასებები.....	39
3.4 სასწავლო პროგრამების ცალკეული ასპექტების შეფასება	411
3.5 დასაქმების ხელშეწყობა.....	511
3.6. ინტერნაციონალიზაცია	57
3.7 სტუდენტთა მომსახურება	611
3.8 მართვაში მონაწილეობა.....	67
დანართი	69

1. პროექტის აღწერა

პრობლემის განსაზღვრა

2005 წელს, ბერგენის სამიტზე საქართველო ბოლონის პროცესს შეუერთდა. დაიწყო განათლების, მათ შორის უმაღლესი განათლების რეფორმირება. დასახულ ამოცანებს შორის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი იყო ის, რომ საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემა სტუდენტზე ორიენტირებული გამხდარიყო. ამგვარი სისტემის არსებობა, უპირველეს ყოვლისა გულისხმობს სტუდენტური თანამონაწილეობის შესაძლებლობების გაზრდას როგორც სასწავლო, ისე ადმინისტრირების სფეროში.

ეს საქართველოს კანონმდებლობაში და შესაბამის დოკუმენტებშიც აისახა. საქართველოს კანონის „უმაღლესი განათლების შესახებ“ მიხედვით, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება: „უზრუნველყოფს . . . სტუდენტთა მონაწილეობას გადაწყვეტილების მიღებისა და მათი შესრულების კონტროლის პროცესში“.¹ ამავე კანონის მუხლი 25.1 ადგენს, რომ „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა, აგრეთვე მისი პერსონალის პროფესიული განვითარების ხარისხი ექვემდებარება სისტემატურ შეფასებას, რომელშიც მონაწილეობენ აგრეთვე ამ დაწესებულების სტუდენტები და რომლის შედეგები საჯარო და ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისთვის.“²

რამდენიმე სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებთან, პედაგოგებთან და ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან წინასწარი შეხვედრების დროს გამოიკვეთა, რომ არსებობს რამდენიმე პრობლემა, რომლის გადაჭრა ჯერჯერობით ვერ ხერხდება. ეს, უპირველეს ყოვლისა ეხება სტუდენტთა მონაწილეობას სასწავლო პროცესის სრულყოფაში, მათი მომსახურების და მათთვის ინფორმაციის მიწოდების გაუმჯობესებას. სასწავლო პროცესისა და ადმინისტრირების გაუმჯობესების სფეროში სტუდენტთა მხოლოდ მინიმალური ჩართულობის შესაძლებლობას იძლევა. გარდა ამისა, სტუდენტების მონაწილეობა გადაწყვეტილებების შესრულების კონტროლის პროცესში უმნიშვნელოა და შესაბამისად არაეფექტიანი. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურების მიერ სტუდენტთა ყოველსემესტრული გამოკითხვების შედეგის მიხედვით, შესაძლებელია ჩაითვალოს, რომ სასწავლო და ადმინისტრირების სფეროში სტუდენტთა მონაწილეობა საკმაოდ დაბალია.

აღნიშნული პრობლემების მოგვარებაში, მნიშვნელოვანი როლი სტუდენტთა თვითმმართველობას შეუძლია ითამაშოს. თვითმმართველობა ხელს უნდა უწყობდეს სტუდენტთა შესაძლებლობების განვითარების პროგრამების განხორციელებას. სამწუხაროდ, წინა წლებში თვითმმართველობა ნაკლებ ყურადღებას უთმობდა სასწავლო პროცესის სრულყოფაში სტუდენტთა ჩართულობას. მის მუშაობაში ძირითადი აქცენტი კეთდებოდა

¹ საქართველოს კანონი „უმაღლესი განათლების შესახებ“. <http://www.matsne.gov.ge>

² იქვე

სტუდენტთა მონაწილეობაზე კონფერენციებში, ფორუმებში, ფესტივალებში. აღსანიშნავია ისიც, რომ სახელმწიფო უნივერსიტეტების ადმინისტრაცია ნაკლებ ყურადღებას უთმობს თვითმმართველობის ორგანოების გაძლიერებას. საკმარისია ითქვას, რომ საქართველოს ზოგიერთი სახელმწიფო უნივერსიტეტის უნივერსიტეტების ოფიციალურ ვებ სივრცეში არ არის ან არის, მაგრამ ცარიელია თვითმმართველობის მუშაობის ან სტუდენტური ცხოვრების ამსახველი ვებ-გვერდი.

მთლიანობაში, შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს უნივერსიტეტების სტუდენტები და პროფესურა ერთგვარ საინფორმაციო ვაკუუმში იმყოფებიან. მათთვის უცნობია მათი სასწავლებლის სასწავლო, სამეცნიერო და მართვის ბევრი მნიშვნელოვანი პრობლემა. შესაბამისად, ეს ართულებს მათ მონაწილეობას არსებული გამოწვევების მოგვარებაში. შექმნილ სიტუაციაში, საუნივერსიტეტო ცხოვრებისადმი ისინი ინდიფერენტულობას იჩენენ. საბოლოო ჯამში, ეს ხელს უშლის საქართველოს უმაღლესი განათლების ევროპულ სივრცესთან დაახლოებას.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, ჩვენი აზრით სტუდენტზე ორიენტირებული საუნივერსიტეტო განათლების სფეროში არსებული პრობლემების შესწავლა აქტუალური საკითხია. აღნიშნული პრობლემების იდენტიფიცირება, ანალიზი და მათი გადაჭრის გზების შესახებ რეკომენდაციების შემუშავებას პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს. კვლევის შედეგად შექმნილი კონსოლიდირებული მოხსენება (რეპორტი) საშუალებას მისცემს უნივერსიტეტების ადმინისტრაციას, უპირველეს ყოვლისა, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, ასევე პროფესურას, სტუდენტებს ნათელი წარმოდგენა ჩამოუყალიბდეთ სტუდენტზე ორიენტირებული უმაღლესი განათლების სფეროში არსებული პრობლემების და მათი მოგვარების შესაძლებლობების შესახებ.

მოცემულ პროექტში დაგეგმილია სტუდენტზე ორიენტირებული განათლების სისტემის ორი კომპონენტის – სასწავლო პროცესის და სტუდენტების მომსახურების (ადმინისტრირების) პრობლემების იდენტიფიცირება და ანალიზი. რაც შეეხება მესამე კომპონენტს - კვლევას, გამომდინარე ამ კომპონენტის სპეციფიკიდან, ამ ეტაპზე მისი შესწავლა არ მოხდება. თუმცა წარმოდგენილი პროექტის წარმატებით განხორციელების შემთხვევაში, ლევან მიქელაძის სახელობის ფონდს განზრახული აქვს, 2015-2016 წლებში ჩაატაროს საქართველოს უნივერსიტეტებში კვლევასთან დაკავშირებული პრობლემების შესწავლა.

პროექტის მიზანი

პროექტის ძირითადი მიზანია საქართველოს უნივერსიტეტებში სტუდენტზე ორიენტირებული განათლების სფეროში არსებული პრობლემების იდენტიფიცირება და ანალიზი.

წინასწარი შერჩევის საფუძველზე განისაზღვრა სამიზნე უნივერსიტეტები, კერძოდ: *ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი (თსუ), აკაკი*

წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი (ქუთაისი), იაკობ გოგებაშვილის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

პროექტის ამოცანები

პროექტის მიზნის მისაღწევად დასახულია შემდეგი ამოცანების განხორციელება:

- სტუდენტზე ორიენტირებული განათლების სისტემის სფეროში მოწინავე უცხოური გამოცდილების შესწავლა-ანალიზი.
- საქართველოს 4 სახელმწიფო უნივერსიტეტში, ფოკუს ჯგუფების ორგანიზების გზით სასწავლო პროცესის და სტუდენტთა მომსახურების სფეროებში არსებული პრობლემების იდენტიფიცირება.
- საშუალო რეპორტის შემუშავება.
- ანკეტირების მეშვეობით საქართველოს 4 სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტების გამოკითხვა;
- კონსოლიდირებული მოხსენების (რეპორტის) შემუშავება, რომელშიც წარმოდგენილი იქნება სტუდენტზე ორიენტირებული განათლების სისტემის გაუმჯობესების, კერძოდ სასწავლო პროცესის და სტუდენტთა მომსახურების სფეროებში არსებული პრობლემების დაძლევის გზები.
- კვლევის შედეგების საჯარო პრეზენტაცია, საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტროს წარმომადგენლების, სხვადასხვა უნივერსიტეტების ადმინისტრაციის, პროფესორის, სტუდენტების მონაწილეობით.

პროექტის განხორციელების ეტაპები და საშუალებები

პირველი ეტაპი. დასავლური უნივერსიტეტების გამოცდილების ანალიზი-შეფასება

ამ ეტაპზე, ჩატარდა დასავლური გამოცდილებისა და საუკეთესო პრაქტიკების შესწავლა და ამ პროცესში აქცენტი გაკეთდა შემდეგ მიმართულებებზე: ხარისხის შიდა უზრუნველყოფის სისტემაში სტუდენტთა ჩართულობის შესაძლებლობები, მექანიზმები და ტექნიკები; წარმომადგენლობითობის ხარისხი და უნივერსიტეტების ეფექტიანი თვითმმართველობა; სტუდენტური თვითმმართველობის სისტემის გაუმჯობესება; ინსტიტუტური და არაინსტიტუტური მექანიზმები სტუდენტთა სერვისების გასაუმჯობესებლად.

ამ ეტაპის ამოცანა იყო ანალიტიკური რეპორტის შემუშავება, რომელშიც წარმოდგენილია უნივერსიტეტებში სტუდენტთა თანამონაწილეობის მოწინავე უცხოური მოდელები.

მეორე ეტაპი. თვისებრივი კვლევა

თვისებრივი კვლევა ჩატარდა სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების ინდიკატორების დასადგენად, ასევე სტუდენტთა საჭიროებებისა და ამ საჭიროებების შესაბამისი სერვისების მიწოდების თანაფარდობის გამოსავლენად. აღნიშნული ამოცანა

განხორციელდა ფოკუს ჯგუფების (ჯგუფური დისკუსიის) მეთოდის გამოყენებით. თითოეულ ჯგუფურ დისკუსიაში მონაწილეობდნენ სხვადასხვა საფეხურის სტუდენტები, უმაღლესი სასწავლებლების ადმინისტრაციის წარმომადგენლები, უნივერსიტეტების სასწავლო პროგრამის ხელმძღვანელები

აღნიშნული სპეციალისტების მონაწილეობით, საბოლოო ჯამში ჩატარდა 11 ჯგუფური დისკუსია. თითოეული ფოკუს ჯგუფის მონაწილეთა რაოდენობამ შეადგინა 8-10 ადამიანი. ჯგუფური დისკუსიები ჩატარდა როგორც თბილისის (3 ფოკუს ჯგუფი), ისე სამივე რეგიონული ქალაქის (ქუთაისი, ბათუმი, თელავი) უნივერსიტეტებში (თითოეულში 2 ფოკუს ჯგუფი). კვლევის ინსტრუმენტად გამოყენებული იყო ფოკუს ჯგუფის გზამკვლევი, ეს უკანასკნელი მოიცავს ღია ან ნახევრად ღია კითხვებს იმ ძირითადი საკითხების შესახებ, რომელთა გამოვლენაც ფოკუს ჯგუფის მეშვეობით მოხდა. ანალიტიკური ანგარიშის მომზადების მიზნით) მომზადდა ჩაწერილი მასალის ტრანსკრიპტები.

მესამე ეტაპი. შუალედური რეპორტი

შუალედური რეპორტის საჯარო პრეზენტაცია ჩატარდა თსუ-ში, 2015 წლის 13 მარტს. რეპორტში აისახა პირველი ორი ეტაპზე განხორციელებული საქმიანობების შედეგად გამოვლენილი ძირითადი მიგნებები. პრეზენტაციას დაესწრნენ უნივერსიტეტის სტუდენტები, პროფესორები, ადმინისტრაციის წარმომადგენლები, ასევე არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები.

მეოთხე ეტაპი. რაოდენობრივი კვლევა

რაოდენობრივი კვლევა დაეფუძნება თვისებრივი კვლევის ძირითად მიგნებებს. გამოკვლევის ობიექტია სამიზნე უმაღლესი სასწავლებლების ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის სტუდენტები. გამოიკითხება ზემოთ აღნიშნული 4 უმაღლესი სასწავლებლის დაახლოებით 1151 სტუდენტი, თითოეულ უნივერსიტეტში - 270-310 სტუდენტი. კვლევის მონაცემების ანალიზი მოხდა სხვადასხვა მეთოდების გამოყენებით: ერთგანზომილებიანი სიხშირული განაწილების, კროსტაბულაციების, კორელაციის, რეგრესიის, ფაქტორული და კლასტერული ანალიზის მეთოდების მეშვეობით. მიღებული მონაცემების საფუძველზე.

მეხუთე ეტაპი. საბოლოო რეპორტი

საბოლოო რეპორტი შეიქმნა კვლევის წინა სამ ეტაპზე მიღებული შედეგების საფუძველზე. რეპორტი ანალიტიკური ხასიათისაა, რომელშიც მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა საქართველოს 4 უნივერსიტეტში სტუდენტზე ორიენტირებული საუნივერსიტეტო განათლების სფეროში არსებული პრობლემების აღწერას და მათ ანალიზს.

2. სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების საერთაშორისო გამოცდილება

წარმოდგენილი დოკუმენტის მიზანია სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების მოდელის დანერგვისას გზით გააუმჯობესოს და გაზარდოს სტუდენტური თანამონაწილეობის შესაძლებლობები როგორც სასწავლო, ისე ადმინისტრირების სფეროში და ამ მხრივ საზოგადოებას და, პირველ რიგში, თავად უმაღლეს სასწავლებლებს შესთავაზოს დასავლურ უმაღლეს სასწავლებლებში არსებული საუკეთესო პრაქტიკები სტუდენტთა ჩართულობის უზრუნველსაყოფად.

იმ მიზნით, რათა გაიზარდოს პროექტის ბენეფიციარ უმაღლეს სასწავლებლებში სასწავლო და ადმინისტრირების სფეროში სტუდენტთა ჩართვის შესაძლებლობები, პროექტი ითვალისწინებს პროექტის საწყის ეტაპზე დასავლურ უმაღლეს სასწავლებლებში არსებული გამოცდილებისა და საუკეთესო პრაქტიკების შესწავლას, რომლის საფუძველზეც შემუშავებული იქნება ანალიტიკური დოკუმენტი და თითოეული უნივერსიტეტისათვის შეთავაზებული იქნება სარეკომენდაციო წინადადებათა ნუსხა. აღნიშნული წინადადებები როგორც სავარაუდო შეთავაზებები, ასევე გაშლილი იქნება პროექტის შემდგომ ეტაპზე დაგეგმილ რაოდენობრივ კითხვარშიც, რათა წინასწარ იყოს შესწავლილი რაოდენობრივი მონაცემების საფუძველზე დასავლური პრაქტიკების მიმართ მიმდებლობა და დამოკიდებულება. აღნიშნული ლოგიკა მოგვცემს საშუალებას, წინასწარ გაიზომოს დასავლურ უმაღლეს სასწავლებლებში არსებული პრაქტიკების საქართველოს მაგალითზე ადაპტაციის შესაძლებლობები.

ამ ეტაპზე, დასავლური გამოცდილებისა და საუკეთესო პრაქტიკების შესწავლის ეტაპზე აქცენტი გაკეთდება შემდეგ მიმართულებებზე -

1. **ხარისხის შიდა უზრუნველყოფის სისტემაში სტუდენტთა ჩართულობის შესაძლებლობები, მექანიზმები და ტექნიკები**, რაც შესაძლებელს გახდის მომავალში პროექტის ბენეფიციარ უნივერსიტეტებში დაინერგოს სწავლების პროცესის და აკადემიური პერსონალის შესახებ სტუდენტთა მოსაზრებების გათვალისწინების პრაქტიკა;
2. **წარმომადგენლობითობის ხარისხი და უნივერსიტეტების ეფექტიანი თვითმმართველობა**, რაც, თავის მხრივ, გულისხმობს კოლეგიური გადაწყვეტილებების მისაღებად სათანადო სამართლებრივი და ინსტიტუციური მექანიზმების არსებობას, უნივერსიტეტის მართვის ორგანოში/ორგანოებში სტუდენტების ფართო მონაწილეობას.
3. **სტუდენტური თვითმმართველობის სისტემის გაუმჯობესება** - სამართლებრივი, ინსტიტუციური და ფინანსური მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფენ სტუდენტთა თვითმმართველობის/თვითმმართველობების რეალურ დამოუკიდებლობას და სტუდენტთა მონაწილეობას უნივერსიტეტის მართვაში.

4. ინსტიტუტური და არაინსტიტუტური მექანიზმები სტუდენტთა სერვისების გასაუმჯობესებლად - დასავლეთის უნივერსიტეტებში არსებული პრაქტიკები სტუდენტის სერვისებისა და მომსახურების სისტემის გასაუმჯობესებლად.

სტუდენტზე ორიენტირებული საგანმანათლებლო სისტემა ევროპაში

სტუდენტზე ორიენტირებული საგანმანათლებლო სისტემა განიხილება, როგორც სრულიად ახალი ტიპის პარადიგმა, რომლის ინიცირებაც ევროკავშირის საერთო საგანმანათლებლო სისტემაში განხორციელდა ევროკომისიის, ევროპის სტუდენტთა კავშირისა (ESU) და საერთაშორისო საგანმანათლებლო (EI) ასოციაციის მიერ ევროკავშირის მიერ დაფინანსებული სიცოცხლის მანძილზე განათლების პროექტის ფარგლებში. აღნიშნულ პროექტს ადმინისტრირებას უწევდა ევროკავშირის განათლების, აუდიოვიზუალურ და კულტურულ საქმეთა აღმასრულებელი სააგენტო (EACEA). აღნიშნული პროექტის მიზანი გახლდათ სტუდენტზე ორიენტირებული სწავლა/სწავლების სისტემის დანერგვაზე ორიენტირებული სარეკომენდაციო პაკეტის შეთავაზება ევროპის უმაღლეს საგანმანათლებლო სისტემაში ჩართული დაინტერესებული მხარეებისთვის, რათა ამ გზით, უზრუნველყოფილიყო ბოლონის პროცესის გაგრძელება და შემდგომი წარმატებები. 2010 წელს შეთავაზებული რეკომენდაციები წარმოადგენს ამ პროექტის განხორციელებაში ჩართული მხარეების მიერ წარმოდგენილ საბოლოო დოკუმენტს, რომლის პრინციპებიც, სტუდენტზე ორიენტირებული საგანმანათლებლო სისტემის საქართველოში დანერგვის მიზნით, ვფქირობთ აქტიურად გასათვალისწინებელია. ქვევით შემოთავაზებულია, აღნიშნული დოკუმენტის შეჯამებული ნაწილი, რომელშიც საუბარია სტუდენტზე ორიენტირებული სწავლა/სწავლების სისტემის პრაქტიკული განხორციელების მექანიზმებზე.

ქვევით წარმოდგენილია სტუდენტზე ორიენტირებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სახელმძღვანელო პრინციპები, რომლის გათვალისწინებაც, საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებისთვის, შესაძლებელია, მნიშვნელოვანი აღმოჩნდეს დასავლურ სტანდარტებთან მიახლოების თვალსაზრისით.

სტუდენტზე ორიენტირებული საგანმანათლებლო სისტემის პრინციპები

პრინციპები	განმარტებები
მოქნილობა - კრედიტების დაგროვების შესაძლებლობაში არჩევანის თავისუფლება	სტუდენტს სასწავლო პროგრამის არჩევნისას პროგრამით გათვალისწინებულ კომპონენტებს შორის თავისუფალი არჩევანის საშუალება აქვს. აქვე, იგულისხმება თავისუფალი კრედიტების დაგროვების შესაძლებლობა, მეორადი სპეციალობის არჩევნის შესაძლებლობა, კურსის ლექტორებს შორის არჩევანის შესაძლებლობა, არჩევითი კურსების ადების შესაძლებლობა და სხვა.

სტუდენტზე ორიენტირებულ სერვისების გამართულობა	სტუდენტზე ორიენტირებული სერვისის გულისხმობს მაქსიმალურად მოკლე ვადებსა და ზედმეტი ბიუროკრატიული გართულებების გარეშე სტუდენტისთვის მომსახურეობის გაწევას როგორც საუნივერსიტეტო, ისე საფაკულტეტო და პროგრამულ დონეზე და მის ხელშეწყობას შესაბამისი მექანიზმებით (სტუდენტთა მომსახურეობის ცენტრები, ელ-ბაზები, რესურს-ცენტრები, საგამოცდო ცენტრები და ა.შ.)
აკადემიური კონსულტირება	აკადემიურ კონსულტირებაში იგულისხმება ის პროცედურები ან ინსტიტუციები, რომლითაც არის უზრუნველყოფილი აღნიშნული კონსულტირების შესაძლებლობის დაცვა (პროფესორთა საკონსულტაციო საათები, კონსულტაციები საუნივერსიტეტო ადმინისტრაციის მხრიდან და ა.შ.).
კარიერული კონსულტირება	კარიერულ კონსულტირებაში იგულისხმება ის პროცედურები ან ინსტიტუციები, რომლითაც არის უზრუნველყოფილი აღნიშნული კონსულტირების შესაძლებლობის დაცვა (კარიერული ცენტრები, პრაქტიკული უნარ-ჩვევების ათვისებაზე ორიენტირებული კურსები, საველე პრაქტიკები, სტაჟირებები, დამსაქმებელთან ურთიერთობა სტუდენტთა დასაქმების ხელშეწყობის მიზნით)
აქტიური სწავლების სისტემა	აქტიური სწავლების სისტემაში იგულისხმება სტუდენტის ჩართულობაზე ორიენტირებული ფორმებითა და მეთოდებით წარმართული სწავლების პროცესი, რომელიც რადიკალურად განსხვავდება სწავლების პასიური, პედაგოგზე ორიენტირებული სისტემისგან და გულისხმობს სწავლების ისეთი მეთოდების გამოყენებას როგორცაა პროექტებზე დაფუძნებული სწავლება, ქეისებზე დაფუძნებული სწავლება, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება და ა.შ.
უკუკავშირის მექანიზმების არსებობა და აქტიური გამოყენება	მასში იგულისხმება როგორც ცალკეული სასწავლო პროგრამების, ისე ცალკეული სასწავლო კურსების შეფასება სტუდენტების მიერ, ასევე კურსდამთავრებულების მიერ პროგრამების შეფასება, რომლის შედეგებიც აქტიურად გამოიყენება ხარისხის გაუმჯობესების მიზნით. უკუკავშირის მექანიზმებზე საუბრისას, მნიშვნელოვანია ასევე თავად სტუდენტებისათვის უკუკავშირის უზრუნველყოფაც (კურსის ფარგლებში შეფასებული ნაშრომების კომენტირება, აპელაციის სისტემის არსებობა და ა.შ.).
პროპორცია პედაგოგებსა და სტუდენტებს შორის	მასში იგულისხმება, თუ რამდენად მაღალია პროპორცია პედაგოგებსა და სტუდენტებს შორის და სტუდენტთა რა რაოდენობაზეა გათვლილი ლექცია/სემინარი/პრაქტიკული? რამდენად აქტიურად გამოიყენება პატარა ჯგუფებთან მუშაობის ისეთი მეთოდები, როგორცაა თვით-დირექტიული სწავლება, ტუტორიალები და ა.შ. მიიჩნევა, რომ რაც უფრო დაბალია ეს პროპორცია, მით მეტადაა სტუდენტზე ორიენტირებულ საგანმანათლებლო სისტემა ამა თუ იმ უნივერსიტეტში დანერგილი.
სტუდენტთა შეფასების	მასში იგულისხმება, ის, თუ რამდენად უწყებს ხელს სწავლების

მრავალფეროვანი სისტემის გამოყენება	პროცესში გამოყენებული სწავლების სტილი და მეთოდოლოგია ყველა სტუდენტს, მაქსიმალურად გამოავლინოს საკუთარი შესაძლებლობები და, შესაბამისად, მოხდეს სწავლის შედეგების ადეკვატური შეფასება. ასევე, რამდენად მრავალფეროვანია სწავლების სტილი და მეთოდი იმისათვის, რათა მოხდეს ყველა განსხვავებული ტიპის სტუდენტის შეფასება. იგულისხმება, რომ რაც უფრო მრავალფეროვანია შეფასების სისტემა, მით მეტადაა უზრუნველყოფილი განსხვავებული სტილის სტუდენტების ადეკვატური შეფასების შესაძლებლობა.
საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკის სივრცის ხელმისაწვდომობა	საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკის სივრცის ხელმისაწვდომობაში იგულისხმება ის, თუ რა პერიოდულობითა და საათობრივ დატვირთვით ემსახურება საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკა სტუდენტებს და რამდენად სთავაზობს არასამუშაო დღეებში და საათებში სერვისის შეთავაზების შესაძლებლობას.
ინკლუზიური საგანმანათლებლო გარემო	ინკლუზიურ საგანმანათლებლო გარემოში იგულისხმება ის, თუ რამდენად ინკლუზიურია თავად საუნივერსიტეტო სივრცე განსაკუთრებული საჭიროებების მქონე სტუდენტებისთვის.
ანტიდისკრიმინაციული პოლიტიკა და სტუდენტთა ინტერესების დაცვა	ანტიდისკრიმინაციული პოლიტიკაში იგულისხმება, ის, თუ რამდენად დაცულია სხვადასხვა უმცირესობების (რელიგიური, ეთნიკური, სექსუალური და ა.შ.) ინტერესები ამა თუ იმ უნივერსიტეტში და ხორციელდება თუ არა ინტეგრაციაზე ორიენტირებული კონკრეტული აქტივობები.
სტუდენტთა წარმომადგენლობა	სტუდენტთა წარმომადგენლობაში, პირველ რიგში, იგულისხმება სტუდენტური თვითმმართველობების არსებობა, ასევე ის, თუ რამდენად აქტიურად მონაწილეობენ სტუდენტები საუნივერსიტეტო გადაწყვეტილებების მიღებაში (სენატი, საბჭოები და ა.შ.) და რამდენად აქვთ სტუდენტებს საკუთარი პოზიციების დაფიქსირებისა და რეკომენდაციების შემოთავაზების შესაძლებლობა.
სტუდენტთა ჩართულობა საუნივერსიტეტო და საზოგადოებრივ საქმიანობაში	მასში იგულისხმება ის მექანიზმები, რომელიც შეთავაზებულია სტუდენტების საუნივერსიტეტო საქმიანობაში ჩასართავად (სწავლა, ადმინისტრირება, კვლევა). აქვე უნდა განვიხილოთ ის მექანიზმებიც, რომელიც გამოიყენება სტუდენტის საზოგადოებრივ საქმიანობაში ჩასართავად (კრედიტები, ბონუს ქულები ცალკეული კურსის ფარგლებში და სხვა). ასევე, კონკრეტული მიზნობრივი ინსტიტუციები (საზოგადოებრივი სერვისების ცენტრები), რომელიც გამოიყენება მსგავსი აქტივობის განსახორციელებლად

აღნიშნულ პრინციპებზე დაყრდნობით შემუშავებულია სტუდენტზე ორიენტირებული საგანმანათლებლო სისტემის საკონტროლო კითხვარი, რომელიც შედგება 9 თემატური ნაწილისგან (სტუდენტებთან კონსულტაცია; კრედიტები და სწავლის შედეგები; ხარისხის უზრუნველყოფა; მობილობა, აღიარება და პრიორიტეტული სწავლება; სოციალური

განზომილება; სწავლა/სწავლების მეთოდები; სტუდენტთა შეფასების მეთოდები; სასწავლო გარემო; პროფესიული აკადემიური განვითარება). კითხვარი წარმოადგენს სტუდენტზე ორიენტირებული საგანმანათლებლო სისტემის ყველა ასპექტს და შესაძლებელია გამოყენებული იყოს როგორც იდეალური მდგომარეობის აღმწერი. იმ შემთხვევაში, თუ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება შეთავაზებული ფორმულირებებიდან მხოლოდ მცირედზე პასუხობს, დადებითად, აუცილებელია ხდება სისტემის მნიშვნელოვანი გაუმჯობესება. იმ შემთხვევაში, თუკი თქვენი დაწესებულება შემოთავაზებული ფორმულირებებიდან დიდ ნაწილზე დადებით პასუხის გაცემის შესაძლებლობას იძლევა, შესაბამისად, საჭიროა ამ მდგომარეობის შენარჩუნება და კიდევ უფრო მეტად გაუმჯობესება.

1.	სტუდენტებთან კონსულტაცია	დიახ	არა
1.1	დაწესებულება სტუდენტებს სთავაზობს გამჭვირვალე პროცედურებს საგანმანათლებლო პროცესის ხარისხის შესაფასებლად და უკუკავშირის განსახორციელებლად	○	○
1.2	სტუდენტებს კონსულტაციას უწევენ საგანმანათლებლო კურიკულუმის შინაარსის თაობაზე	○	○
1.3	სტუდენტს კონსულტაციას უწევენ სწავლისა და შეფასების მეთოდებზე	○	○
1.4	სტუდენტები ჩართული არიან საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის პერიოდულ შეფასებაში	○	○
1.5	სტუდენტები, როგორც თანასწორი და სრულუფლებიანი წევრები, ჩართული არიან შესაბამის წარმომადგენლობით საბჭოებში (მაგ., დეპარტამენტის, ფაკულტეტისა და უნივერსიტეტის დონეზე).	○	○
1.6	დაწესებულება სტუდენტებს სთავაზობს აპელაციის გამჭვირვალე პროცედურებს საკუთარი აკადემიური მოსწრებისა და პროგრესის გადასამოწმებლად	○	○
2.	კრედიტები და სწავლის შედეგები	დიახ	არა
2.1	სტუდენტებთან ხორციელდება კონსულტაციები სწავლის შედეგების განსაზღვრის პროცესში	○	○
2.2	სტუდენტთა საჭიროებები და მრავალფეროვნება მხედველობაშია მიღებული სწავლის შედეგების განსაზღვრის პროცესში	○	○
2.3	სტუდენტებისთვის წინასწარ, სასწავლო კურსის/პროგრამის დაწყებამდე, ცნობილია სწავლების მოსალოდნელი შედეგები	○	○
2.4	კრედიტების რაოდენობა შესაბამისობაშია სწავლის შედეგებთან	○	○
2.5	კრედიტების ტრანფერი შესაძლებელია როგორც პროგრამულ, ისე ინსტიტუციურ დონეზე	○	○
2.6	კრედიტების გაზომვა ხორციელდება სტუდენტთა დატვირთვის მიხედვით, რომელშიც ცალ-ცალკე განიხილება სასწავლო კურსის საკონტაქტო საათები და სტუდენტის დამოუკიდებელი მუშაობა.	○	○
2.7	სტუდენტებს ენიჭებათ კრედიტები საუნივერსიტეტო სივრცის მიღმა განხორციელებული აქტივობებისთვის, თუკი ეს კურსის ფარგლებში მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას უზრუნველყოფს	○	○
2.8	უნივერსიტეტის მიერ აღიარებული კვალიფიკაციები კვალიფიკაციათა	○	○

	ეროვნულ ჩარჩოსთან შესაბამისობაში		
3.	ხარისხის უზრუნველყოფა	დიახ	არა
3.1	სტუდენტები და დაწესებულების თანამშრომლები თანაბარ მონაწილეობას იღებენ ხარისხის უზრუნველყოფის პროცესში	○	○
3.2	როგორც აკადემიური პერსონალის, ასევე სტუდენტების წარმომადგენლები თანასწორი და სრულუფლებიანი წევრების სახით ჩართული არიან ხარისხის უზრუნველყოფის შესაბამის საბჭოებში და მონაწილეობას იღებენ ხარისხის უზრუნველყოფის ანგარიშების პერიოდულ შეფასებაში	○	○
3.3	ხარისხის უზრუნველყოფის ანგარიშის ფორმები და სახელმძღვანელო დოკუმენტები ითვალისწინებს და ეყრდნობა სწავლა/სწავლების ზოგად ჩარჩოებსა და ელემენტებს	○	○
3.4	პროგრამულ დონეზე ხარისხის უზრუნველყოფა ეყრდნობა სწავლის შედეგებს	○	○
3.5	პროგრამულ დონეზე ხარისხის უზრუნველყოფა ეყრდნობა სწავლების მეთოდებს	○	○
3.6	ხარისხის უზრუნველყოფის გარე შეფასება სწავლა/სწავლების პროცესზეა ორიენტირებული	○	○
4.	მობილობა, აღიარება და პრიორიტეტული სწავლება	დიახ	არა
4.1	უმაღლეს სასწავლებელში სტუდენტი სასწავლო პერიოდების დაგეგმვას თავად აწარმოებს, ხოლო სასწავლებელი მობილობის სხვადასხვა პროგრამებში მონაწილეობის საფუძველზე დაგროვილი კრედიტების აღიარების შესაძლებლობას აძლევს	○	○
4.2	მობილობით გადმოსულ და გაცვლით პროგრამებში მონაწილე სტუდენტებს უმაღლეს სასწავლებელში ხვდება შესაბამისი მხარდაჭერი გარემო, რათა არსებული ინსტიტუციური, კულტურული თუ ენობრივი ბარიერები იქნეს წარმატებით დაძლეული	○	○
4.3	მობლობაში მონაწილე აკადემიური პერსონალისა თუ თანამშრომლების გამოცდილება და საუკეთესო პრაქტიკები გაზიარებულია უმაღლეს სასწავლებელში სხვადასხვა დისკუსიებისა და სეინარების შეთავაზების გზით	○	○
4.4	უმაღლესი სასწავლებელი აღიარებს არაფორმალური განათლების ფორმებს და რთავს საკუთარ სასწავლო პროგრამებში	○	○
4.5	პრიორიტეტული სწავლების აღიარების პროცედურა მარტივია	○	○
4.6	პრიორიტეტული სწავლების აღიარების პროცედურა არაა დაკავშირებული დიდი ხარჯებთან და გართულებულ ბიუროკრატიასთან	○	○
5.	სოციალური განზომილება	დიახ	არა
5.1	უმაღლეს სასწავლებელს გააჩნია არასახარბიელო სოციალური, ეკონომიკური და კულტურული მდგომარეობის მქონე სტუდენტების მხარდაჭერის შესაბამისი სისტემები	○	○
5.2	სასწავლო პროცესი სტუდენტს აძლევს სწავლის, ოჯახური ცხოვრებისა და სამსახურის შეთავსების საშუალებას	○	○
6.	სწავლა/სწავლების მეთოდები	დიახ	არა
6.1	უმაღლესი სასწავლებელი იყენებს კოლეგიალური შეფასებისა და სწავლების მეთოდებს	○	○
6.2	უმაღლეს სასწავლებელს გააჩნია პროგრამები, რომელშიც გამოიყენება პრაქტიკული უნარების გამომუშავებაზე ორიენტირებული სწავლება	○	○


6.3	უმაღლესი სასწავლებელი იყენებს ჯგუფური მუშაობის მეთოდს საკუთარ პროგრამებში	○	○
6.4	სტუდენტთა ექსტრაკურსულარული აქტივობები მისაღებია და წარმოადგენს სასწავლო გამოცდილების მნიშვნელოვან ნაწილს	○	○
6.5	სტუდენტებში ტრანსფერული უნარების განვითარება სასწავლო დაწესებულების მნიშვნელოვანი შედეგია სასწავლო პროცესში	○	○
7.	სტუდენტთა შეფასების მეთოდები	დიახ	არა
7.1	სასწავლო პროცესის მიზნები შეთანხმებულია პედაგოგებსა და სტუდენტებს შორის	○	○
7.2	სტუდენტთა შეფასება მოიცავს თვითშეფასებისა და ერთმანეთის შეფასების მეთოდებს	○	○
7.3	სტუდენტთა შეფასება კურსის ფარგლებში განხორციელებული პროექტების მიხედვითაც ხორციელდება	○	○
7.4	სტუდენტთა შეფასება სიმულაციური სავარჯიშოების მიხედვითაც ხორციელდება	○	○
8.	სასწავლო გარემო	დიახ	არა
8.1	სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომია სასწავლო და კვლევითი რესურსები როგორც უნივერსიტეტის შიგნით, ისე საუნივერსიტეტო სივრცის მიღმა	○	○
8.2	საინფორმაციო ტექნოლოგიები გამოყენებულია სასწავლო პროცესში	○	○
8.3	ბიბლიოთეკის წარმომადგენლები თანამშრომლობენ აკადემიურ პერსონალთან სტუდენტთა სასწავლო გამოცდილების გაუმჯობესების მიზნით	○	○
8.4	უმაღლეს სასწავლებელს წვლილი შეაქვს ნაციონალურ/რეგიონულ დონეზე სტუდენტზე ორიენტირებული სასწავლო გარემოსა და კულტურის დანერგვა-განვითარებაში.	○	○
9.	პროფესიული აკადემიური განვითარება	დიახ	არა
9.1	უმაღლესი სასწავლებელს აქვს სწავლა/სწავლების გზამკვლევი და შესაბამისი ინსტრუქციები	○	○
9.2	უმაღლეს სასწავლებელს აქვს საკუთარი აკადემიური პერსონალის პროფესიული გადამზადების რეგულარული პროგრამა	○	○
9.3	პროფესიული გადამზადების პროგრამა აუცილებელი სახით მოიცავს სწავლების მეთოდების გამოყენების კომპონენტს	○	○
9.4	პროფესიული გადამზადების პროგრამა ეყრდნობა სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების მიდგომას, რათა უზრუნველყოფილი იყოს სწავლების ინოვაციური მეთოდების გამოყენება და სტუდენტზე ორიენტირებული სასწავლო პროგრამების განვითარება	○	○

სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება და შეფასების ფორმები

განათლების პოლიტიკის დაგეგმვისა და შეფასების მეოცე საუკუნის ბოლო ათწლეულებში დაგროვილმა პრაქტიკამ და სამეცნიერო დონოზე შესწავლამ დაადასტურა, რომ სტუდენტის ყურადღების და მიწოდებული ინფორმაციის ხანგრძლივი პერიოდით შენარჩუნების შესაძლებლობა განსხვავდება იმის მიხედვით, სწავლების რა მეთოდი გამოიყენება უმაღლეს სასწავლებლებში. ეროვნული ტრეინინგ ლაბორატორიის მიერ

შემუშავებული სწავლების პირამიდა დეტალურად წარმოადგენს სტუდენტების შენარჩუნების მაჩვენებლებს.

სქემა #1: სწავლების პარადიგმა



წყარო: ESU, & EI, (2010), *Student-centered Learning, Toolkit for Students, Staff and Higher Education Institutions*. Brussels: European Students' Union and Education International.

ერთი მხრივ ამ პარადიგმის გათვალისწინებით, მეორე მხრივ კი თავად სტუდენტების სწავლების სტილების მრავალფეროვნებიდან გამომდინარე (ბ.მაკკარტის (1981, 1987) კლასიფიკაციით, გამოიყოფა გამოცდილებით, კონცეპტუალურ, გამოყენებით და კრეატიულ სწავლებაზე ორიენტირებული სწავლება) უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება სწავლის მოსალოდნელი შედეგების მიღწევის მიზნით ორიენტირებული უნდა იყოს რაც შეიძლება მრავალფეროვანი და მეტად დამოუკიდებელი სწავლების მეთოდები შესთავაზოს, სტუდენტების მიერ ათვისებული ცოდნისა და უნარების გადამოწმების მიზნით კი, ასევე შეფასებაც განსხვავებულ და მეტად ჩართულობით მოდელზე ააგოს.

სწავლების მიდგომები

სტუდენტზე ორიენტირებული საგანმანათლებლო სისტემა ეყრდნობა ზრდასრულთა განათლების პრიციპებს. მნიშვნელოვანია, რომ საქართველოს უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებებმა გაითვალისწინონ ზრდასრულთა განათლების ზოგადი პრინციპები და აქცენტი თვითკეთებაზე ორიენტირებული სწავლების მეთოდოლოგიაზე გააკეთონ. ის, თუ

რამდენად დიდ უპირატესობას ქმნის თვითსწავლებაზე ორიენტირებული სასწავლო გარემო ნაჩვენებია დანართში მოცემულ სქემაზე #1.

ამავდროულად, გასათვალისწინებელი ხდება შემდეგი გარემოებები:

ა) ზრდასრულთა სწავლება საუკეთესო შედეგებით ხორციელდება მაშინ, როცა:

- ის წარიმართება საკუთარი ინიციატივით;
- აკმაყოფილებს უშუალო საჭიროებებს;
- მონაწილეობითი ხასიათისაა;
- გამოცდილებაზეა დაფუძნებული;
- შეძენილი გამოცდილება ღრმად არის გააზრებული;
- მასში უკუკავშირის მექანიზმებია გამოყენებული;
- მოსწავლის მიმართ პატივისცემაა გამოხატული;
- სტუდენტებისთვის უზრუნველყოფილია უსაფრთხო გარემო;
- პროცესი მიმდინარეობს კომფორტულ გარემოში.

ბ) პირობები, რომელიც ხელს უწყობს სწავლების პროცესს - ესაა ატმოსტერო, რომელიც:

ახალისებს ადამიანს იყოს აქტიური;

- ხაზგასმას აკეთებს სწავლების ინდივიდუალურ და სპეციფიკურ მახასიათებლებზე;
- ეთანხმება პოზიციას, რომლის მიხედვით განსხვავება არათუ პრობლემური, არამედ სასურველია;
- აღიარებს ადამიანის უფლებას დაუშვას შეცდომები და ისწავლოს შეცდომების საფუძველზე;
- მოთმინებით ხვდება ადამიანისა და რესურსების არასრულყოფილებას;
- ახალისებს თვითგამოხატვის თავისუფლებასა და საკუთარი თავის რწმენას;
- ადამიანს უნერგავს ღირსებისა და განსხვავებათა მიმღებლობის უნარებს;
- ხაზს უსვამს თვითშეფასებასა და თანამშრომლობას;

სწავლების მეთოდები

საკლასო სივრცეში სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების მიდგომის გამოყენება სხვადასხვა კომბინაციით არის შესაძლებელი. ქვევით მოცემულია რამდენიმე მათგანი:

1. პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება;
2. ჯგუფურ პროექტებზე მუშაობა;
3. სტუდენტზე ცენტრირებული აქტიური სწავლება;
4. რესურსებზე დაფუძნებული სწავლება;
5. შემთხვევების შესწავლის მეთოდის გამოყენება;
6. როლური თამაშები;
7. საკლასო პრაქტიკული ხასიათის სამუშაოები;
8. ჯგუფური პრეზენტაციები;

9. ვებ-საკონფერენციო სივრცის ათვისება ელექტრონული რესურსების აქტიური გამოყენებით, განსაკუთრებით ციფრული სწავლების შემთხვევაში;
10. ვიდეო-ჩანაწერები სტუდენტთა მიერ სწავლის მოსალოდნელი შედეგებისა და შესრულების ხარისხის თვითკონტროლისთვის.

შეფასების მეთოდები

ამავდროულად, სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების შედეგების შეფასებისას ერთმანეთისგან უნდა განვასხვავოთ საკონტაქტო და არასაკონტაქტო დატვირთვის პირობებში შეთავაზებული მეთოდები, რომელიც #2 სქემაშია წარმოდგენილი.

სქემა #2: შეფასების მეთოდები

სალექციო/სასემინარო ფორმატის დროს გამოყენებული შეფასებების მეთოდები	ლექციის/სემინარის მიღმა არსებული ფორმატის დროს გამოყენებული შეფასების მეთოდები
<ol style="list-style-type: none"> 1. დისკუსიები წყვილებში 2. დისკუსიები „თოვლის გუნდის“ პრინციპით (წყვილებში მომუშავე დისკუსიის მონაწილეები თანმიმდევრულად საკითხს შემდგომ წყვილთან განიხილავენ) 3. ჯვარედინი დისკუსიები (ორ-ორი წყვილის დაჯგუფება და დისკუსიის ამ გზით წარმართვა) 4. სადისკუსიო რაუნდები (სტუდენტების მიერ საკუთარი პოზიციისა და დამოკიდებულებების თანმიმდევრულად გადმოცემა) 5. საკონსულტაციო ჯგუფების სახით სტუდენტების დაჯგუფება 6. ქვიზები 7. სტუდენტთა პრეზენტაციები 8. სტუდენტთა პრეზენტაციები პოსტერებით 9. როლური თამაშები 10. გონებრივი იერიშების შედეგების პრეზენტაცია 	<ol style="list-style-type: none"> 1. ინდივიდუალური პროექტები 2. ჯგუფური დისკუსიები 3. სტუდენტების მიერ ერთმანეთის შეფასება და დავალებების შესრულების ხარისხის მონიტორინგი 4. გუნდური მუშაობა 5. დებატები 6. გასვლითი ვიზიტები 7. საველე სამუშაოები/პრაქტიკები 8. დღიურები 9. ანგარიშები 10. აუდიო-ვიდეო ჩანაწერები 11. სტატიები მედიაში 12. პორტფოლიოებზე მუშაობა

მნიშვნელოვანია ხაზი გაესვას იმ გარემოებას, რომ სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების მიდგომის ეფექტური და ეფექტიანი განხორციელების მიზნით დასავლეთში სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლები საკუთარ აკადემიურ პერსონალს სთავაზობენ პროფესიული განვითარების პროგრამებს, რათა სწავლებისა და კვლევის ხარისხი უფრო მეტად მოდიოდეს თანხმობაში სტუდენტზე ორიენტირებულ სისტემასთან. დღეს საქართველოში მსგავსი პროფესიული გადამზადების პროგრამების საჭიროებას შესაძლებელია ბევრი უმაღლესი დაწესებულებაც განიცდიდეს და, ამ მხრივ, ანალოგიური პროგრამების შექმნა მნიშვნელოვან გაუმჯობესების პერსპექტივებს შექმნიდა. მიუხედავად იმისა, რომ მსგავს პროგრამებთან მიმართებაში არსებობს სერიოზული ნეგატიური დამოკიდებულებაც, დასავლელი კოლეგები, როგორც წესი, ამ პროგრამებს პირველ რიგში სთავაზობენ ახალგაზრდა აკადემიურ პერსონალს, რიგ შემთხვევაში კი ქმნიან ინოვაციური სწავლების ლაბორატორიებს, რომელიც პრობლემაზე დაფუძნებული მოდელირებით ცდილობს მიუახლოვდეს სტუდენტზე ორიენტირებულ სწავლების მიდგომას.

საინფორმაციო სისტემების გამოყენება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების მიდგომისათვის

სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების მიდგომის მეტი აქცენტირება სტუდენტის დამოუკიდებელ მუშაობაზე, აუცილებელი სახით მოითხოვს უმაღლეს საგანმანათლებლო სივრცეში შესაბამისი ინფრასტრუქტურის გამართვასა და შეთავაზებას, რაშიც უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს საინფორმაციო ტექნოლოგია. ტექნოლოგიურად მდიდარ ელექტრონულ რესურსებს უმნიშვნელოვანესი როლი ენიჭებათ სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების მიდგომისათვის საჭირო შესაბამისი ფიზიკური სივრცის შეთავაზების თვალსაზრისით. ელექტრონული პორტალები, რომელიც სტუდენტზე ორიენტირებულ სწავლებაში აქტიურად გამოიყენება, სტუდენტს თვითმენეჯმენტის, საკუთარი სასწავლო პროცესის თვითკონტროლის უნარებს უვითარებს და შესაბამის წყაროებთან, მასალებთან დამოუკიდებელი მუშაობის საშუალებას აძლევს. ეს კი მისგან აუცილებელი სახით მოითხოვს, იყოს გაცილებით ინოვაციური. კვლევის პროცესში საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენებათაგან უმაღლესი სასწავლებლისგან მოითხოვს მეტ მობილიზაციას ახალი ელექტრონული რესურსების მოძიების, არსებულის მუდმივი გამდიდრების მიმართულებით, ასევე სასწავლო მასალების ელექტრონულ უზრუნველყოფის მიმართულებით. ამ შემთხვევაში საკმაოდ დიდი დატვირთვა მოდის უმაღლესი სასწავლებლის ბიბლიოთეკებზე. ბიბლიოთეკის მენეჯმენტი ამ მიმართულებით, აუცილებელი სახით უნდა გულისხმობდეს:

1. საინფორმაციო ბაზების გამართვაზე მუდმივმოქმედ რეჟიმში ზრუნვას;
2. პარტნიორობას აკადემიურ პერსონალსა და სტუდენტებს შორის ელექტრონული რესურსების გაუმჯობესების თვალსაზრისით;

3. სტუდენტებში საბიბლიოთეკო რესურსებით სარგებლობის უნარ-ჩვევების განვითარებაზე ორიენტირებული შესაბამისი გადამზადების სისტემების შეთავაზებას;
4. არსებული რესურსების ეფექტური და ეფექტიანი გამოყენებისთვის აუცილებელი შესაბამისი უნარების განვითარებას ბიბლიოთეკის თანამშრომლებში, რათა საბიბლიოთეკო ადამიანური რესურსების მზადყოფნა შესაბამისობაში იყოს არსებულ შეთავაზებებთან.

სტუდენტთა ჩართულობის შედეგების ანალიზი და შესაბამისი ინსტრუმენტები

პირველ რიგში, ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ დასავლურ საგანმანათლებლო სისტემაში ინსტიტუციურ დონეზე სტუდენტთა ჩართულობის ხარისხის გასაზომად აქტიურადაა გამოყენებული სხვადასხვა სახისა და ფოკუსის მატარებელი გამოკითხვის ფორმები და ხორციელდება მონაცემების ამ გზით კონტროლის პრაქტიკა, რომლის შედეგები საფუძვლად ედება უმაღლეს სასწავლებლებში არსებული სწავლების, კვლევისა და სერვისების გაუმჯობესების გეგმებსა და სტრატეგიული ხასიათის სხვა დოკუმენტებს. ნაციონალურ და საუნივერსიტეტო დონეზე მონაცემების ყოველწლიური გაზომვისა და ანალიზის პროცესში გვხვდება უშუალოდ სტუდენტთა ჩართულობის ხარისხის კონტროლზე ორიენტირებული გამოკითხვებიც, რომელშიც გამოყენებულია ჩართულობის არაერთი ინდიკატორი. ასე მაგალითად, შეერთებულ შტატებსა და კანადაში დაახლოებით 1500 უნივერსიტეტი და სხვადასხვა კოლეჯი მონაწილეობს NSSE-ის(სტუდენტთა ჩართულობის ნაციონალური გამოკითხვა) გამოკითხვაში, რომელიც პირველად 2000 წელს განხორციელდა და სათავე დაუდო სხვა არაერთ ნაციონალურ დონის გამოკითხვის პრაქტიკას. ყოველწლიურად გამოკითხვაში 300 ათასიდან-დან 500 000-მდე სტუდენტი მონაწილეობს. დღიდან ფუნქციონირებისა, გამოკითხვაში 5 მილიონამდე სტუდენტმა მიიღო მონაწილეობა.

NSSE-ის კითხვარი ორიენტირებულია სტუდენტთა ჩართულობის 2 კრიტიკული მახასიათებლის გაზომვაზე. ერთი მხრივ, აქცენტი კეთდება იმ დროსა და დანახარჯზე, რომელსაც სტუდენტები დებენ სწავლის პროცესში, ხოლო მეორე მხრივ, იმ ინსტიტუციურ შემოთავაზებებსა და შესაძლებლობებზე, რომელსაც სთავაზობს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება სტუდენტების ჩართულობის უზურნველსაყოფად როგორც სწავლების, ისე კვლევის, ადმინისტრირებისა და სტუდენტური ექსტრაკურუკულარული აქტივობების განსახორციელებლად.

NSSE-ის ყოველწლიურად ახორციელებს კვლევას და აგროვებს მონაცემებს, როგორც წესი, საბაკალავრო საფეხურზე არსებული სტუდენტებისგან. მონაცემები გროვდება პირველკურსელთა და დამამთავრებელი კურსების სტუდენტებისგან და ხორციელდება ამ მონაცემების შედარებითი ანალიზი. სტუდენტთა ჩართულობის შესახებ მონაცემები გროვდება იმ საგანმანათლებლო პროგრამებსა და სხვა ექსტრაკურუკულარულ აქტივობებზე იმ მიზნით, რათა გამოვლინდეს ის, თუ რამდენად უწყობს საგანმანათლებლო დაწესებულება

სტუდენტს სწავლებისა და პირადი განვითარების შესაძლებლობების შეთავაზების პერსპექტივების ზრდის თვალსაზრისით. ამ გზით იზომება, თუ რა პერსპექტივა შეუქმნა სტუდენტის ჩართულობამ საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩაბარების დღიდან პროგრამის დასრულებამდე.

NSSE-ის კვლევის შედეგები ყოველწლიურად ქვეყნდება და გვაწვდის ინფორმაციას როგორც ნაციონალურ დონეზე არსებული, ისე გამოკითხვაში მონაწილე თითოეული საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ. NSSE-ის შედეგები აქტიურად გამოიყენება საგანმანათლებლო დაწესებულებების პოლიტიკის გასაუმჯობესებლად და საბაკალავრო პროგრამების გასაუმჯობესებლად კონკრეტულ საუკეთესო პრაქტიკებზე მითითებით. NSSE-ის შედეგები ხელმისაწვდომია საუნივერსიტეტო საქმიანობაში ჩართული ყველა დაინტერესებული პირისთვის, რათა წარმოდგენა შეექმნას სტუდენტის მიერ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გატარებული დროის შედეგების შესახებ და სტუდენტთა ჩართულობის კონკრეტული ზეგავლენების დასადგებად, რაც მნიშვნელოვანი ინფორმაციაა მომავალი პოლიტიკის დაგეგმვისა და გაუმჯობესებისთვის.

სტუდენტის ჩართულობაზე ორიენტირებული ნაციონალური დონის კითხვარებიდან, რომელიც უნდა მივიჩნიოთ კოლეჯების სტუდენტთა ანგარიშების NSSE-ის პრაქტიკის გაგრძელებად, აუცილებელი აღნიშვნას იმსახურებს შემდეგი ოთხი ინსტრუმენტი, რომელთა მიერ გამოყენებული ინდიკატორების ჩამონათვალიც დოკუმენტში ცალკეული დანართების სახითაა მოცემული და მნიშვნელოვან ინფორმაციას შეიცავს საქართველოში მონაცემების პერიოდული შეგროვებისა და მათზე რეაგირების ადეკვატური სისტემების შესამუშავებლად.

- სტუდენტთა ჩართულობის კითხვარი კოლეჯების ახალბედა სტუდენტებისთვის - [Beginning College Survey of Student Engagement](#)
- სტუდენტთა ჩართულობის კითხვარი საზოგადოებრივი კოლეჯებისთვის - [Community College Survey of Student Engagement](#)
- სტუდენტთა ჩართულობის კითხვარი აკადემიური პერსონალისთვის - [Faculty Survey of Student Engagement](#)
- სტუდენტთა ჩართულობის კითხვარი იურიდიული სკოლებისთვის - [Law School Survey of Student Engagement](#)

მსგავსი ინსტრუმენტის შექმნა და შეთავაზება საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო სისტემაში მოგცემდა მომნაცემების შეგროვებისა და ანალიზის საუკეთესო საშუალებას და შექმნიდა გამოკითხვის საფუძველზე მიღებული შედეგების საუნივერსიტეტო საგანმანათლებლო პოლიტიკის დაგეგმვის შესაძლებლობას.

სტუდენტური თვითმმართველობის სისტემა

სტუდენტური თვითმმართველობების სისტემის დასავლური პრაქტიკა ეყრდნობა ძალთა წონასწორობისა და ბალანსის საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებს და უმრავლეს შემთავხვევაში ინსტიტუციურ დონეზე შეთავაზებულია აღმასრულებელ, საკანონმდებლო და სასამართლო შტოებად დაყოფის სახით. სტუდენტთა თვითმმართველობები და მართვის

ორგანოები, როგორც წესი, დასავლურ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში წარმოდგენილია შემდეგი დანაყოფების სახით. თითოეულ მათგანს სათავაში უდგას შესაბამისი სახელდების მატარებელი სტუდენტური თვითმმართველობის წარმომადგენელი. ქვევით დეტალურად იქნება საუბარი თითოეულ მათგანზე, ფუნქციებზე, მოვალეობებსა და გადაწყვეტილებების მიღების სპეციფიკაზე, რათა ამ პრაქტიკების გათვალისწინებით შეიქმნას საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში არსებული თვითმმართველობების სტრუქტურის, საქმიანობისა და აქტივობების გაცილებით ეფექტური და ეფექტიანი მართვის შესაძლებლობა.

სტუდენტურ თვითმმართველობის სისტემაზე საუბრისას, განხილვას საჭიროებს პარალელურად, საუნივერსიტეტო სივრცეში მოქმედი სტუდენტურ ორგანიზაციებიც. სტუდენტური ორგანიზაციების რაოდენობა უნივერსიტეტებს შორის საკმაოდ ცვლებადია. გვხვდება უნივერსიტეტები დაახლოებით 30-დან 150-მდე ორგანიზაციის შემადგენლობით.

სტუდენტების ჩართულობა საუნივერსიტეტო და საზოგადოებრივი სერვისების განხორციელებაში

საუნივერსიტეტო სერვისების შემუშავებაზე, შექმნასა და შეთავაზებაზე საუბრისას, მნიშვნელოვანია მხედველობაში გვქონდეს ის გარემოება, რომ ამ მხრივ არსებობს სტუდენტთა ჩართულობის ინსტიტუციური და არაინსტიტუციური ფორმები.


ამავე დროს, მნიშვნელოვანი ხაზი გაესვას იმ ფაქტს, რომ სტუდენტები გარდა იმისა, რომ ჩართულები შეიძლება იყვნენ საკუთარი უნივერსიტეტის საქმიანობაში, ისინი აქტიურად მონაწილეობენ ქვეყნის საზოგადოებრივ ცხოვრებაში და აქტიურად მონაწილეობენ საზოგადოებრივი პრობლემების გადაწყვეტაში. ამ მხრივ, განსაკუთრებულ აღნიშვნას საჭიროებს ის გარემოება, რომ თითოეულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში არსებობს საზოგადოებრივი ცენტრები, რომლებიც ორიენტირებულია რომ სხვადასხვა ფორმით (ადვოკატირება, ფილანთროპია, მოხალისეობა, განათლება) დაეხმარონ პირველ რიგში, ადგილობრივი თემებსა და საზოგადოებას მათ წინაშე არსებული პრობლემების გადაწყვეტაში. მსგავსი მიზნით, უნივერსიტეტებში შესაძლებელია არსებობდეს კონკრეტული მიზნობრივი ინსტიტუციები (საზოგადოებრივი სერვისების ცენტრები, სოციალური პარტნიორობის ინსტიტუტები და სხვა). მსგავსი საუნივერსიტეტო ცენტრებისთვის აქტიურად გამოიყენება სახელწოდება „სტუდენტური ლიდერობისა და საზოგადოებრივი ჩართულობის ცენტრი“, რადგან აქცენტს აკეთებს მსგავსი აქტივობის მიზნობრიობაზე. ერთი მხრივ, მსგავს ცენტრებში სტუდენტთა ჩართულობა ხელს უწყობს სტუდენტებში ლიდერული უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებას, ქმნის უნივერსიტეტში სწავლის პერიოდში მიღებული ცოდნის პრაქტიკაში გადატანის პერსპექტივას და ამავე დროს საზოგადოებრივ პროდუქტს კონკრეტული პრობლემების გადაწყვეტის პერსპექტივით. მნიშვნელოვანია, რომ მსგავსი ექსტრაკურსულარული დატვირთვა სტუდენტის საკრედიტო დატვირთვაში აისახოს და საგანმანათლებლო სწავლების შემადგენელი ნაწილი იყოს.

გასათვალისწინებელია, რომ სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების მოდელის დამკვიდრებას შესაძლებელია ხელი შეუშალოს ისეთმა ფაქტორებმა, როგორცაა:

1. ადმინისტრაციული სირთულე;
2. უმაღლესი დაწესებულების სხვა პრიორიტეტები;
3. შეზღუდული ფინანსური მხარდაჭერა;
4. გადაწყვეტილების მიღების ზედმეტი ცენტრალიზაცია ან დეცენტრალიზაცია;
5. კონცეფციის არაადეკვატური აღქმა;
6. ნეგატიური დამოკიდებულებები კონცეფციის მიმართ;
7. მომავალი განვითარების შესახებ განსხვავებული ხედვები.

აღნიშნული წინააღმდეგობების მიუხედავად სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების მოდელის დანერგვა დღეს გარდაუვალი აუცილებლობაა, თუკი ჩვენ უმაღლესი განათლების გრძელვადიან საზოგადოებრივ სარგებელზე ვსაუბრობთ. დღეს ეს მოდელი წარმოადგენს ბოლონის პროცესის გაგრძელებას, რომელსაც საქართველოს უმაღლესმა დაწესებულებებმაც აქტიურად უნდა აიწყოთ ფეხი. ვფიქრობთ, პროექტის ფარგლებში შექმნილი პროდუქტი და შემოთავაზებული რეკომენდაციები სასარგებლო აღმოჩნდება ამ მიმართულებით საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო სისტემის შემდგომი გაუმჯობესების საქმეში.

გამოცდილებით, კონცეპტუალურ, გამოყენებით და კრეატიულ სწავლებაზე ორიენტირებული სწავლება (ადაპტირებული ვერსია: McCarthy, B. (1996). *About Learning*. Barrington, Ill.: Excel, Inc.)



გამოყენებული ლიტერატურა:

- Baturay, M.H. & Bay, O. F. (2010). The effects of problem-based learning on the classroom community perceptions and achievement of web-based education students. *Computers & Education*, 55, 43-52.
- BOLOGNA HANDBOOK website: <http://www.bologna-handbook.com>
- BRANDES, D. and GINNIS, P. (1986) *A Guide to Student-centred Learning*. (Oxford, Blackwell)
- BRITISH HIGHER EDUCATION ACADEMY website: <http://www.heacademy.ac.uk>
- Cavanagh M. (2011). Students' experiences of active engagement through cooperative learning activities in lectures. *Active Learning in Higher Education*, 12, 23-33.
- DE GRAFF, E. and KOLMOS, A. (eds.) (2007) *Management of Change: Implementation of Problem-Based and Project-Based Learning in Engineering*. (Rotterdam, Sense Publishers)
- EI (2010) *Enhancing Quality: Academics' Perceptions of the Bologna Process*. (Brussels, Education International)
- EI, ESU (2010) *Student-Centred Learning. An Insight into Theory and Practice*. (Brussels, Education International, European Students' Union)
- ENQA (2005) *Standards and Guidelines for Quality Assurance in the European Higher Education Area*. (Helsinki, the European Association for Quality Assurance in Higher Education)
- ENQA (2009) *Assessment Matters: The Quality Assurance of Student Assessment in Higher Education. Report of an International Working Group*. (Helsinki, the European Association for Quality Assurance in Higher Education)
- Ernst, M.D. (2012). Active learning? not with my syllabus! *Teaching Statistics: An International Journal for Teachers*, 34 (1), 21-24.
- ESU (2009) *Bologna at the Finish Line*. (Brussels, European Students' Union)
- EUROPEAN COMMISSION (2009) *European Credit Transfer System Users' Guide*. (Brussels, European Communities)
- EUROPEAN STUDENTS' UNION website: <http://www.esu-online.org>
- EUROPEAN UNIVERSITY ASSOCIATION website: <http://www.eua.be>
- GIBBS, G. (1995) *Assessing Student-Centred Courses*. (Oxford, Oxford Centre for Staff Learning and Development)
- Giles, J., Ryan, D.A. J., Belliveau, G., De Freitas, E. & Casey, R. (2006). Teaching style and learning in a quantitative classroom. *Active Learning in Higher Education*, 7, 213-225.
- Hall, D. and Buzwell, S. (2013). The problem of free-riding in group projects: Looking beyond social loafing as reason for non-contribution. *Active Learning in Higher Education*, 14, 37-49.
- HENRIKSEN, L.B., NØRREKLIT, L., JØRGENSEN, K. M., CHRISTENSEN, J. B. and O'DONNELL, D. (2004) *Dimension of Change— Conceptualising Reality in Organisational Research*. (Copenhagen, Copenhagen Business School)

Johnson, D., & Johnson, R. (1996). Cooperation and the use of technology. In D. Jonassen (Ed.), *Handbook of research for educational communications and technology* (pp. 1017–1044). New York: Macmillan.

Justice C., Rice J., Warry W., Inglis S., Miller S. & Sammon S. (2007). Inquiry in higher education: Reflections and directions on course design and teaching methods. *Innovative Higher Education*, 31, 201-14.

KEMBER, D. (2008) ›Promoting Student-Centred Forms of Learning across an Entire University‹. In: *Higher Education*, 58, pp.1-13.

LAVOIE, D. and ROSMAN, A. J. (2007) ›Using Active Student-Centred Learning-Based Instructional Design to Develop Faculty and Improve Course Design, Delivery, and Evaluation‹. In: *Issues in Accounting Education*, 22:1, pp.105-118.

LEA, S. J., STEPHENSON, D. and TROY, J. (2003) ›Higher Education Students' Attitudes to Student-Centred Learning: Beyond ›Educational Bulimia‹‹. In: *Studies in Higher Education*, 28(3), pp. 321–334.

Lipponen, L. (2002). Exploring foundations for computer-supported collaborative learning. In G. Stahl (Ed.), *4th CSCL: Foundations for a CSCL Community (CSCL-2002)*, Colorado, LEA, NJ, USA, 72-81.

Lucas, A.R. (2012). Using “WeBWork” a web-based homework delivery and grading system, to help prepare students for active learning. *PRIMUS*, 22 (2), 97-107.

McCarthy, B. (1981, 1987). *The 4MAT System: Teaching to Learning Styles with Right/Left Mode Techniques*. Barrington, Ill.: Excel, Inc.

McCarthy, B. (1996). *About Learning*. Barrington, Ill.: Excel, Inc.

MOUST, J.H.C., Van BERKEL, H.J.M and SCHMIDT, H.G. (2005) ›Signs of Erosion: Reflections on three decades of problem-based learning at Maastricht University‹. In: *Higher Education*, 50, pp.665-683.

O’NEILL, G. and McMAHON, T. (2005) ›Student-Centred Learning: What does it mean for Students and Lecturers?‹ In: O’Neill, G., Moore, S., McMullin, B. (eds). *Emerging Issues in the Practice of University Learning and Teaching*. (Dublin, AISHE)

ROGERS, C.R. (1983) *Freedom to Learn for the 80s*. (Columbus, OH: Charles Merrill)

SANTIAGO, P., TREMBLAY, K., BASRI, E., and ARNAL, E., (2008) *Tertiary Education for the Knowledge Society: OECD Thematic Review of Tertiary Education. Synthesis Report. Vol.2*. (Paris, Organisation for Economic Cooperation and Development)

UNIVERSITY OF ADELAIDE (2000) *Leap Into ... Student-Centred Learning*. (Adelaide, University of Adelaide)

UNIVERSITY COLLEGE DUBLIN CENTRE FOR TEACHING AND LEARNING website: <http://www.ucd.ie/teaching>

UNIVERSITY OF GLASGOW (2004) *Student-Centred Learning*. <http://www.gla.ac.uk/otherdepts/TLS/Project/Reports>

3. რაოდენობრივი კვლევის შედეგები საქართველოს ოთხ სახელმწიფო უნივერსიტეტში

3.1 ძირითადი შედეგები

ზოგადი შეფასებები

სამიზნე სახელმწიფო უნივერსიტეტების საერთო შერჩევის ყოველი მეორე რესპონდენტი (49.9%) იზიარებს პოზიციას, რომ საქართველოში ხარისხიანი უმაღლესი განათლების მიღება შესაძლებელია. თუმცა, კატეგორიულად დადებითი პოზიცია („სავსებით შესაძლებელია“) ამ მიმართულებით მხოლოდ დაახლოებით 22%-ს აქვს. რესპონდენტთა მესამედზე მეტი (35.2%) დაბალანსებული პოზიციის გამოხატვას ამჯობინებს („თანაბრად შესაძლებელიცაა და შეუძლებელიც“).

მნიშვნელოვანი სხვაობაა სამიზნე უნივერსიტეტებს შორის: ხარისხიანი განათლების მიღების თვალსაზრისით, ყველაზე მაღალი შეფასება თავიანთ უნივერსიტეტს თსუ-ის სტუდენტებმა მიანიჭეს (MEAN=4.1 ხუთ ქულიან სკალაზე), ყველაზე დაბალი კი – ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებმა (MEAN=3.5 ხუთ ქულიან სკალაზე). თუმცა, ყველა სამიზნე უნივერსიტეტში საერთო სურათი პოზიტიურია (ანუ, საშუალო მაჩვენებლები არასოდეს ექცევა უარყოფითი შეფასების „ველში“).

რაც შეეხება საკითხს, არის თუ არა სამიზნე უნივერსიტეტებში სწავლება მორგებული სტუდენტის ინტერესებზე, რესპონდენტებში, ოთხივე უნივერსიტეტში, არ არსებობს გამოკვეთილი პოზიცია ამ საკითხზე და მოსაზრებები გაყოფილია სხვადასხვა პოზიციებს („ვეთანხმები“, „არ ვეთანხმები“, „თანაბრად ვეთანხმები და არ ვეთანხმები“) შორის. ეს ცხადყოფს, რომ საქართველოს სახელმწიფო უმაღლესი სასწავლებლების ორიენტაცია სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების თვალსაზრისით ჯერ კიდევ წარმოადგენს გამოწვევას, რამდენადაც სტუდენტთა მხოლოდ 34–42%-ის ფარგლებში ეთანხმება სამიზნე უნივერსიტეტებში სტუდენტებზე ორიენტირებული სწავლების პრაქტიკის არსებობას.

სასწავლო პროგრამების სხვადასხვა ასპექტის შეფასება და ცვლილებების მხარდაჭერა

საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების ზოგადი შეფასება

სასწავლო პროგრამების (საბაკალავრო, სამაგისტრო) შეფასებისას, როგორც წესი, რესპონდენტთა გამოკვეთილი უმრავლესობა (60%-ზე მეტი) დადებითი შეფასებებს („ძალზე დადებითი“, „უფრო დადებითი“) გამოთქვამს. გამონაკლისია ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, სადაც სტუდენტთა მხოლოდ ნახევარი აფასებს დადებითად საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამებს. ყველაზე მაღალი კოეფიციენტით, სასწავლო პროგრამებს თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტები აფასებენ (ბაკალავრიატი - MEAN =

3.89, მაგისტრატურა - MEAN = 4.03). დანარჩენ 3 უნივერსიტეტში სამაგისტრო პროგრამებს, თავისთავად დადებითი, თუმცა საბაკალავრო პროგრამებთან შედარებით უარესი მაჩვენებლები აქვს.

საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების შეფასება სხვადასხვა კომპონენტის მიხედვით

რესპონდენტებისთვის შეთავაზებული 13 კომპონენტიდან აბსოლუტური უმრავლესობა (12 კომპონენტი) დადებითი შეფასების „ველში“ მოხვდა (MEAN>3-ზე), როგორც საბაკალავრო, ისე სამაგისტრო პროგრამებთან მიმართებაში. ეს კომპონენტები მოიცავდა როგორც სასწავლო პროგრამების შინაარსს (პროგრამების სავალდებულო და არჩევით კომპონენტებს, სწავლების მრავალფეროვანი მეთოდების გამოყენებას და სხვ.), ისე პროგრამების განხორციელების პირობებს (პედაგოგთა კვალიფიკაცია, სასწავლო მასალები, მატერიალურ-ტექნიკური საშუალებები და სხვ.). ერთადერთი კომპონენტი, რომელიც სტუდენტების ნახევარმა (საბაკალავრო პროგრამებთან მიმართებაში). ხოლო უმრავლესობამ (60.2%) (სამაგისტრო პროგრამებთან მიმართებაში) უარყოფითად შეაფასა (MEAN = 2.28) – სასწავლო პროგრამებში უცხოელი პედაგოგების მონაწილეობაა.

აღსანიშნავია, რომ საერთო შერჩევის სტუდენტების დაახლოებით მეოთხედი უარყოფითად აფასებს სასწავლო პროგრამების (როგორც საბაკალავრო, ისე სამაგისტრო) ისეთ კომპონენტს, როგორცაა პედაგოგების კლასგარეშე მუშაობა სტუდენტებთან; გარდა ამისა, გამოკითხულთა დაახლოებით მეხუთედს არ აკმაყოფილებს სასწავლო პროგრამების უზრუნველყოფა მატერიალურ-ტექნიკური საშუალებებით (პროექტორი, კომპიუტერი, პრინტერი და სხვ.).

ისეთ კომპონენტებთან მიმართებაში, როგორცაა სასწავლო პროგრამების უზრუნველყოფა ქართულენოვანი სასწავლო მასალებით და სასწავლო პროგრამის არჩევითი კომპონენტი, სამაგისტრო პროგრამებს რესპონდენტთა უფრო მეტი რაოდენობა აფასებს უარყოფითად, საბაკალავრო პროგრამებთან შედარებით.

აღმოჩნდა, რომ უფრო კრიტიკულად განწყობილები სასწავლო პროგრამების კომპონენტების შეფასებისას თბილისის და ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტების სტუდენტები არიან, ხოლო ყველაზე აღმატებულ შეფასებებს თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტები გამოთქვამენ.

სტუდენტთა შეფასების სხვადასხვა ასპექტის მიმართ დამოკიდებულება

კვლევამ აჩვენა, რომ სტუდენტთა შეფასებისას, სემინარზე აქტიურობა და ტესტირება ყველაზე გავრცელებული საშუალებებია. გამოყენების კარგი მაჩვენებლები აქვს, აგრეთვე, ზეპირ პრეზენტაციას, განსაკუთრებით როგორც შუალედური გამოცდის ფორმას. შედარებით ნაკლებად გამოიყენება ესეების, ანგარიშებისა და რეფერატების მიხედვით სტუდენტების შეფასება. კიდევ უფრო ნაკლებად პოპულარულია ე.წ. ქვიზების მეთოდი. ამდენად, ეს შედეგი შეფასების სისტემას სახელმწიფო უნივერსიტეტებში ნაკლებად მრავალფეროვნად წარმოადგენს.

ყველა სამიზნე სახელმწიფო უნივერსიტეტში რესპონდენტთა უმრავლესობა (60%-ზე მეტი) შეფასების ობიექტურობაზე („ძალზე ობიექტურად“ ან „უფრო ობიექტურად“) მიუთითებს. ობიექტურობის მაჩვენებლები შედარებით კლებულობს (თუმცა, მაინც უმრავლესობას (59.6%) შეადგენს ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებში).

კარგი მაჩვენებლები აქვს, აგრეთვე, საკითხს იმის შესახებ, თუ რამდენად გამჭვირვალეა ის სისტემა/პროცედურები, რომელსაც ლექტორები იყენებენ სტუდენტთა ცოდნის, აქტივობის ან ნაშრომის შესაფასებლად. საერთო შერჩევის 68.9% შეფასების სისტემას/პროცედურებს „ძალზე“ ან „უფრო“ გამჭვირვალედ აფასებს ეს ტენდენცია ნარჩუნდება ცალკეულ უნივერსიტეტებშიც.

აპელაციის შესაძლებლობა და პრაქტიკა

სამიზნე სახელმწიფო უნივერსიტეტები სტუდენტებს აძლევს მიღებული შეფასებების გასაჩივრების (აპელაციის) უფლებას/შესაძლებლობას. თუმცა, მაშინ, როდესაც საქმე აპელაციის შესაძლებლობის გამოყენებას (ანუ, პრაქტიკას) ეხება, მნიშვნელოვანი განსხვავებებია უნივერსიტეტებს შორის: თსუ-ში გასაჩივრების უფლებას სტუდენტთა გამოკვეთილი უმრავლესობა (62%-მდე) იყენებს, დანარჩენ 3 უნივერსიტეტში კი საპირისპირო სურათი გვაქვს - ქუთაისისა და ბათუმის უნივერსიტეტებში გასაჩივრებას სტუდენტთა უმცირესობა მიმართავს (შესაბამისად, 22% და 14.5%), თელავის უნივერსიტეტში კი ეს პრაქტიკა თითქმის არ გამოიყენება (228-დან მხოლოდ 8 სტუდენტს აქვს გასაჩივრების უფლება გამოყენებული).

იმ სტუდენტთაგან, ვინც აპელაციის უფლება გამოიყენა, 83%-ს შედეგები გაუსაჩივრებია ერთხელ. აპელაციის შემთხვევათა ნახევარზე მეტი ყოველთვის ან ძირითადად გამამართლებელი შედეგებით დამთავრდა; მხოლოდ შემთხვევების 11.2% აღმოჩნდა ყოველთვის ან ძირითადად გამამტყუნებელი. თუმცა, ამ თვალსაზრისით, განსხვავებაა უნივერსიტეტებს შორის: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ყოველთვის ან ძირითადად გამამტყუნებელი განაჩენები ფიქსირდება აპელაციათა 14.8%-ში, ქუთაისის უნივერსიტეტში - აპელაციათა 7%-ში, ხოლო ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში - არცერთხელ.

სტუდენტების უკუკავშირი მათი გამოკითხვის გზით

სწავლების ხარისხზე სტუდენტების თვალსაზრისის კვლევას რეგულარული სახე მხოლოდ შემთხვევათა 30%-ში აქვს („ხდება ყოველი სემესტრის ბოლოს, ყველა კურსთან მიმართებაში“). დანარჩენი პასუხები - „ხდება ზოგიერთ კურსთან მიმართებაში“, „ხდება არარეგულარულად“ და ა.შ. მეტყველებს იმაზე, რომ სტუდენტთა უკუკავშირს, მათი გამოკითხვის გზით, არ აქვს სისტემური სახე და უშუალოდ პროფესორების ან ფაკულტეტის ადმინისტრაციის პირად ინიციატივას წარმოადგენს; მართალია, 11.3%-ია იმ სტუდენტთა

წილი, რომლებიც ამბობენ, რომ ისინი არავის გამოუკითხავს, მაგრამ გასათვალისწინებელია „მიჭირს პასუხის გაცემის“ 14.5%-იც, რაც მიუთითებს იმაზე, რომ უნივერსიტეტები ან ვერ ახდენს სტუდენტთა გარკვეული ნაწილის ჩართვას გამოკითხვაში, ან ინფორმაციის არარსებობა ამის თაობაზე, უბრალოდ ნიშნავს გამოკითხვის არარსებობას.

ცვლილებების მხარდაჭერა

სტუდენტების უმრავლესობა მომხრეა ცვლილებების, რომლებიც სტუდენტზე ორიენტირებულ სწავლებას უკავშირდება. ეს გამოიხატება სასწავლო პროგრამებში არჩევითი საგნების წილის გაზრდით, რასაც სტუდენტების უმრავლესობა (58.3%) ეთანხმება. იგივე ითქმის სასწავლო პროგრამებში თავისუფალი კრედიტების გაზრდის მიმართ მხარდაჭერაზეც (51%). აღნიშნულ დამოკიდებულებას აძლიერებს გამოკითხულთა დიდი ნაწილის (42.7%) მიერ იმ ცვლილების მიუღებლობა, რომ „საჭიროა გაიზარდოს სავალდებულო საგნების რაოდენობა“ (სავალდებულო საგნების გადაჭარბებული წილი კურიკულუმში სასწავლო პროგრამებს ხისტად აქცევს და სტუდენტის ინტერესების დაკმაყოფილების მიმართ მოუქნელს ხდის).

გამოკითხულ სტუდენტთა გამოკვეთილი უმრავლესობა (70%-ზე მეტი) ეთანხმება ისეთი ცვლილებების გატარებას, როგორცაა: კურსებზე ალტერნატიული პედაგოგების შეთავაზება, სტუდენტთა უკუკავშირის გათვალისწინება პედაგოგების შერჩევისას, სწავლების უფრო მრავალფეროვანი მეთოდების გამოყენება, სტუდენტთა აპელაციების მათი თანდასწრებით განხილვა და ა.შ.

ყველა სამიზნე უნივერსიტეტის მიერ ცვლილებების უმრავლესობის გაზიარების მიუხედავად, ისეთ ინდიკატორებთან მიმართებაში, როგორცაა არჩევითი საგნების და თავისუფალი კრედიტების წილის გაზრდა, სავალდებულო საგნების შეზღუდვის ხარჯზე, ყველაზე თანმიმდევრული პოზიცია თბილისის და ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტების სტუდენტებს აქვთ, ხოლო ყველაზე არათანმიმდევრული და ოპორტუნისტული – ქუთაისის და თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებს.

დასაქმების ხელშეწყობა

კვლევა აჩვენებს, რომ რესპონდენტებისთვის ბაკალავრიატის დამთავრება, დასაქმებისთვის საჭირო კვალიფიკაციის მიღების თვალსაზრისით, კარგი გამოსავალი არ არის: ერთმნიშვნელოვანი ოპტიმიზმი („სავსებით საკმარისია“) რესპონდენტთა მხოლოდ 16.4%-ს გააჩნია, ხოლო ზომიერი ოპტიმიზმი („უფრო საკმარისი, ვიდრე არასაკმარისი“) – 21.7%-ს. ამ საკითხზე რეზისტენტულად განწყობილთა წილი 26.5%-ია. მაგისტრატურასთან მიმართებაში ვითარება უკეთესად გამოიყურება: რესპონდენტთა თითქმის 46% მიიჩნევს, რომ მაგისტრატურაში მიღებული განათლება საკმარისია („სავსებით“ ან „უფრო“), რათა ისინი კომპიუტერულ სპეციალისტებად იქცნენ შრომის ბაზარზე. თუმცა, ისიც ფაქტია, რომ

დასაქმების მოლოდინი, თვით მაგისტრატურის დასრულების შემთხვევაში, სტუდენტთა უმრავლესობას არ აქვს.

გამოკითვის მონაცემები აჩვენებს, რომ სახელმწიფო უნივერსიტეტებში სასწავლო პროგრამების მდგომარეობა, პრაქტიკული კომპონენტების (რაც სტუდენტთა დასაქმებას უწყობს ხელს) დაფარვის თვალსაზრისით, დრამატულია; გამოკვეთილია უარყოფითი პასუხები („არ არსებობს“) ისეთ კომპონენტებთან მიმართებაში, როგორცაა: პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავებაზე ორიენტირებული კურსები, ლაბორატორიული გაკვეთილები/საველე პრაქტიკები, პრაქტიკის გავლა/სტაჟირება ორგანიზაციებში, დამსაქმებლებისთვის სპეციალისტების მიზნობრივად მომზადება, პრაქტიკოსი სპეციალისტების ჩართვა ლექციების წასაკითხად და სხვა (უარყოფითი პასუხები, სხვადასხვა კომპონენტის მიხედვით, მერყეობს 39–57%-ის ფარგლებში).

საგულისხმოა განსხვავებები სამიზნე უნივერსიტეტებს შორის: ა) თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში შედარებით უკეთესი ვითარებაა ისეთ კომპონენტთან მიმართებაში, როგორცაა პრაქტიკოსი სპეციალისტების ჩართვა ლექციების წასაკითხად; ბ) ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტში პრაქტიკული სწავლების ყველა კომპონენტი ცუდადაა განვითარებული; გ) ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში შედარებით უკეთესი ვითარებაა მხოლოდ ერთი კომპონენტის მიხედვით: სასწავლო პროგრამებში ლაბორატორიული გაკვეთილების/საველე პრაქტიკების არსებობა; დ) თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტში შედარებით უკეთესი მდგომარეობაა ისეთ კომპონენტებთან მიმართებაში, როგორცაა პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავებაზე ორიენტირებული კურსები და პრაქტიკის გავლა/სტაჟირება ორგანიზაციებში (დასახელებულ უნივერსიტეტებში, ამა თუ იმ კომპონენტთან მიმართებაში, დადებითი პასუხების („არსებობს“) ბალანსი აჭარბებს უარყოფით პასუხებს).

ის სტუდენტები, რომლებიც დასაქმების უნარ-ჩვევების გამომუშავებაზე ორიენტირებული სწავლების არსებობას ადასტურებენ, ძირითადად კმაყოფილები არიან სხვადასხვა ასპექტებით (პრაქტიკული სწავლების დაბალანსებული წილი სასწავლო პროგრამებში, საერთო დონე, პედაგოგთა კვალიფიკაცია და სხვ.). კრიტიკული შეფასებები გამოითქმის პრაქტიკული სწავლების მატერიალურ-ტექნიკური საშუალებებით უზრუნველყოფის მიმართ.

ინტერნაციონალიზაცია

უცხო ენების სწავლება

როგორც საერთო შერჩევის მონაცემები აჩვენებს, სამიზნე უნივერსიტეტებში სამ ევროპულ ენას (ინგლისური, ფრანგული, გერმანული) შორის ინგლისური ენის სწავლება (როგორც სწავლების შესაძლებლობის, ისე სტუდენტთა არჩევანის მიხედვით) გაცილებით ინტენსიურად ხდება, ვიდრე გერმანულის და ფრანგულის (88.7% სწავლობს ინგლისურს,

6.4% – გერმანულს, ხოლო 4.1% – ფრანგულას). ამას გარდა, სტუდენტების 18.2% აღნიშნავს, რომ შეუძლია შეისწავლოს რუსული ენა, 2.4% თურქული ენის შესწავლის შესაძლებლობაზე მიუთითებს, იტალიური ენის შესწავლის შესაძლებლობაზე – 0.8% და ა.შ. თუმცა, საერთო ჯამში, სტუდენტთა საერთო შერჩევის მხოლოდ 8.6% სწავლობს სხვა უცხო ენებს, ინგლისურის, გერმანულის და ფრანგულის გარდა.

როგორც აღმოჩნდა, ქუთაისის უნივერსიტეტი, სხვა სამიზნე უნივერსიტეტებთან შედარებით, უფრო ფართოდ (ინტენსიურად) სთავაზობს სტუდენტებს როგორც გერმანული, ისე ფრანგული ენების შესწავლის შესაძლებლობას.

უცხო ენებს, რომლებიც უნივერსიტეტის სასწავლო პროგრამის ფარგლებში უკვე ისწავლეს, ან სწავლობენ, სტუდენტების უმრავლესობა დადებითად აფასებს. თუმცა, გამოვლინდა ერთი მნიშვნელოვანი განსხვავება: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტები გაცილებით ნაკლებად აფასებენ უცხო ენების სწავლებას დადებითად, ვიდრე სხვა უნივერსიტეტების სტუდენტები.

საერთო შერჩევის მონაცემები აჩვენებს, რომ სტუდენტების მნიშვნელოვანი ნაწილისთვის (მერყეობს 27–48%-ის ფარგლებში) იშვიათი ან საერთოდ ხელმიუწვდომელი პრაქტიკაა ინტერნაციონალიზაციაზე მიმართულ ისეთ აქტივობებში ჩართვა, როგორცაა: უცხოეთის უნივერსიტეტებთან გაცვლით პროგრამებში, საერთაშორისო სკოლებში (ზამთრის/ზაფხულის), საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობა, უცხოენოვანი კურსების მოსმენა, უცხოელი მეცნიერების პრეზენტაციების შეთავაზება და სხვ. საერთო შერჩევის მხოლოდ საშუალოდ ყოველი მეხუთე სტუდენტი მიუთითებს საერთაშორისო გამოცდილების მიღების რეგულარულად შეთავაზებაზე უნივერსიტეტების მხრიდან.

იკვეთება ერთი მნიშვნელოვანი განსხვავება უნივერსიტეტებს შორის: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, სხვა სამიზნე უნივერსიტეტებთან შედარებით, მნიშვნელოვნად დაწინაურებულია სტუდენტთათვის საერთაშორისო გამოცდილების მიღების და ინტერნაციონალიზაციაზე მიმართული აქტივობების შეთავაზებით.

სტუდენტთა მომსახურება

მომსახურების დონის ზოგადი შეფასება

სტუდენტთა მომსახურების დონე საერთო შერჩევაში ძირითადად დადებითად არის შეფასებული სტუდენტების მიერ, თუმცა ერთმნიშვნელოვნად დადებითად შემფასებელთა წილი დაბალია (10.5% - „ძალზე დადებითად“, 36.2% - „უფრო დადებითად, ვიდრე უარყოფითად“).

თსუ ერთადერთი უნივერსიტეტია სამიზნე უნივერსიტეტებს შორის, სადაც სტუდენტთა მომსახურება უფრო მეტად უარყოფითადაა შეფასებული (38.5%), ვიდრე დადებითად (36.8%). დანარჩენი უნივერსიტეტების შემთხვევაში, დადებითი შეფასებები უარყოფითს მინიმუმ 23%-ით აღემატება.

მატერიალური რესურსების და ინფრასტრუქტურის შეფასება

საერთო შერჩევის მონაცემები აჩვენებს, რომ აუდიტორიების მდგომარეობა ორი ისეთი მნიშვნელოვანი კომპონენტის მიხედვით, როგორცაა მათი რემონტი და ტექნიკური აღჭურვილობა, შეფასების უარყოფით „ველშია“ მოქცეული (შესაბამისად, MEAN= 2.85 და 2.88). უფრო დადებითად ვასდება აუდიტორიების ფართი, განათება და გათბობა.

სტუდენტების აბსოლუტური უმრავლესობა ადასტურებს რესურს ცენტრისა (97%) და ბიბლიოთეკის (99%) ფუნქციონირებას თავიანთ უნივერსიტეტებში. თუმცა, ეს მონაცემები მცირდება, როდესაც შევითხვა ვიწროვდება და რესურს ცენტრის და ბიბლიოთეკის არსებობას იკვლევს, ერთი მხრივ, ფაკულტეტზე და, მეორე მხრივ, დეპარტამენტზე/ინსტიტუტზე/მიმართულებაზე. ფაკულტეტის შემთხვევაში, გამოკითხულთა 8%-მდე აღნიშნავს, რომ ფაკულტეტზე რესურს ცენტრი არ არსებობს, ხოლო ბიბლიოთეკის არსებობას უარყოფს 25.3%. კიდევ უფრო პრობლემურია რესურს-ცენტრის და ბიბლიოთეკის არსებობა მიმართულებაზე/ინსტიტუტში/დეპარტამენტში (რესურს ცენტრი არ არსებობს – 9%; ბიბლიოთეკა არ არსებობს – 28.6%).

აღსანიშნავია, რომ ფაკულტეტზე და დეპარტამენტზე/ინსტიტუტზე/მიმართულებაზე რესურს ცენტრის და ბიბლიოთეკის არსებობის თვალსაზრისით, ყველაზე სავალალო მდგომარეობა თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტშია (მაგალითად, თელაველი სტუდენტების 70.3% უარყოფს ფაკულტეტზე ბიბლიოთეკის არსებობას, ხოლო 71.4% – დეპარტამენტზე/მიმართულებაზე ბიბლიოთეკის არსებობას).

რაც შეეხება რესურს ცენტრების და ბიბლიოთეკის შეფასებას სხვადასხვა პარამეტრით: სტუდენტები განსაკუთრებით უჩივიან რესურს ცენტრის 2 კომპონენტს: პრინტერების არასაკმარის რაოდენობას და სკანერის გამოყენების შესაძლებლობას (ამ კომპონენტების მაჩვენებლებში შეფასების უარყოფით „ველშია“ მოხვდა). ბიბლიოთეკებთან მიმართებაში, სტუდენტების მნიშვნელოვანი ნაწილის პრეტენზია ძირითადად ეხება ბიბლიოთეკაში ელექტრონული ბაზების არსებობას, მათ ხელმისაწვდომობას საუნივერსიტეტო სივრცის მიღმა და ეგზემლარების (წიგნების) არასაკმარის რაოდენობას.

როგორც მონაცემები აჩვენებს, უნივერსიტეტებში ძალზე მძიმე ვითარებაა შშმ პირთათვის შესაბამისი ინფრასტრუქტურის უზრუნველყოფის თვალსაზრისით, სტუდენტების დიდი ნაწილი უჩივის, ასევე, სასადილოების არარსებობას ან არსებული სასადილოების ცუდად მუშაობას (ეს ორი პარამეტრი შეფასების უარყოფით „ველშია“ მოქცეული – MEAN < 3-ზე, 5

ქულიან სკალაზე); დაბალი მაჩვენებლები (ნეიტრალურ პუნქტთან ძალიან ახლოს) აქვს, აგრეთვე, სპორტული დარბაზების/მოედნების და საპირფარეშოების მდგომარეობის შეფასებას.

სტუდენტთა რეგისტრაციის და გამოცდების შეფასების სისტემები

საერთო შერჩევის მხოლოდ 25.5% მიუთითებს, რომ სასწავლო კურსებზე სტუდენტთა რეგისტრაციისთვის ელექტრონული ბაზების სისტემა გამოიყენება. და აღსანიშნავია, რომ ეს რესპონდენტები ყველა თსუ-ის სტუდენტები არიან. ეს ნიშნავს, რომ ყველა სხვა სამიზნე უნივერსიტეტში რეგისტრაციის კუსტარული ფორმა გამოიყენება (სპეციალისტის მიერ სტუდენტის სიაში „ხელით“ ჩასმა).

რაც შეეხება შუალედური და საბოლოო გამოცდების ადმინისტრირებას, უნივერსიტეტების მიხედვით ძალზე განსხვავებული შედეგები დაფიქსირდა: თსუ-ის სტუდენტების 25.4% მიუთითებს, რომ ადმინისტრირება „მხოლოდ ცენტრალიზებულად“ ხდება, ქუთაისის უნივერსიტეტის შემთხვევაში ეს მონაცემები - 14%-ია, ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის შემთხვევაში - 2.9%, ხოლო თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის შემთხვევაში - 70.3%.

გამოკითხულების ყველაზე დიდი ნაწილი (46.5%) გამოცდების ადმინისტრირების შერეული (როგორც ცენტრალიზებული, ისე ინდივიდუალური) წესის გამოყენებას ანიჭებენ უპირატესობას.

უნივერსიტეტის სხვადასხვა დონის ადმინისტრაციის შეფასება

შეფასებები ადმინისტრირების სამივე (საუნივერსიტეტო/საფაკულტეტო/დეპარტამენტის) დონეზე სხვადასხვა კომპონენტში (მომსახურების ოპერატიულობა, პროცედურების გამართულობა და გამჭვირვალობა, სტუდენტებთან ეთიკის ნორმების დაცვა) დადებითისკენ იხრება (MEAN>3-ზე, 5 ქულიან სკალაზე). დადებითი შეფასებები მატულობს, როდესაც ცენტრალური ადმინისტრაციიდან კითხვა გადადის ფაკულტეტსა და მიმართულებაზე/დეპარტამენტზე. ეს ტენდენცია შეიძლება აიხსნას იმით, რომ ფაკულტეტის ადმინისტრაცია ცენტრალურთან შედარებით, უფრო ლოკალურია, ისევე როგორც, მიმართულებისა – ფაკულტეტთან შედარებით. ასეთი „ლოკალურობა“ ამცირებს დისტანციას სტუდენტებსა და ადმინისტრაციის წარმომადგენლებს შორის და კომუნიკაციასაც უფრო რეგულარულს და ეფექტიანს ხდის.

მართვაში მონაწილეობა

სტუდენტების გავლენის ხარისხი უნივერსიტეტში მიმდინარე პროცესებზე

ყველა სამიზნე უნივერსიტეტში სტუდენტების გამოკვეთილმა უმრავლესობამ საკუთარი გავლენა შიდასაუნივერსიტეტო პროცესებზე შეაფასეს როგორც „საშუალო“ ან „სუსტი“. თსუ-ში ყველაზე მაღალია „სუსტი“ გავლენის მაჩვენებელი, ხოლო „ნულოვან“ გავლენას, სამიზნე უნივერსიტეტებს შორის, ყველაზე მაღალი წილი თსუ-ში აქვს (თსუ-ში საშუალო და სუსტი გავლენის ჯამური მაჩვენებელი უმრავლესობას – 51%-ს შეადგენს).

რაც შეეხება სტუდენტთა გავლენას ფაკულტეტის დონეზე, ამ შემთხვევაში გავლენის ხარისხი იმატებს. კერძოდ, ყველა სამიზნე უნივერსიტეტში იზრდება „ძლიერი“ გავლენის მაჩვენებლები; თუმცა, ფაკულტეტის დონეზეც, წამყვანი პოზიცია „საშუალო“ გავლენას აქვს.

სხვადასხვა საუნივერსიტეტო/საფაკულტეტო სტრუქტურის წევრობა და საპროტესტო აქტივობები

საერთო შერჩევის სტუდენტების ძალზე მცირე ნაწილია ჩართული საუნივერსიტეტო/საფაკულტეტო მმართველობით სტრუქტურებში (სენატის წევრობაზე გამოკითხულთა 1.4% მიუთითებს, ხოლო ფაკულტეტის წევრობაზე – 4.3%). დაბალია სტუდენტურ ალტერნატიულ ორგანიზაციებში გაერთიანების და პროცესებზე გავლენის მოხდენის არაფორმალური მცდელობების - საპროტესტო აქციების, მანიფესტაციების, თუ სოციალური ქსელებით გამოხატული პროტესტის – მაჩვენებლებიც (საშუალოდ 10%).

თუ აღნიშნულ მონაცემებს ცალკეული უნივერსიტეტების ჭრილში განვიხილავთ, აღმოჩნდება, რომ იმ აქტივობების თვალსაზრისით, რომლებიც უკავშირდება საპროტესტო აქციებში, მანიფესტაციებში, თუ სოციალური ქსელებით გამოხატული პროტესტში სტუდენტების მონაწილეობას, შედარებით აქტიურნი თბილისის და ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტების სტუდენტები არიან.

3.2 მეთოდოლოგია

რაოდენობრივი კვლევის მიზანს წარმოადგენდა საქართველოს 4 წამყვან სახელმწიფო უნივერსიტეტში (ეს უნივერსიტეტებია: ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი (თსუ), აკაკი წერეთლის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, იაკობ გოგებაშვილის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი და ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი³) არსებული სიტუაციის შესწავლა სტუდენტზე ორიენტირებული სწავლებისა და მომსახურების ძირითადი პრინციპებისა და ინდიკატორების მიხედვით.

კვლევის სამიზნე ჯგუფს წარმოადგენდა დასახელებული უმაღლესი სასწავლებლების ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის სტუდენტები.⁴ კვლევის მეშვეობით მოხდა სამიზნე ჯგუფის მიერ არსებული რეალობის შეფასება იმ ინდიკატორების საფუძველზე, რომლებიც სტუდენტზე ორიენტირებულ სწავლებას განსაზღვრავს (თავის მხრივ, ეს ინდიკატორები განისაზღვრა თვისებრივი კვლევის საფუძველზე, ფოკუს ჯგუფების მეთოდით).

პირველადი ინფორმაციის შეგროვების მეთოდად გამოყენებულ იქნა მასობრივი გამოკითხვა, კერძოდ, მისი ისეთი ფორმა, როგორცაა პირისპირ (face to face) ინტერვიუ.

კვლევის ინსტრუმენტია სტანდარტიზებული კითხვარი, რომლის დიზაინი მოხდა ჯგუფურ დისკუსიებში გამოვლენილი, სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების ინდიკატორების საფუძველზე.⁵ კითხვარი ძირითადად შედგებოდა დახურული შეკითხვებისაგან, თუმცა, გამოყენებულ იქნა ღია და ნახევრად დახურული შეკითხვების ფორმატიც. ამასთან, კითხვარში ჩართული იყო შეკითხვები ურთიერთგამომრიცხავი პასუხებით (სადაც ერთი ვარიანტის არჩევა იყო შესაძლებელი) და შეკითხვები, რომლებზეც რამდენიმე პასუხის გაცემა იყო შესაძლებელი.

სტუდენტთა გამოკითხვა მოხდა უნივერსიტეტებში, კონფიდენციალობის პრინციპის დაცვით. ინტერვიუზე დათანხმების წილი (response rate) შეადგენდა 90%-ს.

³ანგარიშში გამოყენებული იქნება შემდეგი აბრევიატურები: „თსუ“, „აწსუ“, „თესაუ“, „ბსუ“.

⁴გამოკითხვაში მონაწილეობა არ მიუღია ბაკალავრიატის პირველი კურსის სტუდენტებს. ასეთი შეზღუდვა განპირობებული იყო იმ დაშვებით, რომ პირველურსელებს გაუჭირდებოდათ უნივერსიტეტებში არსებული სიტუაციის ადეკვატური შეფასება.

⁵კითხვარის სამუშაო ვერსიას ჩაუტარდა პილოტაჟი. კითხვარის პილოტირების ეტაპზე ინტერვიუებმა დაახლოებით 15 პირისპირ ინტერვიუ ჩაატარეს. პილოტაჟმა გადაამოწმა კითხვებს შორის ლოგიკური კავშირები და, ასევე, ამა თუ იმ კითხვის რელევანტურობა.

შერჩევის მოცულობა შეადგენს 1151 დასრულებულ ინტერვიუს (შერჩევის ასეთი მოცულობა გამოწვეულია თითოეული სამიზნე უნივერსიტეტისთვის რეპრეზენტატული მონაცემების მიღების საჭიროებით).

შერჩევის მოცემული მოცულობისთვის *ცდომილების მნიშვნელობა* შეადგენს 2.7%-ს, ხოლო ცალკეული უნივერსიტეტებისათვის (ქვეჯგუფებისთვის) – საშუალოდ 5.5%-ს, 95%-იანი საიმედოობისთვის.

შერჩევის ჩარჩოა სტუდენტების (ბაკალავრიატი, მაგისტრატურა) ბაზა ოთხივე სამიზნე უნივერსიტეტში. ბაზების მოპოვება მოხდა უნივერსიტეტების ადმინისტრაციიდან გამოთხოვილი სტატისტიკური ინფორმაციის საფუძველზე.

შერჩევის დიზაინია მრავალსაფეხურიანი სტრატეგიული შერჩევა (multi-stage stratified sampling). შერჩევის დიზაინში გათვალისწინებულია ცალკეული საუნივერსიტეტო და სწავლების საფეხურის (ბაკალავრიატი, მაგისტრატურა) ჭრილები.

შერჩევის პირველად ერთეულს (primary sampling unit) წარმოადგენს უმაღლესი სასწავლებელი. უმაღლესი სასწავლებლების შერჩევა განხორციელდა მიზნობრივად. როგორც უკვე აღინიშნა, შეირჩა 4 უმაღლესი სასწავლებელი საქართველოს მასშტაბით. შერჩევის მეორად ერთეულს (secondary sampling unit) წარმოადგენს ფაკულტეტები. შერჩევის ბოლოვად ერთეულს (final sampling unit) წარმოადგენს სწავლების სხვადასხვა საფეხურის სტუდენტები (ბაკალავრიატი, მაგისტრატურა).

საწის ეტაპზე, შერჩევის მოცულობა გადანაწილდა ოთხივე უნივერსიტეტზე ისე, რომ თითოეული უნივერსიტეტისათვის უზრუნველყოფილი ყოფილიყო შერჩევის თანაბარი ცდომილება (საშუალოდ 5.5%). შემდგომ ეტაპზე, თითოეული უნივერსიტეტის შიგნით, სტუდენტების რაოდენობა გადანაწილდა ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის სტუდენტებს შორის, იმ გაანგარიშებით, რომ შესაძლებელი ყოფილიყო ორივე საფეხურისათვის რეპრეზენტატული შედეგების მიღება. შემდგომ ეტაპზე, ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის სტუდენტები გადანაწილდნენ ცალკეულ ფაკულტეტებზე მათი რაოდენობის პროპორციულად. ფაკულტეტებზე საკუთრივ სტუდენტების (რესპონდენტების) შერჩევა განხორციელდა მარტივი შემთხვევითი შერჩევით. ინტერვიუებმა ცალკეულ ფაკულტეტებზე მოიპოვეს სტუდენტების სიები (ბაკალავრიატს და მაგისტრატურის მიხედვით) და მათგან შემთხვევითი წესით შეარჩიეს გამოსაკითხი რესპონდენტები.

უნივერსიტეტების მიხედვით რესპონდენტთა რაოდენობა ასე გადანაწილდა (იხ. ცხრილი #1):
ცხრილი #1: რესპონდენტთა რაოდენობა და პროცენტული წილი უნივერსიტეტების მიხედვით

უნივერსიტეტი	რესპონდენტთა რაოდენობა	ბაკალავრიატის სტუდენტები	მაგისტრატურის სტუდენტები	პროცენტული წილი (%)
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	307	175	132	26.7%
აკაკი წერეთლის სახელობის ქუთაისის უნივერსიტეტი	299	160	139	26.0%
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი	272	185	87	23.6%
თელავის იაკობ გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი	273	239	34	23.7%
სულ:	1151	759	392	100%

მონაცემთა დამუშავება და ანალიზი განხორციელდა SPSS პროგრამის ფარგლებში. თავდაპირველ ეტაპზე განხორციელდა კითხვარების რედაქტირება, ღია ან ნახევრად დახურული შეკითხვების კოდირება, მონაცემების ელექტრონულ მატრიცაში შეტანა, მონაცემთა გაწმენდა და შეწონვა.

მონაცემები გაანალიზდა სხვადასხვა მეთოდების გამოყენებით: ერთგანზომილებიანი სიხშირული განაწილების, ცენტრალური ტენდენციების ნაჩვენებლების (მოდა, მედიანა, საშუალო) კროსტაბულაციების, კორელაციის, რეგრესიის და სხვა მეთოდების გამოყენებით.

აუცილებელია კიდევ ერთხელ აღინიშნოს, რომ კვლევის მონაცემების ანალიზი განხორციელდა სამ დონეზე:

1. მთლიანი შერჩევის დონეზე, ანუ შესაძლებელია დასკვნები გავაკეთოთ საქართველოში სახელმწიფო უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში არსებული სიტუაციის შესახებ;
2. შერჩევაში ჩართული ცალკეული უმაღლესი სასწავლებლების დონეზე;
3. სწავლების ორი საფეხურის – ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის – დონეზე.

რაც შეეხება გამოკითხვის შინაარსს, კითხვარი აგებული იყო შემდეგი მახასიათებლებისა და ინდიკატორების მიხედვით⁶ (იხ. ცხრილი #2):

⁶ აღნიშნული მახასიათებლები და ინდიკატორები გამოვლინდა თვისებრივი კვლევის, კერძოდ, ჯგუფური დისკუსიების საფუძველზე.

ცხრილი #2: კვლევის ძირითადი მახასიათებლები და ინდიკატორები

მახასიათებლები	ინდიკატორები
სასწავლო პროგრამების მოქნილობა	სასწავლო პროგრამების შეფასება სტუდენტების თვალთ
	არჩევითი საგნების რაციონალური თანაფარდობა კურიკულუმში
	თავისუფალი კრედიტების აღების შესაძლებლობა
	მეორადი (Minor) სასწავლო პროგრამის გავლის შესაძლებლობა
	ერთ სასწავლო საგანზე ალტერნატიული პედაგოგების შეთავაზება
სტუდენტების უკუკავშირი	სტუდენტთა გამოკითხვები/სასწავლო კურსების შეფასება სტუდენტთა მიერ
	<ul style="list-style-type: none"> სტუდენტებთან ორგანიზებული შეხვედრები სხვადასხვა (საუნივერსიტეტო, საფაკულტეტო, მიმართულების) დონეზე
	სტუდენტთა საჩივრების ინსტიტუციონალიზაცია
სტუდენტთა დასაქმების ხელშეწყობა	კარიერული ცენტრების ფუნქციონირება
	პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავებაზე ორიენტირებული კურსები
	საველე პრაქტიკები/ორგანიზაციებში პრაქტიკები/სტაჟირებები/იურიდიული და სამედიცინო კლინიკები
	დამსაქმებლებთან ურთიერთობა სტუდენტთა დასაქმების ხელშეწყობის მიზნით
ინტერნაციონალიზაცია	გაცვლით პროგრამებში მონაწილეობის შესაძლებლობა
	საერთაშორისო საგანმანათლებლო ქსელებში ჩართვის შესაძლებლობა
	საერთაშორისო საგანმანათლებლო აქტივობების უზრუნველყოფა (ზაფხულის/ზამთრის სკოლები, სემინარები და სხვ.)
	უცხოენოვანი პედაგოგების ჩართვა სასწავლო პროგრამებში
სტუდენტებისთვის სერვისების შეთავაზება	სასწავლო კურსებზე სტუდენტების ეფექტური რეგისტრაცია
	სარესურსო ცენტრებით (მატერიალური საშუალებები, ბიბლიოთეკა და სხვ.) სარგებლობა
	კომფორტული აუდიტორიებით უზრუნველყოფა
	საგამოცდო ცენტრების მომსახურება
	სტუდენტებს ინფორმაციული უზრუნველყოფა სასწავლო პროგრამების თავისებურებების, საუნივერსიტეტო სიახლეების და ა.შ. შესახებ

3.3 ზოგადი შეფასებები

სტუდენტები შეკითხვაზე, **თქვენი აზრით, რამდენად შესაძლებელია დღესდღეობით საქართველოში ხარისხიანი უმაღლესი განათლების მიღება?** – შემდეგნაირად პასუხობენ (იხ. დიაგრამა #1⁷):

როგორც მონაცემები აჩვენებს, რესპონდენტთა პასუხები საკმაოდ დივერსიფიცირებულია: უმრავლესობა რესპონდენტთა არცერთ პოზიციას არ აქვს. თუმცა, გამოკითხულ რესპონდენტთა თითქმის ნახევარი (49.9%) იზიარებს პოზიციას, რომ საქართველოში ხარისხიანი განათლების მიღება შესაძლებელია („უფრო შესაძლებელია“ ან „სავსებით შესაძლებელია“). მაღალია დაბალანსებულ პოზიციაზე მყოფ რესპონდენტთა ხვედრითი წილიც. სკეპტიკურად განწყობილ რესპონდენტთა წილი შედარებით მცირეა (12.2%).

5-ბალიან სკალაზე, სადაც ციფრი 1 ნიშნავდა „ძალზე უხარისხოს“, ხოლო 5 – „ძალზე ხარისხიანს“, სტუდენტებმა **საკუთარი უნივერსიტეტების მიერ უზრუნველყოფილი განათლების ხარისხი** შეაფასეს. საშუალო მაჩვენებლები (MEAN), უნივერსიტეტების მიხედვით შემდეგნაირად განისაზღვრა (იხ. დიაგრამა #2⁸):

შენიშვნა: 5 ბალიან სკალაზე ნეიტრალური წერტილია 3. საშუალო მაჩვენებლები (MEAN), რომლებიც 3-ზე მეტია (MEAN > 3) ხარისხიანი განათლების „ველში“ თავსდება (მაქსიმალური დადებითი მაჩვენებლით - 5), ხოლო საშუალო მაჩვენებლები, რომლებიც 3-ზე ნაკლებია (MEAN < 3) – უხარისხო განათლების „ველში“ (მაქსიმალური უარყოფითი მაჩვენებლით - 1). პოზიცია „მიჭირს პასუხის გაცემა“ არ მონაწილეობს საშუალო მონაცემების განსაზღვრაში.

როგორც დიაგრამა აჩვენებს, არც ერთი უნივერსიტეტის სტუდენტთა შეფასებები არ მოხვდა უარყოფითი შეფასების (ანუ, უხარისხო განათლების) ველში. თუმცა, დადებით მაჩვენებლებს შორის მკვეთრი სხვაობაა უნივერსიტეტების მიხედვით: ყველაზე მაღალი შეფასება თავიანთ უნივერსიტეტს თსუ-ს სტუდენტებმა მიანიჭეს, ყველაზე დაბალი კი – ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებმა. თსუ-ის შეფასება მკვეთრად დადებითია და ყველაზე ახლოსაა მაქსიმალურ ქულასთან. მეტ-ნაკლებად დადებითადაა შეფასებული აწსუ-ისა და თესაუ-ის მიერ უზრუნველყოფილი განათლების ხარისხი, ხოლო ბსუ-ის შეფასება ნეიტრალური წერტილიდან დადებითისკენ ოდნავ გადახრილია.

შეკითხვაზე, **თუ ზოგადად შეაფასებთ, ეთანხმებით თუ არა მოსაზრებას, რომ თქვენს უნივერსიტეტში სწავლება მორგებულია სტუდენტთა ინტერესებზე?** – რესპონდენტები შემდეგნაირად პასუხობდნენ საკუთარი უნივერსიტეტების შესახებ (იხ. დიაგრამა #3⁹):

⁷ იხ. დანართი, დიაგრამა#1

⁸ იხ. დანართი, დიაგრამა#2

⁹ იხ. დანართი, დიაგრამა#3

მიღებული პასუხებით შედგენილი სურათი არაერთგვაროვანია ოთხივე უნივერსიტეტის მიხედვით. სტუდენტებში არ არსებობს გამოკვეთილი პოზიცია, თუ რამდენადაა მორგებული მათ ინტერესებზე უნივერსიტეტში სწავლება. არაერთგვაროვნებას ადასტურებს როგორც პასუხებს „ვეთანხმები“ და „არ ვეთანხმები“-ს შორის უმეტესწილად მცირე განსხვავება, ისე დიდი რაოდენობით დაფიქსირებული დაბალანსებული („თანაბრად ვეთანხმები და არ ვეთანხმები“) პასუხები.

არაერთგვაროვან სურათს აჩვენებს მოცემულ შეკითხვაზე მთელი შერჩევისთვის დათვლილი მონაცემებიც: მოსაზრებას, რომ სწავლება მორგებულია სტუდენტთა ინტერესებზე, მეტწილად ან სრულად იზიარებს გამოკითხულ რესპონდენტთა 37.6%, დაბალანსებულ პოზიციაზეა 28.8%, ხოლო აღნიშნულ მოსაზრებას მეტწილად ან სრულად არ ეთანხმება 29.5% (იხ. დიაგრამა #4¹⁰):

ამრიგად, როგორც ცალკეული უნივერსიტეტების, ისე მთელი შერჩევისთვის დათვლილი მონაცემები ცხადყოფს, რომ საქართველოს სახელმწიფო უმაღლესი სასწავლებლების ორიენტაცია სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების თვალსაზრისით ჯერ კიდევ წარმოადგენს გამოწვევას, რამდენადაც სტუდენტთა მხოლოდ 34-42%-ის ფარგლებში ეთანხმება სამიზნე უნივერსიტეტებში სტუდენტებზე ორიენტირებული სწავლების პრაქტიკის არსებობას.

¹⁰ იხ. დანართი, დიაგრამა#4

3.4 სასწავლო პროგრამების ცალკეული ასპექტების შეფასება

საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების ზოგადი შეფასება

სტუდენტები *ბაკალავრიატის სასწავლო პროგრამებს*, რომლებზეც ახლა სწავლობენ, ან რომლებზეც ადრე უსწავლიათ (მაგისტრანტების შემთხვევაში) მეტწილად დადებითად აფასებენ. 61.7%-ის შეფასებით, ეს პროგრამები „უფრო დადებითი, ვიდრე უარყოფითი“ (43.5%) ან „ძალზე დადებითი“ (18.2%). რაც შეეხება ნეგატიურ დამოკიდებულებას, ძალზე უარყოფითად პროგრამა, რომელზეც სწავლობენ, მხოლოდ 8 რესპონდენტს (0.7%) მიაჩნია, ხოლო მეტწილად უარყოფითად – 6.2%-ს. რესპონდენტთა 19.7% დაბალანსებულ შეფასებას აკეთებს („არც დადებითად, არც უარყოფითად“). ამ კითხვაზე პასუხის გაცემა გაუჭირდა 7.2%-ს.

ცალკეული უნივერსიტეტების მიხედვით ბაკალავრიატის პროგრამების შეფასება ძირითადად იმეორებს საერთო შერჩევაში გამოვლენილ შეფასებებს, ერთი მნიშვნელოვანი გამონაკლისის გარდა: ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებში მნიშვნელოვნად კლებულობს საბაკალავრო პროგრამების დადებითად შემფასებელთა წილი – ასეთია გამოკითხულთა ნახევარი (50%) (იხ. დიაგრამა #5¹¹):

რაც შეეხება *სამაგისტრო პროგრამებს*, მათი შეფასების მაჩვენებლები, საერთო შერჩევაში, რამდენადმე უარესია საბაკალავრო პროგრამების შეფასებებთან შედარებით, თუმცა, ტენდენციები მსგავსია: პოზიტიურ შეფასებებს („ძალზე დადებითად“ ან „უფრო დადებითად“) საერთო შერჩევის მაგისტრატურის სტუდენტების¹² 60% გამოთქვამს, უარყოფით შეფასებებს აფიქსირებს გამოკითხულ მაგისტრანტთა 9%, ხოლო დაბალანსებულს – 24.5% (6.7%-ს უჭირს პოზიციის დაფიქსირება).

თუ სამაგისტრო პროგრამების მიმართ გამოთქმულ შეფასებებს ცალკეული უნივერსიტეტების კრილში განვიხილავთ, ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტების სტუდენტები კვლავ ყველაზე სკეპტიკურად არიან განწყობილები. ამასთან, აღსანიშნავია ერთი თავისებურებაც: თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი ერთადერთი საგანმანათლებლო დაწესებულებაა, რომლის სამაგისტრო პროგრამები სტუდენტების მიერ საბაკალავრო პროგრამებზე უფრო მაღალი მაჩვენებლებით ფასდება. დანარჩენ 3

¹¹ იხ. დანართი, დიაგრამა#4

¹² სამაგისტრო პროგრამებს აფასებდნენ მხოლოდ მაგისტრატურის სტუდენტები.

უნივერსიტეტში სამაგისტრო პროგრამებს საბაკალავრო პროგრამებთან შედარებით უარესი მაჩვენებლები აქვს.¹³

ცალკეული უნივერსიტეტების საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების შეფასებები და მათ შორის განსხვავებები კარგად ჩანს საშუალო მაჩვენებლების (MEAN) გამოთვლის საფუძველზე (იხ. დიაგრამა #6¹⁴):

საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების შეფასება სხვადასხვა კომპონენტის მიხედვით

რესპონდენტებს შეეძლოთ შეეფასებინათ სასწავლო პროგრამების (როგორც ბაკალავრიატის, ისე მაგისტრატურის) სხვადასხვა კომპონენტი. სულ შესაფასებლად სტუდენტებს მიეცათ 13 კომპონენტი, რომლებიც მოიცავს როგორც სასწავლო პროგრამების შინაარსს (პროგრამების სავალდებულო და არჩევით კომპონენტებს, სწავლების მრავალფეროვანი მეთოდების გამოყენებას და სხვ.), ისე პროგრამების განხორციელების პირობებს (პედაგოგთა კვალიფიკაცია, სასწავლო მასალები, მატერიალურ-ტექნიკური საშუალებები და სხვ.).

გამოკითხვამ შემდეგი სურათი აჩვენა (იხ. ცხრილი #3)¹⁵:

ცხრილი #3: ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის სხვადასხვა კომპონენტის შეფასება (საბაკალავრო N=1151; სამაგისტრო N= 392)

კომპონენტები	ბაკალავრიატი (MEAN)	BA უარყოფითი შეფასება (%)	მაგისტრატურა (MEAN)	MA უარყოფითი შეფასება (%)
1 სასწავლო კურსების შესაბამისობა სილაბუსებთან	3.89	9.0%	4.01	8.2%
2 პროფესორთა მომზადების დონე (კვალიფიკაცია)	4.16	4.4%	4.23	4.8%
3 სასწავლო მასალები ქართულ ენაზე	3.91	11.1%	3.59	18.1%
4 თანამედროვე/უახლესი სასწავლო მასალები (ლიტერატურა)	3.47	16.8%	3.56	16.8%
5 სასწავლო პროგრამის სავალდებულო კომპონენტი	3.87	5.8%	3.90	8.9%
6 სასწავლო პროგრამის არჩევითი კომპონენტი	3.79	10.3%	3.66	16.3%

¹³ სამაგისტრო პროგრამების მიმართ კრიტიკული პოზიცია სხვა მონაცემებშიც აისახა, რომელთა შესახებაც ქვემოთ იქნება საუბარი. ამ კრიტიკის ერთ-ერთი პათოსი, სტუდენტთა აზრით, ისაა, რომ სამაგისტრო პროგრამები არ იძლევა თვისებრივად ახალ ცოდნას საბაკალავრო სწავლებასთან შედარებით.

¹⁴ იხ. დანართი, დიაგრამა #5

¹⁵ საშუალო მაჩვენებლები ამჯერადაც დათვლილია 5 ქულიან სკალაზე; მონაცემები, რომლებიც 3-ზე მეტია (MEAN > 3) დადებითი შეფასების „ველში“ თავსდება (მაქსიმალური დადებითი მაჩვენებლით - 5), ხოლო საშუალო მაჩვენებლები, რომლებიც 3-ზე ნაკლებია (MEAN < 3) – უარყოფითი შეფასების „ველში“ (მაქსიმალური უარყოფითი მაჩვენებლით - 1).

7	დისციპლინა (არ ცდება ლექციები და სხვ.)	3.89	10.5%	3.91	13.0%
8	სტუდენტთა შეფასების სისტემა და პროცედურები	3.83	8.2%	4.06	6.1%
9	სწავლების მეთოდების მრავალფეროვნება (ლექცია, სემინარი, დისკუსია, დებატები, ჯგუფური მუშაობა, სიმულაცია, სიტუაციური თამაშები და სხვ.)	3.58	15.9%	3.58	17.6%
10	ტექნიკური საშუალებები (პროექტორი, კომპიუტერი, პრინტერი და სხვ.)	3.51	20.4%	3.69	17.3%
11	ბიბლიოთეკა	4.14	7.3%	4.05	7.4%
12	პედაგოგების კლასგარეშე მუშაობა სტუდენტებთან/ კონსულტაციები	3.31	23.5%	3.57	22.4%
13	სასწავლო პროგრამაში უცხოელი პედაგოგების მონაწილეობა	2.28	49.6%	2.08	60.2%

როგორც ცხრილში მოტანილი მონაცემებიდან ჩანს, 13 შეთავაზებული კომპონენტიდან აბსოლუტური უმრავლესობა (12 კომპონენტი) დადებითი შეფასების „ველში“ მოხვდა (MEAN>3-ზე), როგორც საბაკალავრო, ისე სამაგისტრო პროგრამებთან მიმართებაში. ერთადერთი კომპონენტი, რომელიც სტუდენტების ნახევარმა (საბაკალავრო პროგრამებთან მიმართებაში). ხოლო უმრავლესობამ (60.2%) (სამაგისტრო პროგრამებთან მიმართებაში) უარყოფითად შეაფასა (MEAN = 2.28) – სასწავლო პროგრამებში უცხოელი პედაგოგების მონაწილეობა.

მიუხედავად ამისა, აღსანიშნავია ის, რომ საერთო შერჩევის სტუდენტების დაახლოებით მეოთხედი უარყოფითად აფასებს სასწავლო პროგრამების (როგორც საბაკალავრო, ისე სამაგისტრო) ისეთ კომპონენტს, როგორიცაა პედაგოგების კლასგარეშე მუშაობა სტუდენტებთან; გარდა ამისა, გამოკითხულთა დაახლოებით მეხუთედს არ აკმაყოფილებს სასწავლო პროგრამების უზრუნველყოფა მატერიალურ-ტექნიკური საშუალებებით (პროექტორი, კომპიუტერი, პრინტერი და სხვ.).

საინტერესოა გამოკითხვის კიდევ ერთი შედეგი: ისეთ კომპონენტებთან მიმართებაში, როგორიცაა სასწავლო პროგრამების უზრუნველყოფა ქართულენოვანი სასწავლო მასალებით და სასწავლო პროგრამის არჩევითი კომპონენტი, სამაგისტრო პროგრამებს რესპონდენტთა უფრო მეტი რაოდენობა აფასებს უარყოფითად, საბაკალავრო პროგრამებთან შედარებით (ამ კომპონენტების უარყოფითად შემფასებელთა ხვედრითი წილი მაგისტრატურაში 16–17%-ია, ხოლო ბაკალავრიატში – 10–11%). ეს მიუთითებს, რომ სამაგისტრო პროგრამებს აქვთ პრობლემები სახელმწიფო ენაზე სასწავლო მასალებით უზრუნველყოფის და მოქნილობის თვალსაზრისით.

თუ ცალკეული კომპონენტების მიხედვით სასწავლო პროგრამების შეფასებას სამიზნე უნივერსიტეტების ჭრილში განვიხილავთ, თვალში საცემია ერთი კანონზომიერება: უფრო კრიტიკულად განწყობილები აღნიშნული კომპონენტების შეფასებისას თბილისის და

ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტების სტუდენტები არიან, ხოლო ყველაზე აღმატებულად ამ კომპონენტებს თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტები აფასებენ.

უფრო დეტალურად სასწავლო პროგრამების კომპონენტების შეფასების მონაცემები იხ. ცრილში #4:

ცხრილი #4: ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის სხვადასხვა კომპონენტის შეფასება ცალკეული უნივერსიტეტის მიხედვით

	კომპონენტები	ბაკალავრიატი (MEAN)				მაგისტრატურა (MEAN)			
		ოსუ	აწსუ	ბსუ	თესაუ	ოსუ	აწსუ	ბსუ	თესაუ
1	სასწავლო კურსების შესაბამისობა სილაბუსებთან	3.89	3.58	4.05	3.89	3.87	4.13	3.91	4.34
2	პროფესორთა მომზადების დონე (კვალიფიკაცია)	4.16	4.22	4.17	3.85	4.42	4.13	4.06	4.34
3	სასწავლო მასალები ქართულ ენაზე	3.91	3.43	4.10	3.90	3.00	3.85	3.91	4.06
4	თანამედროვე/უახლესი სასწავლო მასალები (ლიტერატურა)	3.47	3.15	3.55	3.37	3.44	3.56	3.68	3.71
5	სასწავლო პროგრამის სავალდებულო კომპონენტი	3.87	3.80	3.87	3.81	3.85	3.94	3.84	4.07
6	სასწავლო პროგრამის არჩევითი კომპონენტი	3.79	3.69	3.80	3.61	3.68	3.54	3.70	4.07
7	დისციპლინა (არ ცდება ლექციები და სხვ.)	3.89	3.96	3.88	3.66	3.99	3.85	3.86	3.97
8	სტუდენტთა შეფასების სისტემა და პროცედურები	3.83	3.75	4.04	3.58	4.04	4.20	3.74	4.40
9	სწავლების მეთოდების მრავალფეროვნება (ლექცია, სემინარი, დისკუსია, დებატები, ჯგუფური მუშაობა, სიმულაცია, სიტუაციური თამაშები და სხვ.)	3.58	3.42	3.62	3.40	3.68	3.32	3.85	3.61
10	ტექნიკური საშუალებები (პროექტორი, კომპიუტერი, პრინტერი და სხვ.)	3.51	3.17	3.61	3.66	3.45	3.83	3.88	3.58
11	ბიბლიოთეკა	4.14	3.94	4.17	4.02	3.67	4.20	4.14	4.73
12	პედაგოგების კლასგარეშე მუშაობა სტუდენტებთან/ კონსულტაციები	3.31	3.04	3.47	3.22	3.66	3.34	3.57	4.24
13	სასწავლო პროგრამაში უცხოელი პედაგოგების მონაწილეობა	2.28	2.10	2.21	2.07	2.26	1.83	2.03	2.66

შეფასების სხვადასხვა ფორმის გამოყენება; შეფასების ობიექტურობა; შეფასების სისტემის გამჭვირვალობა; აპელაციები

სტუდენტებს დაესვათ შეკითხვა, *თუ რამდენად ხშირად გამოიყენებოდა შეფასების ესა თუ ის ფორმა მათ სასწავლო პროგრამებში*. პასუხები გამოცდისა და შეფასების სხვადასხვა ფორმის მიხედვით შემდეგნაირად გადანაწილდა (იხ. ცხრილი #5):

ცხრილი #5: შეფასების სხვადასხვა ფორმის გამოყენების სიხშირე სასწავლო პროგრამებში

	სემინარზე აქტიურობა	ესსე/ანგარიში/რეფერატი, როგორც შუალედური გამოცდის ფორმა	ესსე/ანგარიში/რეფერატი, როგორც საბოლოო გამოცდის ფორმა	ე.წ. ქვიზი	ზეპირი პრეზენტაცია, როგორც საბოლოო გამოცდის ფორმა	ზეპირი პრეზენტაცია, როგორც შუალედური გამოცდის ფორმა	ტესტირება, როგორც საბოლოო გამოცდის ფორმა	ტესტირება, როგორც შუალედური გამოცდის ფორმა
რეგულარულად	57.1%	5.6%	7.4%	6.5%	10.2%	16.4%	30.1%	34.1%
ხშირად	25.2%	11.6%	14.3%	14.0%	12.3%	18.8%	17.3%	22.4%
ზოგჯერ	8.5%	14.5%	20.8%	14.2%	15.6%	20.1%	20.0%	22.1%
იშვიათად	4.1%	19.5%	18.4%	13.6%	21.6%	19.2%	19.5%	14.1%
არასდროს	2.7%	42.6%	33.7%	35.3%	37.1%	23.5%	10.8%	5.9%
მიჭირს პ/გ	2.4%	6.2%	5.4%	16.4%	3.2%	2.1%	2.3%	1.5%

როგორც ცხრილში მოტანილი მონაცემებიდან ჩანს, სტუდენტთა შეფასებისას სემინარზე აქტიურობა და ტესტირება ყველაზე გავრცელებული საშუალებებია. გამოყენების კარგი მაჩვენებლები აქვს, აგრეთვე, ზეპირ პრეზენტაციას, განსაკუთრებით როგორც შუალედური გამოცდის ფორმას. შედარებით ნაკლებად გამოიყენება დაწერილი ესეების, ანგარიშებისა და რეფერატების მიხედვით სტუდენტების შეფასება. კიდევ უფრო ნაკლებად პოპულარულია ე.წ. ქვიზების მეთოდი.¹⁶

შეკითხვაზე, *რამდენად ობიექტურად ხდება სტუდენტთა შეფასება თქვენს სასწავლო პროგრამაში?* – საერთო შერჩევის რესპონდენტთა გამოკვეთილი უმრავლესობა (68.5%) დადებითად პასუხობს (მათ შორის 21.5% მიიჩნევს, რომ შეფასებები „ძალზე ობიექტურია“, ხოლო 47% თვლის, რომ – მეტწილად ობიექტური). შეფასებების არაობიექტურობაზე

¹⁶ გამოკითხვის დროს რამდენიმე რესპონდენტმა დმატებით აღნიშნა, რომ ლაბორატორიული საქმიანობითაც ფასდებიან. ასევე, ცალკეულ შემთხვევებში შეფასების ფორმებად დაფიქსირდა სხვადასხვა სახის კვლევითი პროექტის შედგენა და კვლევის ჩატარება.

(„ძალზე“ ან „უფრო“) გამოკითხულთა მხოლოდ 8.8% მიუთითებს. გამოკითხულთა მნიშვნელოვანი რაოდენობა – მეხუთედი (20%) დაბალანსებულ შეფასებას ირჩევს („თანაბრად ობიექტურად და არაობიექტურად“). აღნიშნულ საკითხზე მოსაზრების გამოხატვა გაუჭირდა 2.6%-ს.

ცალკეული უნივერსიტეტების მიხედვით სტუდენტთა შეფასების ობიექტურობის მაჩვენებლები ასე გამოიყურება (იხ. დიაგრამა #7¹⁷):

როგორც მონაცემები აჩვენებს, ყველა სამიზნე სახელმწიფო უნივერსიტეტში რესპონდენტთა უმრავლესობა შეფასების ობიექტურობაზე მიუთითებს. თუმცა, ობიექტურობის მაჩვენებლები შედარებით კლებულობს ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა შეფასებებში.

რესპონდენტთა საერთო შერჩევაში, ისევე როგორც ცალკეული უნივერსიტეტების სტუდენტებში, კარგი მაჩვენებლები აქვს, აგრეთვე, საკითხს იმის შესახებ, თუ რამდენად გამჭვირვალეა *ის სისტემა/პროცედურები, რომელსაც ლექტორები იყენებენ სტუდენტთა ცოდნის, აქტივობის ან ნაშრომის შესაფასებლად*. გამოკითხულთა 68.9% შეფასების სისტემას/პროცედურებს ძალზე გამჭვირვალედ ან უფრო გამჭვირვალედ, ვიდრე არაგამჭვირვალედ აფასებს.

დადებითი პოზიციები (შეფასების პროცედურების გამჭვირვალობის თვალსაზრისით) ნარჩუნდება ცალკეული უნივერსიტეტების მასშტაბითაც. თუმცა, შედარებით კრიტიკულად განწყობილნი ამ თვალსაზრისით თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტები არიან, რომელთა მხოლოდ 23.5% მიიჩნევს შეფასების სისტემას „ძალზე გამჭვირვალედ“ (იხ. დიაგრამა #8¹⁸):

გამოკითხვა აჩვენებს, რომ სამიზნე სახელმწიფო უნივერსიტეტები სტუდენტებს აძლევს მიღებული შეფასებების *გასაჩივრების (აპელაციის)* უფლებას და შესაძლებლობას. საერთო შერჩევით რესპონდენტთა 87.7% მიუთითებს, რომ აქვთ შესაძლებლობა, ოფიციალურად გაასაჩივრონ მათთვის განკუთვნილი შეფასება, 5.6% აღნიშნავს, რომ ასეთ შესაძლებლობას მოკლებულია, დანარჩენ 6.7%-ს კი უჭირს პასუხის გაცემა. გასაჩივრების შესაძლებლობაზე ცალკეული უნივერსიტეტების სტუდენტები დაახლოებით თანაბარი ენთუზიაზმით მიუთითებენ (იხ. დიაგრამა #9¹⁹):

მიუხედავად იმისა, რომ გასაჩივრების უფლებას/შესაძლებლობას სტუდენტებს ოთხივე უნივერსიტეტი სთავაზობს, ეს უფლება სხვადასხვა დროს გამოუყენებია რესპონდენტთა

¹⁷ იხ. დანართი, დიაგრამა #7

¹⁸ იხ. დანართი, დიაგრამა #8

¹⁹ იხ. დანართი, დიაგრამა #9

მხოლოდ 27%-ს. აღსანიშნავია, რომ ამ მიმართულებით მონაცემები საგრძნობლად განსხვავდება უნივერსიტეტების მიხედვით (იხ. დიაგრამა #10²⁰):

როგორც მონაცემები აჩვენებს, თუ თსუ-ში გასაჩივრების უფლებას სტუდენტთა გამოკვეთილი უმრავლესობა იყენებს, დანარჩენ 3 უნივერსიტეტში კი საპირისპირო სურათი გვაქვს - ქუთაისისა და ბათუმის უნივერსიტეტებში გასაჩივრების გზას სტუდენტთა უმცირესობა მიმართავს, თელავში კი ეს პრაქტიკა თითქმის არ გამოიყენება (228-იდან მხოლოდ 8 სტუდენტს აქვს გასაჩივრების უფლება გამოყენებული).

საგულისხმოა კიდევ ერთი მონაცემი: საერთო შერჩევის იმ სტუდენტთაგან, ვინც აპელაციის უფლება გამოიყენა, 83%-ს შედეგები გაუსაჩივრებია ერთხელ. თუმცა, თბილისის და ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტების მასშტაბით ეს მონაცემი განსხვავებულია დანარჩენი ორი უნივერსიტეტისაგან: თსუ-ში და ბსუ-ში აპელაციის შემტან სტუდენტთა დაახლოებით მეხუთედი აღნიშნავს, რომ საჩივარი ერთზე მეტჯერ შეუტანია (იხ. დიაგრამა #11²¹):

რაც შეეხება **გასაჩივრების შედეგებს**, გამოკითხვა აჩვენებს, რომ, საერთო შერჩევაში, აპელაციის შემთხვევათა ნახევარზე მეტი ყოველთვის ან ძირითადად გამამართლებელი შედეგებით დამთავრდა, ზოგჯერ გამამართლებელი და ზოგჯერ გამამტყუნებელია შედეგებით დასრულდა აპელაციათა მესამედი, ხოლო შემთხვევების 11.2% ძირითადად ან ყოველთვის გამამტყუნებელია (იხ. დიაგრამა #12²²):

საინტერესოა, რომ აქაც განსხვავებულ სურათს ვიღებთ უნივერსიტეტების მიხედვით: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მუდამ და ძირითადად გამამტყუნებელი განაჩენები ფიქსირდება აპელაციათა 14.8%-ში, ქუთაისის უნივერსიტეტში – აპელაციათა 7%-ში, ხოლო ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში გამამტყუნებელი შედეგები აპელაციებზე ზოგჯერ დგება შემთხვევათა 14.7%-ში, მაგრამ ძირითადად და მუდამ - არცერთხელ (თელავის უნივერსიტეტისთვის აპელაციის შედეგების დათვლას აზრი არ აქვს აპელაციის პრაქტიკის პრაქტიკულად არარსებობის გამო).

სტუდენტების უკუკავშირი

სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების და სასწავლო პროგრამების მოქნილობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მახასიათებელია სტუდენტების უკუკავშირი (feedback) სწავლებაზე, ხოლო უკუკავშირის მნიშვნელოვან ინდიკატორს წარმოადგენს სტუდენტების გამოკითხვა სასწავლო კურსების შესაფასებლად.

²⁰ იხ. დანართი, დიაგრამა #10

²¹ იხ. დანართი, დიაგრამა #11

²² იხ. დანართი, დიაგრამა #12

შეკითხვაზე, *ხდება თუ არა თქვენს ფაკულტეტზე სტუდენტების გამოკითხვა სასწავლო კურსების შეფასების მიზნით, სხვადასხვა კომპონენტის საფუძველზე?*, რესპონდენტებმა შემდეგნაირად უპასუხეს (იხ. დიაგრამა #13²³):

როგორც მონაცემები აჩვენებს, სწავლების ხარისხზე სტუდენტების თვალსაზრისის კვლევას რეგულარული სახე მხოლოდ შემთხვევათა 30%-ში აქვს („ხდება ყოველი სემესტრის ბოლოს, ყველა კურსთან მიმართებაში“). დანარჩენი პასუხები - „ხდება ზოგიერთ კურსთან მიმართებაში“, „ხდება არარეგულარულად“ და ა.შ. მეტყველებს იმაზე, რომ სტუდენტთა უკუკავშირის მათი გამოკითხვის გზით არ აქვს სისტემური სახე და არის უშუალოდ პროფესორების ან ფაკულტეტის ადმინისტრაციის პირადი ინიციატივა; შესაბამისად, არ განიხილება ხრისხის მონიტორინგის მნიშვნელოვანი ინსტრუმენტად უნივერსიტეტის მიერ. მართალია, 11.3%-ია იმ სტუდენტთა წილი, რომლებიც ამბობენ, რომ ისინი არავის გამოუკითხავს, მაგრამ გასათვალისწინებელია „მიჭირს პასუხის გაცემის“ 14.5%-იც – არაინფორმირებულ სტუდენტთა მნიშვნელოვანი რაოდენობა მეტყველებს იმაზე, რომ უნივერსიტეტები ან ვერ ახდენენ სტუდენტთა გარკვეული ნაწილის ჩართვას გამოკითხვაში, ან ინფორმაციის არარსებობა ამის თაობაზე, უბრალოდ ნიშნავს გამოკითხვის არარსებობას.

ცალკეული უნივერსიტეტების მიხედვით სტუდენტთა გამოკითხვის პრაქტიკა, მათგან უკუკავშირის მიღების მიზნით, ასეთია (იხ. დიაგრამა #14²⁴):

სასწავლო პროგრამების მიმართ ცვლილებების მხარდაჭერა

კვლევის დროს, სტუდენტებისთვის შეთავაზებულ იქნა ცვლილებები, რომლებიც შესაძლებელია დაუკავშირდეს სასწავლო პროგრამებს, სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების კონტექსტში. შესაძლო ცვლილებები აღწერს სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების ისეთ ინდიკატორებს, როგორცაა: არჩევითი საგნების წილის გაზრდა კურიკულუმში, თავისუფალი კრედიტების რაოდენობის გაზრდა, კურსებზე ალტერნატიული პედაგოგების შეთავაზება, სტუდენტთა უკუკავშირის გათვალისწინება პედაგოგების შერჩევისას, სწავლების უფრო მრავალფეროვანი მეთოდების გამოყენება და ა.შ.

გამოკითხვამ შემდეგი შედეგები აჩვენა (იხ. ცხრილი #6):

²³ იხ. დანართი, დიაგრამა #13

²⁴ იხ. დანართი, დიაგრამა #14

ცხრილი #4: სასწავლო პროგრამების მიმართ ცვლილებების მხარდაჭერა

		ვეთანხმები	არ ვეთანხმები	დაბალანსებული პოზიცია	მიჭირს პ/გ
1	საჭიროა გაიზარდოს არჩევითი საგნების რაოდენობა	58.3%	26.7%	10.9%	4.2%
2	საჭიროა გაიზარდოს სავალდებულო საგნების რაოდენობა	39%	42.7%	13.5%	4.8%
3	საჭიროა გაიზარდოს თავისუფალი კრედიტების რაოდენობა	51%	28.5%	12.2%	8.2%
4	კარგი იქნება, თუ ერთ კურსს ეყოლება ალტერნატიული პედაგოგები	71.4%	15.6%	8%	5.5%
5	კარგი იქნება, თუ სტუდენტების აპელაციები განხილული იქნება მათი თანდასწრებით	75.6%	12.8%	5.7%	5.7%
6	კარგი იქნება, სტუდენტთა აპელაციები განხილოს კომისიამ და არა მხოლოდ კურსის პედაგოგმა	67.4%	16.6%	9.2%	6.8%
7	კარგი იქნება, თუ სტუდენტთა გამოკითხვის შედეგებს გაითვალისწინებენ პედაგოგების შერჩევისას	78%	12.4%	5.6%	4.0%
8	საჭიროა, პედაგოგების მხრიდან მეტი ყურადღება მიექცეს კლასგარეშე კონსულტაციებს	74%	12%	10.3%	3.6%
9	საჭიროა, სასწავლო პროგრამების განხორციელებაში მონაწილეობდნენ უცხოელი პედაგოგებიც	71.4%	14.1%	9.5%	5.1%
10	საჭიროა სწავლების უფრო მრავალფეროვანი მეთოდების გამოყენება	81.3%	10.1%	6%	2.7%

ცხრილში მოტანილი მონაცემები აჩვენებს, რომ სტუდენტების უმრავლესობა/გამოკვეთილი უმრავლესობა მომხრეა ყველა შეთავაზებული ცვლილების, რაც სტუდენტზე ორიენტირებულ სწავლებას უკავშირდება. ამ დამოკიდებულებას აძლიერებს ისიც, რომ სტუდენტთა უფრო დიდი ნაწილი (42.7%) არ ეთანხმება ცვლილებას, რომ „საჭიროა გაიზარდოს სავალდებულო საგნების რაოდენობა“. სავალდებულო საგნების გადაჭარბებული წილი კურიკულუმში, სასწავლო პროგრამებს ხისტად აქცევს და სტუდენტის ინტერესების დაკმაყოფილების მიმართ მოუქნელს ხდის. არჩევანის შესაძლებლობა სასწავლო პროგრამებში არჩევითი საგნების ჩართვით რეალიზდება, რასაც, როგორც მონაცემები აჩვენებს, სტუდენტების უმრავლესობა აცნობიერებს და ეთანხმება. იგივე ითქმის, სასწავლო პროგრამებში თავისუფალი კრედიტების გაზრდის მიმართ მხარდაჭერაზეც, რასაც გამოკითხულთა 51% ავლენს. ცხადია, რომ თავისუფალი კრედიტების აღების შესაძლებლობა სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ინდიკატორად მიიჩნევა.

რა ვითარებაა სასწავლო პროგრამების ზემოაღნიშნული ცვლილებების მიმდებლობის თვალსაზრისით ცალკეულ სამიზნე უნივერსიტეტებში? გამოკითხვა აჩვენებს, რომ ყველა სამიზნე უნივერსიტეტის მიერ ცვლილებების უმრავლესობის გაზიარების მიუხედავად, ისეთ ინდიკატორებთან მიმართებაში, როგორცაა არჩევითი საგნების და თავისუფალი

კრედიტების წილის გაზრდა, სავალდებულო საგნების შეზღუდვის ხარჯზე, ყველაზე თანმიმდევრული პოზიცია თბილისის და ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტების სტუდენტებს აქვთ, ხოლო ყველაზე არათანმიმდევრული – ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებს; ამ ასპექტში ოპორტუნისტულია თელავის უნივერსიტეტის სტუდენტთა პოზიცია²⁵ (იხ. ცხრილი #7):

ცხრილი #7: სასწავლო პროგრამების მიმართ ცვლილებების მხარდაჭერა

		ვეთანხმები (%)				არ ვეთანხმები (%)			
		თსუ	აწსუ	ბსუ	თესაუ	თსუ	აწსუ	ბსუ	თესაუ
1	საჭიროა გაიზარდოს არჩევითი საგნების რაოდენობა	54.4	66.9	65.1	46.5	29.6	21.4	16.5	39.2
2	საჭიროა გაიზარდოს სავალდებულო საგნების რაოდენობა	27.4	54.8	40.8	33.0	53.1	27.8	39.3	50.9
3	საჭიროა გაიზარდოს თავისუფალი კრედიტების რაოდენობა	46.3	57.2	65.4	35.5	32.9	18.7	14.7	48.4
4	კარგი იქნება, თუ ერთ კურსს ეყოლება ალტერნატიული პედაგოგები	63.2	71.2	77.6	74.7	20.8	15.1	8.5	15.4
5	კარგი იქნება, თუ სტუდენტების აპელაციები განხილული იქნება მათი თანდასწრებით	65.5	79.6	80.9	77.7	20.8	11.0	7.4	11.4
6	კარგი იქნება, სტუდენტთა აპელაციები განიხილოს კომისიამ და არა მხოლოდ კურსის პედაგოგმა	51.1	72.6	72.8	74.4	29.3	13.4	12.1	10.6
7	კარგი იქნება, თუ სტუდენტთა გამოკითხვის შედეგებს გაითვალისწინებენ პედაგოგების შერჩევას	71.3	77.6	79.4	84.6	21.2	11.7	7.7	7.7
8	საჭიროა, პედაგოგების მხრიდან მეტი ყურადღება მიექცეს კლასგარეშე კონსულტაციებს	65.8	74.6	77.2	79.5	18.2	9.0	8.8	11.4
9	საჭიროა, სასწავლო პროგრამების განხორციელებაში მონაწილეობდნენ უცხოელი პედაგოგებიც	63.5	74.2	77.2	71.1	19.2	10.4	10.7	15.8
10	საჭიროა სწავლების უფრო მრავალფეროვანი მეთოდების გამოყენება	75.6	80.3	83.8	86.1	16.3	9.4	6.3	7.7

²⁵ თუმცა, აქ შესაძლებელია ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა არათანმიმდევრულ პოზიციას ასეთი გამართლება მოეძებნოს: ზოგიერთი სასწავლო პროგრამის სტუდენტები თვლიან, რომ მათ არ მიეწოდებათ სავალდებულო საგნების საკმარისი ჩამონათვალი მათი პროფესიის სრულყოფილი დაუფლებისთვის. ამდენად, ისინი ითხოვენ როგორც სავალდებულო, ისე არჩევითი საგნების წილის გაზრდას (ასეთმა პოზიციამ ქუთაისის უნივერსიტეტის სტუდენტებთან ჩატარებულ ჯგუფურ დისკუსიებშიც გაიჟღერა).

3.5 დასაქმების ხელშეწყობა

საბაკალავრო/სამაგისტრო განათლების საკმარისობა სწავლების უფრო მაღალ საფეხურზე გადასვლისათვის

ემპირიულად დადასტურებული პრაქტიკაა, რომ დასაქმების შესაძლებლობები იზრდება განათლების ცენზის ზრდასთან ერთად. შესაბამისად, დასაქმების თვალსაზრისით სტუდენტთა მოლოდინების განსაზღვრამდე, სტუდენტებს დაესვათ შეკითხვა იმის თაობაზე, *თუ რამდენადად საკმარისია მათ უნივერსიტეტში მიღებული საბაკალავრო განათლება იმისთვის, რომ კურსდამთავრებულმა წარმატებით ჩააბაროს მაგისტრატურის გამოცდები*, ხოლო, დამატებით, მაგისტრანტებმა უპასუხეს შეკითხვას, *თუ რამდენადად საკმარისია მათ უნივერსიტეტში მიღებული სამაგისტრო განათლება იმისთვის, რომ კურსდამთავრებულმა წარმატებით ჩააბაროს დოქტორანტურაში*.

საერთო შერჩევის ბაკალავრთა და მაგისტრანტთა მეოთხედი (24.7%) მიიჩნევს, რომ მათ მიერ მიღებული საბაკალავრო განათლება სავსებით საკმარისია იმისთვის, რომ მაგისტრატურის გამოცდები წარმატებით ჩააბაროს, 23.7%-ის აზრით, ეს განათლება უფრო საკმარისია, ვიდრე არა, ხოლო მეტწილად არასაკმარისად ან სრულად არასაკმარისად მიღებულ განათლებას მაგისტრატურაში ჩასაბარებლად მიიჩნევს გამოკითხულთა 23.1% (16.6%-ს დაბალანსებული პოზიცია უკავია, ხოლო 6.5%-ს უჭირს პასუხის გაცემა).²⁶

აღნიშნულ შეკითხვაზე, ცალკეული უნივერსიტეტების მასშტაბით, ასეთი სურათია: თბილისის და ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტების სტუდენტთა უმრავლესობა (შესაბამისად, 53.4% და 52.5%) მათ უნივერსიტეტებში მიღებულ საბაკალავრო განათლებას საკმარისად („ძალზე“ ან „უფრო“) მიიჩნევს მაგისტრატურაში ჩასაბარებლად. ბათუმის და თელავის უნივერსიტეტის სტუდენტებში გაცილებით ნაკლებია ამ თვალსაზრისით პოზიტიურად განწყობილთა წილი (შესაბამისად, 43.4% და 43.2%). თელავის უნივერსიტეტში, სხვა უნივერსიტეტებთან შედარებით, ყველაზე მეტია ამ საკითხში სკეპტიკოსთა რაოდენობა (28.2%).

განსხვავებული შედეგებია იმავე ფორმულირების კითხვაზე, მაგისტრატურიდან დოქტორანტურის საფეხურზე გადასვლის შემთხვევაში. აქ საერთო შერჩევის საკმაოდ მნიშვნელოვან ნაწილს, 18.1%-ს უჭირს ამ შეკითხვაზე პასუხის გაცემა. ცალკეული უნივერსიტეტების ჭრილში მონაცემების განხილვა აჩვენებს, რომ სამაგისტრო განათლების საკმარისობას დოქტორანტურაში ჩასაბარებლად შედარებით მოკრძალებულად აფასებენ

²⁶ დამატებით, რესპონდენტთა 5.2% (მაგისტრანტები) აცხადებს, რომ არ დაუმთავრებია ბაკალავრიატი იმ უნივერსიტეტში, სადაც მათი გამოკითხვა მოხდა; ამდენად, მათ არ შეუძლიათ შეაფასონ საბაკალავრო სწავლების დონე მაგისტრატურაში ჩაბარებისთვის.

ბათუმელი მაგისტრანტები (41.3%), ხოლო გაცილებით ოპტიმისტურად – თელაველი მაგისტრანტები (64.7%) (იხ. დიაგრამა #15²⁷).

სასწავლო პროგრამების ეფექტიანობა დასაქმებისთვის

შემდეგი შეკითხვა, რომელიც სტუდენტებს დაესვათ, ეხებოდა იმას, თუ *რამდენად საკმარისად თვლიან ისინი მათ მიერ მიღებულ საბაკალავრო ან სამაგისტრო განათლებას იმისთვის, რომ კვალიფიციურ სპეციალისტად დასაქმდნენ რომელიმე დაწესებულებაში*. საერთო შერჩევითვის გამოკითხვამ შემდეგი შედეგები აჩვენა (იხ. დიაგრამა #16²⁸):

მონაცემები აჩვენებს, რომ ბაკალავრიატის დამთავრება გამოკითხულებს, კვალიფიკაციის მიღების თვალსაზრისით, საკმარის თავდაჯერებულობას არ აძლევს - 26.5%-თვის ბაკალავრიატში მიღებული განათლება არ არის საკმარისი, რომ კვალიფიციურ კადრად ჩაითვალოს დასაქმებისთვის. ერთმნიშვნელოვანი ოპტიმიზმი („სავსებით საკმარისია“) რესპონდენტთა მხოლოდ 16.4%-ს გააჩნია, ხოლო ზომიერი ოპტიმიზმი („უფრო საკმარისი, ვიდრე არასაკმარისი“) – 21.7%-ს. მაგისტრატურასთან მიმართებაში ვითარება უკეთესად გამოიყურება: რესპონდენტთა თითქმის 46% მიიჩნევს, რომ მაგისტრატურაში მიღებული განათლება საკმარისია („სავსებით“ ან „უფრო“), რათა ისინი კომპიუტერულ სპეციალისტებად იქცნენ შრომის ბაზარზე. თუმცა, ისიც ფაქტია, რომ დასაქმების მოლოდინი, თვით მაგისტრატურის დასრულების შემთხვევაში, სტუდენტთა უმრავლესობას არ აქვს (ასეთი დამოკიდებულება ქვეყანაში უმუშევრობის მაღალი დონის გავლენით უნდა აიხსნას).

იმისათვის, რომ უნივერსიტეტმა შრომის ბაზრისთვის კვალიფიციური კადრების მიწოდება შესაძლებელი გახადოს, სასწავლო პროგრამებში პრაქტიკულ საქმიანობაზე ორიენტირებული და სამუშაო გამოცდილების მომცემი კურსებია საჭირო. სტუდენტებს დაესვათ კითხვები იმის შესახებ, თუ რამდენად შეიცავს მათი სასწავლო პროგრამები პრაქტიკულ, დასაქმებაზე ორიენტირებულ ისეთ კომპონენტებს, როგორცაა: პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავებაზე ორიენტირებული კურსები, ლაბორატორიული გაკვეთილები/საველე პრაქტიკები, პრაქტიკის გავლა/სტაჟირება ორგანიზაციებში, დამსაქმებლებისთვის სპეციალისტების მიზნობრივად მომზადება, პრაქტიკოსი სპეციალისტების ჩართვა ლექციების წასაკითხად და სხვ.

სასწავლო პროგრამების აღნიშნულ კომპონენტთან მიმართებაში, გამოკითხვის შედეგები ასეთია (იხ. დიაგრამა #17²⁹):

²⁷ იხ. დანართი, დიაგრამა #15

²⁸ იხ. დანართი, დიაგრამა #16

²⁹ იხ. დანართი, დიაგრამა #17

როგორც დიაგრამაზე ასახული მონაცემები აჩვენებს, სახელმწიფო უნივერსიტეტებში სასწავლო პროგრამების მდგომარეობა, პრაქტიკული კომპონენტების დაფარვის თვალსაზრისით, დრამატულია: ყველა კომპონენტთან მიმართებაში გამოკვეთილია უარყოფითი პასუხები („არა“), რაც იმაზე მეტყველებს, რომ სამიზნე უნივერსიტეტებში პრაქტიკული სწავლების მიმართულება ცუდად მუშაობს (უარყოფითი პასუხები, სხვადასხვა კომპონენტის მიხედვით, მერყეობს 39–57%-ის ფარგლებში).³⁰ ასევე, გასათვალისწინებელია “მიჭირს პასუხის გაცემის“ არცთუ უმნიშვნელო ხვედრით წილი (საშუალოდ 16.8%): ეს მიუთითებს იმაზე, რომ სტუდენტებს არ აქვთ ინფორმაცია მათი პროგრამების პრაქტიკული აქტივობების შესახებ, ე.ი. არ არიან მათში ჩართულნი.

რაც შეეხება ცალკეული უნივერსიტეტებში არსებულ ვითარებას სასწავლო პროგრამებში პრაქტიკული კომპონენტების ჩართვასთან დაკავშირებით, გამოკითხვა აჩვენებს, რომ სურათი საკმაოდ ჭრელია:

- თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში პრაქტიკული სწავლების ჩამოთვლილი 5 კომპონენტიდან შედარებით უკეთესი ვითარება დაფიქსირდა ისეთ კომპონენტთან მიმართებაში, როგორცაა პრაქტიკოსი სპეციალისტების ჩართვა ლექციების წასაკითხად (სტუდენტთა 39.4% ამბობს, რომ ასეთი კომპონენტი მათ სასწავლო პროგრამებში არსებობს, 34.2% კი ამბობს, რომ არ არსებობს; საგულისხმოა, რომ 23.8%-ს გაუჭირდა პასუხის გაცემა);
- ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტში პრაქტიკული სწავლების ხუთივე კომპონენტთან მიმართებაში უარყოფითი ვითარება დაფიქსირდა (პასუხი „არა“ მერყეობს 46–64%-ის ფარგლებში);
- ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში პრაქტიკული სწავლების ყველა კომპონენტი ცუდ მდგომარეობაშია, გარდა ერთისა: რესპონდენტთა მესამედი (32.7%) ადასტურებს, რომ მათი პროგრამები შეიცავს ლაბორატორიულ გაკვეთილებს/საველე პრაქტიკებს (ასეთი კომპონენტის არსებობას უარყოფს 26.8%, 32% აცხადებს, რომ მათ პროგრამებს ეს არ ეხება, ხოლო 8.5%-ს უჭირს პასუხის გაცემა);
- მონაცემების თანახმად, პრაქტიკული სწავლების თვალსაზრისით, თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტში შედარებით უკეთესი მდგომარეობაა: ისეთ კომპონენტებთან მიმართებაში, როგორცაა პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავებაზე ორიენტირებული კურსები და პრაქტიკის გავლა/სტაჟირება ორგანიზაციებში დადებითი პასუხების ბალანსი აჭარბებს უარყოფით პასუხებს.

დეტალურად გამოკითხვის შედეგები, ცალკეული უნივერსიტეტების მიხედვით, იხ. ცხრილში #8:

³⁰ აქ მხედველობაში უნდა მივიღოთ ის, რომ ზოგიერთ სასწავლო პროგრამას, რესპონდენტთა თქმით, არ ეხება ეს თუ ის პრაქტიკული კომპონენტი. შესაბამისად, თუ მაჩვენებელს „არ ეხება“ ამოვრთავთ სტატისტიკური მონაცემებიდან (ანუ დავტოვებთ მხოლოდ იმ პროგრამების შეფასებას, რომელთაც პრაქტიკული კომპონენტების ქონა მოეთხოვება), უარყოფითი სურათი კიდევ უფრო გამძაფრდება.

ცხრილი #8: პრაქტიკული კომპონენტები ცალკული უნივერსიტეტების სასწავლო პროგრამებში

		დიახ (%)				არა (%)			
		ოსუ	აწსუ	ბსუ	თესაუ	ოსუ	აწსუ	ბსუ	თესაუ
1	პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავებაზე ორიენტირებული კურსები	33.9	32.4	33.8	33.7	43.6	50.2	55.1	30.8
2	ლაბორატორიული გაკვეთილები/საველე პრაქტიკები	24.1	25.8	32.7	26.4	43.6	46.2	26.8	37.0
3	პრაქტიკის გავლა/სტაჟირება ორგანიზაციებში	30.9	32.1	34.9	43.2	43.0	48.8	50.4	27.8
4	დამსაქმებლებთან შეთანხმება მათთვის სპეციალისტების მიზნობრივად მომზადებისთვის	6.8	9.7	12.5	16.5	56.4	64.2	62.9	43.2
5	პრაქტიკოსი სპეციალისტების ჩართვა ლექციების წასაკითხად	39.4	27.8	28.7	28.9	34.2	51.8	53.7	38.5

იმ სტუდენტებს, რომლებმაც აღნიშნეს, რომ მათი სასწავლო პროგრამა შეიცავს პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავებაზე ორიენტირებულ კურსებს, ლაბორატორიულ გაკვეთილებს ან საველე პრაქტიკას, მიეცათ შესაძლებლობა შეეფასებინათ ეს კომპონენტები სხვადასხვა ნიშნით. ეს ნიშნებია:

- სასწავლო პროგრამაში პრაქტიკული კურსების/ლაბორატორიული გაკვეთილების დაბალანსებული წილი;
- კვალიფიციური პედაგოგები პრაქტიკული კურსების/ლაბორატორიული გაკვეთილებისათვის;
- მატერიალურ-ტექნიკური საშუალებები პრაქტიკული კურსებისათვის, ლაბორატორიული გაკვეთილებისათვის;
- პრაქტიკული კურსების/ლაბორატორიული გაკვეთილების საერთო დონე.

დეტალურად შეფასებები იხ. დიაგრამაზე #18³¹:

როგორც მონაცემები აჩვენებს, სტუდენტების (საერთო შერჩევაში) მიერ მინიჭებული შეფასებები, ყველა ნიშნის მიხედვით, დადებითი შეფასების „ველშია“ მოქცეული, თუმცა, ნეიტრალურ მაჩვენებელთან საკმაოდ ახლოს. შედარებით ნაკლებად კმაყოფილები სტუდენტები მატერიალურ-ტექნიკური საშუალებებით არიან, ყველაზე მეტად კი - კვალიფიციური პედაგოგებით, რომლებიც პრაქტიკულ კურსებს ახორციელებენ.

ცალკეული უნივერსიტეტების მიხედვით შეფასებები, ზემოაღნიშნული ნიშნების საფუძველზე, შემდეგნაირად გადანაწილდა (იხ. დიაგრამა #19³²):

³¹ იხ. დანართი, დიაგრამა #18

³² იხ. დანართი, დიაგრამა #19

პრაქტიკული აქტივობების შეფასებისას ყველაზე მაღალი საშუალო მაჩვენებელი თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის შემთხვევაში ფიქსირდება (საშუალოდ 3.63), რაც საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტები პრაქტიკული აქტივობებით კმაყოფილნი არიან. შეფასების ყველაზე დაბალ საშუალო ინდექსს (3.2) ადგენენ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტების სტუდენტები. მეტიც: ისეთ კომპონენტთან მიმართებაში, როგორცაა მატერიალურ-ტექნიკური საშუალებები პრაქტიკული კურსებისათვის და ლაბორატორიული გაკვეთილებისათვის, თსუ-ის სტუდენტების შეფასება უარყოფით „ველში“ მოექცა (თუმცა, ნეიტრალურ პუნქტან ახლოს; MEAN=2.8).

იმ სტუდენტებს, რომლებმაც აღნიშნეს, რომ მათი სასწავლო პროგრამა შეიცავს უნივერსიტეტს გარეთ, ორგანიზაციებში პრაქტიკის გავლას/სტაჟირებას, მიეცათ შესაძლებლობა შეეფასებინათ ეს კომპონენტი სხვადასხვა ნიშნით. ეს ნიშნებია:

- სასწავლო პროგრამაში გარე პრაქტიკის/სტაჟირების დაბალანსებული წილი;
- კვალიფიციური პედაგოგები;
- გარე პრაქტიკის/სტაჟირების ადგილებში სტუდენტების ჩართვა მათი პროფესიის შესაბამის საქმიანობებში/პროექტებში;
- მატერიალურ-ტექნიკური საშუალებები/ბაზა გარე პრაქტიკ-ის/სტაჟირების ადგილებში;
- გარე პრაქტიკის/სტაჟირების საერთო დონე

ცალკეული უნივერსიტეტების მიხედვით ასეთი შეფასებები გამოვლინდა (იხ. ცხრილი #9):

შენიშვნა: დადებითი და უარყოფითი შეფასებების კონვერტირებს ამჯერადაც მოხდა 5 ბალიან სკალაზე, რომლის ნეიტრალური წერტილია 3. საშუალო მაჩვენებლები (MEAN), რომლებიც 3-ზე მეტია (MEAN > 3) დადებითი შეფასების „ველში“ თავსდება (მაქსიმალური დადებითი მაჩვენებლით - 5), ხოლო საშუალო მაჩვენებლები, რომლებიც 3-ზე ნაკლებია (MEAN < 3) – უარყოფითი შეფასების „ველში“ (მაქსიმალური უარყოფითი მაჩვენებლით - 1). პოზიცია „მიჭირს პასუხის გაცემა“ არ მონაწილეობს საშუალო მონაცემების განსაზღვრაში.

ცხრილი #9: ორგანიზაციებში პრაქტიკის გავლის/სტაჟირების შეფასება უნივერსიტეტების მიხედვით³³

		საშუალო მაჩვენებლები (MEAN)			
		თსუ N=95	აწსუ N=96	ბსუ N=95	თესაუ N=118
1	სასწავლო პროგრამაში გარე პრაქტიკის/სტაჟირების დაბალანსებული წილი	3.3	3.6	3.5	3.8
2	კვალიფიციური პედაგოგები	4.0	3.9	3.7	4.0
3	გარე პრაქტიკის/სტაჟირების ადგილებში სტუდენტების ჩართვა მათი პროფესიის შესაბამის საქმიანობებში	3.6	3.8	3.6	3.7
4	მატერიალურ-ტექნიკური საშუალებები/ბაზა გარე პრაქტიკის/სტაჟირების ადგილებში	3.5	3.7	3.6	3.6
5	გარე პრაქტიკის/სტაჟირების საერთო დონე	3.6	3.8	3.6	3.7

როგორც მონაცემები აჩვენებს, ყველა ნიშნის მიხედვით ორგანიზაციებში პრაქტიკის/სტაჟირების შეფასებები დადებით ველსია მოქცეული. თუმცა, გამოკვთილად დადებითი შეფასება გარე პრაქტიკის პედაგოგთა კვალიფიკაციამ დაიმსახურა; სხვა ნიშნების მიხედვით შეფასებები მეტ-ნაკლებად დადებით მაჩვენებლებლებს შეესაბამება.

იმ სტუდენტებს, რომლებმაც აღნიშნეს, რომ მათი სასწავლო პროგრამის განხორციელებაში მონაწილეობენ პრაქტიკოსი სპეციალისტები, ასევე მიეცათ შესაძლებლობა შეეფასებინათ ეს კომპონენტი სხვადასხვა ნიშნით. ეს ნიშნებია:

- პრაქტიკოსი პედაგოგების დაბალანსებული მონაწილეობა სასწავლო პროგრამაში
- პრაქტიკოს პედაგოგების კვალიფიკაცია
- პრაქტიკოსი პედაგოგების მოტივაცია/დისციპლინა (ლექციების არგაცდენა, სტუდენტებთან თანამშრომლობა და სხვ.)

შეფასება ამჯერადაც განხორციელდა 5 ქულიან სკალაზე (იხ. ზემოთ).

ცალკეული უნივერსიტეტების მიხედვით ასეთი შეფასებები (საშუალო მაჩვენებლები – MEAN) გამოვლინდა (იხ. დიაგრამა #20³⁴):

როგორც დიაგრამაზე მოცემული საშუალო მონაცემები აჩვენებს, პრაქტიკოსი სპეციალისტები ყველა სამიზნე უნივერსიტეტში, ყველა ნიშნით დადებითად არიან შეფასებულნი (თუმცა, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ქუთაისის და ბათუმის უნივერსიტეტების სასწავლო პროგრამებში ეს კომპონენტი ძალზე მწირად არის წარმოდგენილი (ამის თაობაზე ზემოთ იყო საუბარი).

³³ საშუალო მაჩვენებლები დათვლილია იმათგან, ვინც აღნიშნა, რომ მათი სასწავლო პროგრამა შეიცავს ორგანიზაციებში პრაქტიკის გავლას/სტაჟირებას.

³⁴ იხ. დანართი, დიაგრამა #20

3.6. ინტერნაციონალიზაცია

კვლევის ერთ-ერთ ამოცანას წარმოადგენდა იმის დადგენა, თუ რამდენად აძლევს სტუდენტებს მათი უნივერსიტეტები სხვადასხვა უცხო ენის სწავლის საშუალებას, რამდენად იყენებენ სტუდენტები ამ შესაძლებლობას და როგორ აფასებენ უცხო ენების შეთავაზებულ კურსებს. ამასთან ერთად, კვლევა სწავლობდა, რამდენად აქვთ სტუდენტებს უცხოურ უნივერსიტეტებთან და უცხოელ სპეციალისტებთან/სტუდენტებთან კომუნიკაციის შესაძლებლობა.

უცხო ენების სწავლება

სტუდენტებს დაესვათ შეკითხვები იმის თაობაზე, თუ რომელი ენების სწავლის საშუალებას იძლევა მათი სასწავლო პროგრამები და თავად რომლებს ირჩევენ. მიღებული შედეგები ოთხივე სამიზნე უნივერსიტეტის მიხედვით შემდეგნაირად გამოიყურება (იხ. დიაგრამა #21³⁵):

როგორც საერთო შერჩევის მონაცემები აჩვენებს, დასახელებულ სამ ევროპულ ენას შორის ინგლისური ენის სწავლება (როგორც სწავლების შესაძლებლობის, ისე სტუდენტთა მიერ არჩევანის მიხედვით) გაცილებით ინტენსიურად ხდება, ვიდრე გერმანულის და ფრანგულის. კითხვარის მიერ შეთავაზებული სამი ენის (ინგლისური, გერმანული, ფრანგული) გარდა, სტუდენტების 18.2% აღნიშნავს, რომ შეუძლია შეისწავლოს რუსული ენა, 2.4% თურქული ენის შესწავლის შესაძლებლობაზე მიუთითებს, იტალიური ენის შესწავლის შესაძლებლობაზე – 0.8%, ესპანური ენის სწავლის შესაძლებლობაზე – 0.4% და ა.შ.. თუმცა, საერთო ჯამში, სტუდენტთა საერთო შერჩევის მხოლოდ 8.6% სწავლობს სხვა უცხო ენებს, ინგლისურის, გერმანულის და ფრანგულის გარდა.

თუ უცხო ენების სწავლებას (შესაძლებლობას და რეალურ არჩევანს) ცალკეული უნივერსიტეტების ჭრილში განვიხილავთ, სურათი არსებითად არ განსხვავდება საერთო შერჩევაში არსებული სურათისგან; თუმცა, ფიქსირდება ერთი მნიშვნელოვანი განსხვავება: ქუთაისის უნივერსიტეტი, სხვა სამიზნე უნივერსიტეტებთან შედარებით, უფრო ფართოდ (ინტენსიურად) სთავაზობს სტუდენტებს როგორც გერმანული, ისე ფრანგული ენების შესწავლის შესაძლებლობას (ყოველ შემთხვევაში, ქუთაისის უნივერსიტეტების სტუდენტების გაცილებით მეტი რაოდენობაა ინფორმირებული ამის შესახებ, სხვა უნივერსიტეტების სტუდენტებთან შედარებით) (იხ. დიაგრამა #22³⁶):

უცხო ენებს, რომლებიც უნივერსიტეტის სასწავლო პროგრამის ფარგლებში უკვე ისწავლეს, ან სწავლობენ, სტუდენტების უმრავლესობა დადებითად აფასებს (იხ. დიაგრამა #23³⁷):

³⁵ იხ. დანართი, დიაგრამა #21

³⁶ იხ. დანართი, დიაგრამა #22

³⁷ იხ. დანართი, დიაგრამა #23

გამოკითხვამ ერთი მნიშვნელოვანი განსხვავება გამოავლინა უნივერსიტეტებს შორის უცხო ენების სწავლების შეფასებთან დაკავშირებით: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტები გაცილებით ნაკლებად აფასებენ უცხო ენების სწავლებას დადებითად, ვიდრე სხვა უნივერსიტეტების სტუდენტები. კერძოდ, თსუ-ში ინგლისური ენის სწავლების შეფასებაში უარყოფითად შემფასებლები (40.6%) ნიშვნელოვნად მეტია, ვიდრე დადებითად შემფასებლები (30%); თსუ-ის სტუდენტებს შორის დაბალია გერმანული და ფრანგული ენების სწავლების შემფასებელთა ხვედრითი წილიც (შესაბამისად, 35.3% და 33.3%).

დეტალურად, უცხო ენების სწავლების შეფასება სამიზნე უნივერსიტეტების ჭრილში, მოცემულია დიაგრამაზე #24³⁸:

ინტერნაციონალიზაციის ხელშემწყობი სხვადასხვა აქტივობები

სტუდენტებს, ასევე, დაესვათ შეკითხვები იმის შესახებ, თუ რამდენად აძლევს უნივერსიტეტი მათ შესაძლებლობას, ჩაერთონ სხვადასხვა აქტივობებში, რომლებიც საერთაშორისო აკადემიური გამოცდილების შეძენას უწყობს ხელს. ასეთი აქტივობებია: უცხოეთის უნივერსიტეტებთან გაცვლით პროგრამებში, საერთაშორისო სკოლებში (ზამთრის/ზაფხულის), საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობა, უცხოენოვანი კურსების მოსმენა, უცხოელი მეცნიერების პრეზენტაციების შეთავაზება და სხვ.

აღნიშნულ აქტივობებში ჩართვასთან დაკავშირებით, საერთო შერჩევაში შემდეგი სურათი გამოვლინდა (იხ. ცხრილი #10):

³⁸ იხ. დანართი, დიაგრამა #24

ცხრილი #10: სტუდენტებისთვის ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობი სხვადასხვა აქტივობების შეთავაზება

	რეგულარულად	დრო და დრო	იშვიათად	არა	მიჭირს პ/გ
უცხოეთის უნივერსიტეტებთან გაცვლით საგრანტო პროგრამებში (მათ შორის, ერაზმუსის) მონაწილეობა	34.5%	30.3%	14.3%	12.6%	8.3%
საერთაშორისო საგანმანათლებლო სკოლებში (ზამთრის/ზაფხულის) მონაწილეობა	20.8%	24.2%	17.1%	23.0%	14.9%
საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობა	24.1%	25.6%	19.6%	18.9%	11.7%
უცხოენოვანი კურსის მოსმენა	18.2%	22.7%	19.7%	25.7%	13.7%
უცხოელი მეცნიერების პრეზენტაციებსა და მოხსენებებზე დასწრება	17.2%	23.4%	22.6%	25.8%	11.0%
საერთაშორისო საგანმანათლებლო ორგანიზაციების შეთავაზებების გაცნობა სტუდენტებისთვის	20.0%	24.9%	21.1%	20.9%	13.0%

საერთო შერჩევის მონაცემები აჩვენებს, რომ ინტერნაციონალიზაციაზე მიმართულ აქტივობებში ჩართვა სტუდენტების მნიშვნელოვანი ნაწილისთვის (სხვადასხვა აქტივობისთვის მერყეობს 27–48%-ის ფარგლებში) იშვიათი ან საერთოდ ხელმიუწვდომელი პრაქტიკაა. საერთო შერჩევის მხოლოდ საშუალოდ ყოველი მეხუთე სტუდენტი მიუთითებს საერთაშორისო გამოცდილების მიღების რეგულარულად შეთავაზებაზე უნივერსიტეტების მხრიდან.

თუ აღნიშნულ მონაცემებს ცალკეული უნივერსიტეტების ჭრილში განვიხილავთ, იკვეთება ერთი მნიშვნელოვანი კანონზომიერება: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, სხვა სამიხნე უნივერსიტეტებთან შედარებით, მნიშვნელოვნად დაწინაურებულია სტუდენტთათვის საერთაშორისო გამოცდილების მიღების და ინტერნაციონალიზაციაზე მიმართული აქტივობების შეთავაზებით.

დეტალურად, მონაცემები, ცალკეული უნივერსიტეტების მიხედვით, იხილეთ ცხრილში #11:

ცხრილი #11: სტუდენტებისთვის ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობი სხვადასხვა აქტივობების შეთავაზება ცალკეული უნივერსიტეტების მხრიდან³⁹

	რეგულარულად				იშვიათად/ არა			
	თსუ	აჭსუ	ბსუ	თესსუ	თსუ	აჭსუ	ბსუ	თესსუ
უცხოეთის უნივერსიტეტებთან გაცვლით საგრანტო პროგრამებში (მათ შორის, ერაზმუსის) მონაწილეობა	37.8%	32.8%	34.6%	32.6%	16.9%	37.8%	21.7%	31.5%
საერთაშორისო საგანმანათლებლო სკოლებში (ზამთრის/ზაფხულის) მონაწილეობა	23.8%	26.8%	16.2%	15.4%	30.0%	44.1%	46.0%	41.4%
საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობა	28.7%	28.1%	19.1%	19.4%	26.4%	46.5%	43.0%	39.2%
უცხოენოვანი კურსის მოსმენა	19.2%	25.8%	9.6%	17.2%	36.8%	49.8%	54.4%	41.4%
უცხოელი მეცნიერების პრეზენტაციებსა და მოხსენებებზე დასწრება	25.7%	22.4%	9.2%	9.9%	33.2%	50.2%	55.1%	56.8%
საერთაშორისო საგანმანათლებლო ორგანიზაციების შეთავაზებების გაცნობა სტუდენტებისთვის	23.1%	27.4%	12.1%	16.1%	30.6%	43.8%	46.7%	48.4%

³⁹ ცხრილში მოტანილია მხოლოდ მონაცემები, რომლებიც შეესაბამება პოზიციებს: „რეგულარულად“, „იშვიათად“, „არა“ (უკანასკნელი ორი პოზიციის მონაცემები გაერთიანებულია). ამდენად, ბუმებრივია, ცხრილში მოტანილი მონაცემების ჯამი 100%-ს არ შეადგენს.

3.7 სტუდენტთა მომსახურება

მომსახურების დონის ზოგადი შეფასება

სტუდენტთა მომსახურების დონე საერთო შერჩევაში ძირითადად დადებითად არის შეფასებული სტუდენტების მიერ, თუმცა ერთმნიშვნელოვნად დადებითად შემფასებელთა წილი დაბალია (10.5% - „ძალზე დადებითად“, 36.2% - „უფრო დადებითად, ვიდრე უარყოფითად“). ყოველი მეხუთე რესპონდენტი სტუდენტთა მომსახურების დონეს უარყოფითად აფასებს („ძალზე“ ან „უფრო“), ხოლო 26.4% – დაბალანსებულ შეფასებას გამოთქვამს („თანაბრად დადებითად და უარყოფითად“). 6%-ს პასუხის გაცემა უჭირს.

რაც შეეხება ამ მონაცემებს უნივერსიტეტების მიხედვით, აქ შემდეგნაირი სურათი გვაქვს (დიაგრამა #25⁴⁰):

მონაცემები აჩვენებს, რომ თსუ ერთადერთი უნივერსიტეტია სამიზნე უნივერსიტეტებს შორის, სადაც სტუდენტთა მომსახურება უფრო მეტად უარყოფითადაა შეფასებული, ვიდრე დადებითად. დანარჩენი უნივერსიტეტების შემთხვევაში, დადებითი შეფასებები უარყოფითს მინიმუმ 23%-ით აღემატება.

უნივერსიტეტის მატერიალური რესურსების და ინფრასტრუქტურის შეფასება

სწავლების პროცესის წარმატებული განხორციელებისათვის შესაფერისი გარემოა საჭირო. თანამედროვე სივრცე, სადაც უმაღლესი განათლების პროგრამები ხორციელდება, გულისხმობს შესაფერის ინფრასტრუქტურულ მოწყობასა და მატერიალურ რესურსებს. კვლევის ფარგლებში სტუდენტები ამ საკითხთან დაკავშირებითაც გამოიკითხნენ.

სასწავლო აუდიტორიების მდგომარეობა და მატერიალურ-ტექნიკური მოწყობა საუნივერსიტეტო მატერიალური რესურსების უმნიშვნელოვანესი კომპონენტია. საერთო შერჩევის სტუდენტებმა სასწავლო აუდიტორიები სხვადასხვა კომპონენტის მიხედვით 5-ბალიან სკალაზე შემდეგნაირად შეაფასეს:

- აუდიტორიების ფართი (ტევადობა) – 3.74
- აუდიტორიების რემონტი - 2.85
- აუდიტორიების მატერიალური აღჭურვილობა - 3.23
- აუდიტორიების ტექნიკური აღჭურვილობა - 2.88
- აუდიტორიის გათბობა - 3.6
- აუდიტორიის განათება - 3.66

⁴⁰ იხ. დანართი, დიაგრამა #25

შენიშვნა: დადებითი და უარყოფითი შეფასებების კონვერტირებს ამჯერადაც მოხდა 5 ბალიან სკალაზე, რომლის ნეიტრალური წერტილია 3. საშუალო მაჩვენებლები (MEAN), რომლებიც 3-ზე მეტია (MEAN > 3) დადებითი შეფასების „ველში“ თავსდება (მაქსიმალური დადებითი მაჩვენებლით - 5), ხოლო საშუალო მაჩვენებლები, რომლებიც 3-ზე ნაკლებია (MEAN < 3) – უარყოფითი შეფასების „ველში“ (მაქსიმალური უარყოფითი მაჩვენებლით - 1). პოზიცია „მიჭირს პასუხის გაცემა“ არ მონაწილეობს საშუალო მონაცემების განსაზღვრაში.

საერთო შერჩევის მონაცემები აჩვენებს, რომ აუდიტორიების მდგომარეობა ორი ისეთი მნიშვნელოვანი კომპონენტის მიხედვით, როგორცაა მათი რემონტი და ტექნიკური აღჭურვილობა, შეფასების უარყოფით „ველშია“ მოქცეული.

რა ვითარებაა ცალკეულ უნივერსიტეტებში? მონაცემები (საშუალო მაჩვენებლები იხ. ცხრილში #12:

ცხრილი #12: სასწავლო აუდიტორიების მდგომარეობის შეფასება უნივერსიტეტების მიხედვით (MEAN)

	თსუ	აჭსუ	ბსუ	თესუ
ფართი (ტევადობა)	3.53	3.85	3.84	3.74
აუდიტორიების რემონტი	2.42	3.05	3.08	2.86
აუდიტორიების მატერიალური აღჭურვა (მაგიდები, სკამები, დაფა და სხვ.)	3.05	3.47	3.53	2.89
აუდიტორიების ტექნიკური აღჭურვა (პროექტორი, მიკროფონი და სხვ.)	2.56	3.03	3.21	2.73
აუდიტორიების გათბობა	3.40	3.63	3.48	3.89
აუდიტორიების განათება	3.43	3.78	3.60	3.86

რაც შეეხება რესურს ცენტრს, გამოკითხულთა 97.6% აღნიშნავს, რომ მათ უნივერსიტეტში რესურს ცენტრი არსებობს, თუმცა ეს მონაცემები მცირდება, როდესაც შეკითხვა ვიწროვდება და რესურს ცენტრის არსებობას იკვლევს, ერთი მხრივ, ფაკულტეტზე და, მეორე მხრივ, დეპარტამენტზე/ინსტიტუტზე/მიმართულებაზე. ფაკულტეტის შემთხვევაში, გამოკითხულთა 8%-მდე აღნიშნავს, რომ მათ ფაკულტეტზე რესურს ცენტრი არ არსებობს (6%-ს უჭირს აპსუხის გაცემა). ეს მაჩვენებელი ოდნავ იზრდება (9%-მდე) მიმართულების/დეპარტამენტის/ინსტიტუტის შემთხვევაში; თუმცა, აღსანიშნავია, რომ პასუხის გაცემა კონკრეტულად ამ შეკითხვაზე 14.5%-ს უჭირს.

სტუდენტები რესურს ცენტრს, სხვადასხვა პარამეტრის მიხედვით, შემდეგნაირად აფასებენ (საშუალო მაჩვენებლები ამჯერადაც დათვლილია 5 ქულიან სკალაზე):

- სარესურსო ცენტრით სარგებლობა სამუშაო საათებში - MEAN = 3.94
- კომპიუტერების (მუშა მდგომარეობაში) რაოდენობა - 3.83
- პრინტერების (მუშა მდგომარეობაში) რაოდენობა - 2.93

- ქსეროქსის გამოყენება - 3.04
- სკანერის გამოყენება - 2.45
- ინტერნეტის უწყვეტი მიწოდება - 3.59
- ინტერნეტის სისწრაფე - 3.03

როგორც საშუალო მონაცემები აჩვენებს, სტუდენტები განსაკუთრებით უჩივიან რესურს ცენტრის 2 კომპონენტს: პრინტერების არასაკმარის რაოდენობას და სკანერის გამოყენების შესაძლებლობას (ამ კომპონენტების მაჩვენებლებში შეფასების უარყოფით „ველში“ მოხვდა). თუმცა, აღსანიშნავია, რომ რესურს ცენტრის ისეთი შემადგენელი კომპონენტების მაჩვენებლები, როგორცაა ქსეროქსი და ინტერნეტის სისწრაფე, სკალის ნეიტრალურ პუნქტზე განლაგდა, რაც იმაზე მიუთითებს, რომ სტუდენტები არც ამ პარამეტრებით არიან კმაყოფილნი.

რესურს ცენტრის მსგავსად, კლების კიდევ უფრო გამოკვეთილი ტენდენცია იკვეთება ბიბლიოთეკის არსებობასთან დაკავშირებით, როდესაც უნივერსიტეტის დონიდან გადავდივართ ისეთი სტრუქტურული ერთეულების დონეზე, როგორცაა, ერთი მხრივ, ფაკულტეტი და, მეორე მხრივ, დეპარტამენტი/ინსტიტუტი/მიმართულება. კერძოდ, საერთო შერჩევის 99% ამბობს, რომ საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკა აქვთ, მაგრამ ფაკულტეტზე ბიბლიოთეკის არსებობას ადასტურებს მხოლოდ 66.6%, ხოლო მიმართულებაზე/ინსტიტუტში/დეპარტამენტში - 55.6%. ეს მიუთითებს, რომ რესურს ცენტრისგან შედარებით, ბიბლიოთეკის არსებობა გაცილებით უფრო პრობლემურია, როდესაც ლაპარაკია მის ფუნქციონირებაზე ფაკულტეტის და ფაკულტეტის შემადგენელი სტრუქტურული ერთეულების ფარგლებში.

რაც შეეხება ბიბლიოთეკის სხვადასხვა კუთხით შეფასებას, შედეგები, მთელი შერჩევისათვის, შემდეგნაირად გამოიყურება (საშუალო მაჩვენებლები ამჯერადაც დათვლილია 5 ქულიან სკალაზე)::

- ბიბლიოთეკით შეუფერხებელი სარგებლობის შესაძლებლობა - MEAN = 4.34
- ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი (სასწავლო ლიტერატურა) - 4.11
- ინფორმაცია ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის შესახებ(კატალოგი) - 3.85
- ბიბლიოთეკის ელექტრონული ბაზები - 3.47
- ელექტრონულ ბაზებზე ხელმისაწვდომობა საუნივერსიტეტო სივრცის მიღმა - 3.33
- ეგზემპლარების საკმარისი რაოდენობა - 3.25
- ბიბლიოთეკიდან წიგნების გატანის შესაძლებლობა - 3.78
- ბიბლიოთეკაში მასალების გადაღების შესაძლებლობა - 3.71

როგორც საშუალო მაჩვენებლებიდან ირკვევა, სტუდენტების მნიშვნელოვანი ნაწილის პრეტენზია ძირითადად ეხება ბიბლიოთეკაში ელექტრონული ბაზების არსებობას, მათ ხელმისაწვდომობას საუნივერსიტეტო სივრცის მიღმა და ეგზემპლარების (წიგნების)

არასაკმარის რაოდენობას (ბიბლიოთეკის ამ კომპონენტების მაჩვენებლები, მართალია, შეფასების პოზიტიურ „ველშია“ მოქცეული, მაგრამ ძალზე ახლოსაა ნეიტრალურ პუნქტთან).

სტუდენტებს ეთხოვათ, სალექციო აუდიტორიებთან, რესურს ცენტრსა და ბიბლიოთეკასთან ერთად, შეეფასებინათ უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურა შემდეგი პარამეტრების მიხედვით (საშუალო მაჩვენებლები კვლავ დათვლილია 5 ქულიან სკალაზე) (იხ. ცხრილი #13):

ცხრილი #13: უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურის შეფასება

		საშუალო მაჩვენებლები (MEAN)	არ არსებობს/უარყოფითად ვაფასებ (%)
1	სასადილო	2.94	47.5%
2	სპორტული დარბაზი/მოედნები	3.11	33.3%
3	სივრცე სტუდენტური ღონისძიებების ჩასატარებლად	3.57	18.1%
4	საპირფარეშოები	3.07	33.4%
5	ინფრასტრუქტურა შშმ პირთათვის (პანდუსები, ლიფტები და სხვ.)	1.82	74.9%

როგორც მონაცემები აჩვენებს, უნივერსიტეტებში ძალზე მძიმე ვითრებაა შშმ პირთათვის შესაბამისი ინფრასტრუქტურის უზრუნველყოფის თვალსაზრისით, სტუდენტების დიდი ნაწილი უჩივის, ასევე, სასადილოების არარსებობას ან არსებული სასადილოების ცუდად მუშაობას (ეს ორი პარამეტრი შეფასების უარყოფით „ველშია“ მოქცეული); დაბალი მაჩვენებლები (ნეიტრალურ პუნქტთან ძალიან ახლოს) აქვს, აგრეთვე, სპორტული დარბაზების/მოედნების და საპირფარეშოების მდგომარეობის შეფასებას.

სტუდენტთა რეგისტრაციის და გამოცდების შეფასების სისტემები

შეკითხვაზე, თუ რომელი სისტემა გამოიყენება სასწავლო კურსებზე სტუდენტთა რეგისტრაციისთვის, საერთო შერჩევის მხოლოდ 25.5% მიუთითებს ელექტრონული ბაზების სისტემაზე (რომელშიც თითოეული სტუდენტი ფლობს თავის „სივრცეს“ კურსზე დასარეგისტრირებლად). 54% აღნიშნავს, რომ მათ შემთხვევაში კუსტარული რეგისტრაცია გამოიყენება - რეგისტრაცია ხდება სპეციალისტის მიერ სტუდენტის სიაში „ხელით“ ჩასმით. საინტერესოა, სტუდენტთა 20.4%-ს არ შეუძლია განსაზღვროს სასწავლო კურსებზე მისი რეგისტრაციის ფორმა („მიჭირს პასუხის გაცემა“).

აღსანიშნავია, რომ იმ 25.5%-ს, რომელიც სტუდენტთა რეგისტრაციის ფორმად ელექტრონულ ბაზებს ასახელებს, მთლიანად თსუ-ს სტუდენტები შეადგენენ, სხვა უნივერსიტეტებში ელექტრონული ბაზების რეგისტრაციისას გამოიყენება არ ფიქსირდება.

კითხვაზე, თუ რა წესით ხდება უნივერსიტეტში შუალედური და საბოლოო გამოცდების ადმინისტრირება, შემდეგი პასუხები დაფიქსირდა (იხ. დიაგრამა #26⁴¹):

აღსანიშნავია, რომ უნივერსიტეტების მიხედვით, გამოცდების ცენტრალიზებულ ადმინისტრირებასთან დაკავშირებით მნიშვნელოვნად განსხვავებული პასუხები დაფიქსირდა: თსუ-ის სტუდენტების 25.4% მიუთითებს, რომ ადმინისტრირება „მხოლოდ ცენტრალიზებულად“ ხდება, ქუთაისის უნივერსიტეტის შემთხვევაში ეს მონაცემები - 14%-ია, ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის შემთხვევაში - 2.9%, ხოლო თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის შემთხვევაში - 70.3%.

თავად გამოკითხულების ყველაზე დიდი ნაწილი (46.5%) კი გამოცდების ადმინისტრირების შერეული (როგორც ცენტრალიზებული, ისე ინდივიდუალური) წესის გამოყენებას ანიჭებენ უპირატესობას, თუმცა ყოველი მესამე გამოკითხული გამოცდების ცენტრალიზებული წესით ჩატარების მომხრეა (იხ. დიაგრამა #27⁴²):

უნივერსიტეტის სხვადასხვა დონის ადმინისტრაციის შეფასება

სტუდენტებმა შეაფასეს თავიანთი უნივერსიტეტის, ფაკულტეტისა და დეპარტამენტის/მიმართულების ადმინისტრაციები (იხ. ცხრილი #14):

შენიშვნა: დადებითი და უარყოფითი შეფასებების კონვერტირებს ამჯერადაც მოხდა 5 ბალიან სკალაზე, რომლის ნეიტრალური წერტილია 3. საშუალო მაჩვენებლები (MEAN), რომლებიც 3-ზე მეტია (MEAN > 3) დადებითი შეფასების „ველში“ თავსდება (მაქსიმალური დადებითი მაჩვენებლით - 5), ხოლო საშუალო მაჩვენებლები, რომლებიც 3-ზე ნაკლებია (MEAN < 3) – უარყოფითი შეფასების „ველში“ (მაქსიმალური უარყოფითი მაჩვენებლით - 1). პოზიცია „მიჭირს პასუხის გაცემა“ არ მონაწილეობს საშუალო მონაცემების განსაზღვრაში.

⁴¹ იხ. დანართი, დიაგრამა #26

⁴² იხ. დანართი, დიაგრამა #27

ცხრილი #14: სხვადასხვა დონის ადმინისტრაციის შეფასება (MEAN)

პარამეტრები	უნივერსიტეტის ცენტრალური ადმინისტრაცია	ფაკულტეტის ადმინისტრაცია	დეპარტამენტის/ მიმართულების ადმინისტრაცია
მომსახურების(მათ შორის ინფორმაციის მიწოდების) ოპერატიულობა	3.62	3.81	3.87
მომსახურების პროცედურების გამართულობა და გამჭვირვალობა	3.63	3.78	3.83
სტუდენტებთან ეთიკის ნორმების დაცვა	3.88	3.99	4.04

როგორც ცხრილში მოტანილი მონაცემები აჩვენებს, საერთო ჯამში, შეფასებები ადმინისტრირების ყველა კომპონენტში, სამივე დონეზე, დადებითისკენ იხრება. დადებითი შეფასება იზრდება სამივე კომპონენტში, როდესაც ცენტრალური ადმინისტრაციიდან კითხვა გადადის ფაკულტეტსა და მიმართულებაზე/დეპარტამენტზე. ეს ტენდენცია შეიძლება აიხსნას იმით, რომ ფაკულტეტის ადმინისტრაცია ცენტრალურთან შედარებით, უფრო ლოკალურია, ისევე როგორც, მიმართულებისა – ფაკულტეტთან შედარებით. ასეთი „ლოკალურობა“ ამცირებს დისტანციას სტუდენტებსა და ადმინისტრაციის წარმომადგენლებს შორის და კომუნიკაციასაც უფრო რეგულარულს და ეფექტიანს ხდის, რაც გამოიხატება სტუდენტისთვის ინფორმაციის მიწოდების ოპერატიულობაში, პრობლემების გადაჭრაში და ა.შ.

3.8 მართვაში მონაწილეობა

სტუდენტების გავლენის ხარისხი უნივერსიტეტში მიმდინარე პროცესებზე

ჩატარებული კვლევის ერთ-ერთი ამოცანა იყო, იმის გაგება, თუ რამდენად აქვთ სტუდენტებს უნივერსიტეტში მიმდინარე პროცესებში ჩართვის და ამ პროცესებზე გავლენის მოხდენის შესაძლებლობა და რამდენად იყენებენ ამ შესაძლებლობას.

შეკითხვაზე, თუ როგორია სტუდენტების გავლენის ხარისხი უნივერსიტეტში მიმდინარე პროცესებზე, სამიზნე უნივერსიტეტების მიხედვით შემდეგი პასუხები დაფიქსირდა (იხ. დიაგრამა #28⁴³):

მონაცემებმა აჩვენა, რომ ყველა სამიზნე უნივერსიტეტში სტუდენტების გამოკვეთილმა უმრავლესობამ საკუთარი გავლენა შიდასაუნივერსიტეტო პროცესებზე შეაფასეს როგორც „საშუალო“ ან „სუსტი“. თუმცა, თსუ-ის სტუდენტების პოზიცია იმით გამოირჩევა, რომ, სხვა უნივერსიტეტების სტუდენტებისაგან განსხვავებით, ისინი გავლენის უფრო დაბალ დონეზე მიუთითებენ. კერძოდ, თსუ-ში ყველაზე მაღალია „სუსტი“ გავლენის მაჩვენებელი, ხოლო „ნულოვან“ გავლენას, სამიზნე უნივერსიტეტებს შორის, ყველაზე მაღალი წილი აქვს (თსუ-ში საშუალო და სუსტი გავლენის ჯამური მაჩვენებელი უმრავლესობას – 51%-ს შეადგენს).

რაც შეეხება სტუდენტთა გავლენას ფაკულტეტის დონეზე, ამ შემთხვევაში გავლენის ხარისხი იმატებს. კერძოდ, ყველა სამიზნე უნივერსიტეტში იზრდება „ძლიერი“ გავლენის მაჩვენებლები (შესაბამისად, მცირდება „სუსტი“ გავლენის მაჩვენებლები). თუმცა, ფაკულტეტის დონეზეც, წამყვანი პოზიცია „საშუალო“ გავლენას აქვს (იხ. დიაგრამა #29⁴⁴):

სხვადასხვა საუნივერსიტეტო/საფაკულტეტო სტრუქტურის წევრობა და საპროტესტო აქტივობები

უნივერსიტეტში მიმდინარე პროცესებში ჩართვის და გავლენის მოხდენის ერთ-ერთი გზაა უნივერსიტეტის/ფაკულტეტის მმართველობით სტრუქტურებში (სენატი, ფაკულტეტის საბჭო, სტუდენტური თვითმმართველობა) გაწევრიანება, აგრეთვე, სტუდენტურ ალტერნატიულ ორგანიზაციებში/საინიციატივო ჯგუფებში გაერთიანება. ასევე, პროცესებზე გავლენის მოხდენას ისახავს მიზნად სხვადასხვა ფორმის საპროტესტ აქციებში მონაწილეობა.

⁴³ იხ. დანართი, დიაგრამა #28

⁴⁴ იხ. დანართი, დიაგრამა #29

გამოკითხულ სტუდენტთა აქტიურობა, ზემოაღნიშნული აქტივობების თვალსაზრისით, ასეთია (იხ. დიაგრამა #30⁴⁵):

დიაგრამაზე მოტანილი მონაცემები აჩვენებს, რომ საერთო შერჩევის სტუდენტების ძალზე მცირე ნაწილია ჩართული საუნივერსიტეტო/საფაკულტეტო მმართველობით სტრუქტურებში (სენატის წევრობაზე გამოკითხულთა 1.4% მიუთითებს, ხოლო ფაკულტეტის წევრობაზე – 4.3%). დაბალია სტუდენტურ ალტერნატიულ ორგანიზაციებში გაერთიანების და პროცესებზე გავლენის მოხდენის არაფორმალური მცდელობების - საპროტესტო აქციების, მანიფესტაციების, თუ სოციალური ქსელებით გამოხატული პროტესტის – მაჩვენებლებიც (საშუალოდ 10%).

თუ აღნიშნულ მონაცემებს ცალკეული უნივერსიტეტების ჭრილში განვიხილავთ, აღმოჩნდება, რომ იმ აქტივობების თვალსაზრისით, რომლებიც უკავშირდება საპროტესტო აქციებში, მანიფესტაციებში, თუ სოციალური ქსელებით გამოხატული პროტესტში სტუდენტების მონაწილეობას, შედარებით აქტიური თბილისის და ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტების სტუდენტები არიან.


დეტალურად, გამოკითხვის მონაცემები იხ. დიაგრამაზე #31⁴⁶:

⁴⁵ იხ. დანართი, დიაგრამა #30


⁴⁶ იხ. დანართი, დიაგრამა #31

დანართი


დიაგრამა #1: საქართველოში ხარისხიანი განათლების შესაძლებლობა (N=1151)




დიაგრამა #2: უნივერსიტეტის მიერ უზრუნველყოფილი განათლების ხარისხის შეფასება (MEAN) (N=1151)




დიაგრამა #3: მორგებულია თუ არა უნივერსიტეტში სწავლება სტუდენტების ინტერესებზე - პასუხების გადანაწილება უნივერსიტეტების მიხედვით (N=1151)




დიაგრამა #4: მორგებულია თუ არა უნივერსიტეტში სწავლება სტუდენტების ინტერესებზე (N=1151)



დიაგრამა #5: საბაკალავრო პროგრამების შეფასება (N=1151)




დიაგრამა #6: სასწავლო პროგრამების შეფასების საშუალო ქულები (MEAN)




შენიშვნა: დადებითი და უარყოფითი შეფასებების კონვერტირებს მოხდა 5 ბალიან სკალაზე, რომლის ნეიტრალური წერტილია 3. საშუალო მაჩვენებლები (MEAN), რომლებიც 3-ზე მეტია (MEAN > 3) დადებითი შეფასების „ველში“ თავსდება (მაქსიმალური დადებითი მაჩვენებლით - 5), ხოლო საშუალო მაჩვენებლები, რომლებიც 3-ზე ნაკლებია (MEAN < 3) – უარყოფითი შეფასების „ველში“ (მაქსიმალური უარყოფითი მაჩვენებლით - 1). პოზიცია „მიჭირს პასუხის გაცემა“ არ მონაწილეობს საშუალო მონაცემების განსაზღვრაში.

დიაგრამა #7: სტუდენტთა შეფასების ობიექტურობის მაჩვენებლები (N=1151)




შენიშვნა: დიაგრამაზე მოტანილი ობიექტურობის მაჩვენებლები აერთიანებს ორ პოზიციას: ა) „ძალზე ობიექტურად“ და ბ) „უფრო ობიექტურად, ვიდრე არაობიექტურად“.


დიაგრამა #8: შეფასების სისტემის/პროცედურების გამჭვირვალობის მაჩვენებლები (N=1151)




დიაგრამა #9: მიღებული შეფასების გასაჩივრების (აპელაციის) შესაძლებლობის მაჩვენებლები (N=1151)




დიაგრამა #10: გასაჩივრების (აპელაციის) უფლების გამოყენება უნივერსიტეტების მიხედვით (N=1010)




დიაგრამა #11: აპელაციის შესაძლებლობის გამოყენების სიხშირე (N=282)




დიაგრამა #12: გასაჩივრების შედეგები (N=276)




დიაგრამა #13: სასწავლო კურსების შეფასების მიზნით სტუდენტთა გამოკითხვის სიხშირეები (N=1151)




დიაგრამა #14: სამიზნე უნივერსიტეტებში სასწავლო კურსების შეფასების მიზნით სტუდენტთა გამოკითხვის სიხშირეები




დიაგრამა #15: რამდენად საკმარისია მაგისტრატურაზე მიღებული განათლება დოქტურანტურაში ჩასაბარებლად



დიაგრამა #16: რამდენად საკმარისია ბაკალავრიატი/მაგისტრატურაში მიღებული განათლება კვალიფიციურ სპეციალისტად მუშაობისათვის




დიაგრამა #17: პრაქტიკული კომპონენტები სასწავლო პროგრამებში (N=1151)



დიაგრამა #18: პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავებაზე ორიენტირებული კურსების, ლაბორატორიულ გაკვეთილების ან სხვა პრაქტიკის შეფასება (MEAN) ⁴⁷


N=517




შენიშვნა: დადებითი და უარყოფითი შეფასებების კონვერტირებს ამჯერადაც მოხდა 5 ბალიან სკალაზე, რომლის ნეიტრალური წერტილია 3. საშუალო მაჩვენებლები (MEAN), რომლებიც 3-ზე მეტია (MEAN > 3) დადებითი შეფასების „ველში“ თავსდება (მაქსიმალური დადებითი მაჩვენებლით - 5), ხოლო საშუალო მაჩვენებლები, რომლებიც 3-ზე ნაკლებია (MEAN < 3) – უარყოფითი შეფასების „ველში“ (მაქსიმალური უარყოფითი მაჩვენებლით – 1). პოზიცია „მიჭირს პასუხის გაცემა“ არ მონაწილეობს საშუალო მონაცემების განსაზღვრაში.

⁴⁷ საშუალო მაჩვენებლები დათვლილია იმათგან, ვინც აღნიშნა, რომ მათი სასწავლო პროგრამა შეიცავს პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავებაზე ორიენტირებულ კურსებს, ლაბორატორიულ გაკვეთილებს ან სხვა პრაქტიკას.

დიაგრამა #19: პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავებაზე ორიენტირებული კურსების, ლაბორატორიულ გაკვეთილების ან სხვა პრაქტიკის შეფასება უნივერსიტეტების მიხედვით (MEAN)⁴⁸




დიაგრამა #20: პრაქტიკოსი სპეციალისტების შეფასება უნივერსიტეტების მიხედვით (MEAN)⁴⁹




⁴⁸ საშუალო მაჩვენებლები დათვლილია იმათგან, ვინც აღნიშნა, რომ მათი სასწავლო პროგრამა შეიცავს პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავებაზე ორიენტირებულ კურსებს, ლაბორატორიულ გაკვეთილებს ან სხვა პრაქტიკას.

⁴⁹ საშუალო მაჩვენებლები დათვლილია იმათგან, ვინც აღნიშნა, რომ მათი სასწავლო პროგრამის განხორციელებაში მონაწილეობენ პრაქტიკოსი პედაგოგები.


დიაგრამა #21: უცხო ენების შესწავლის შესაძლებლობა და ამ შესაძლებლობის გამოყენება (N=1151)




დიაგრამა #22: უცხო ენების შესწავლის შესაძლებლობა და ამ შესაძლებლობის გამოყენება უნივერსიტეტების მიხედვით




დიაგრამა #23: უცხო ენების სწავლების ხარისხის შეფასება




დიაგრამა #24: უცხო ენების სწავლების ხარისხის შეფასება უნივერსიტეტების მიხედვით




დიაგრამა #25: სტუდენტთა მომსახურების დონის შეფასება უნივერსიტეტების მიხედვით




დიაგრამა #31: მმართველობით სტრუქტურებში, სტუდენტურ ალტერნატიულ ორგანიზაციებში გაერთიანება და საპროტესტო აქტივობები უნივერსიტეტების მიხედვით




დიაგრამა #26: შუალედური და საბოლოო გამოცდების ადმინისტრირების ტიპები




დიაგრამა #27: სტუდენტთა პრეფერენციები გამოცდების ადმინისტრირების ფორმებთან დაკავშირებით




დიაგრამა #28: უნივერსიტეტში მიმდინარე პროცესებზე სტუდენტების გავლენა უნივერსიტეტების მიხედვით



დიაგრამა #29: ფაკულტეტზე მიმდინარე პროცესებზე სტუდენტების გავლენა უნივერსიტეტების მიხედვით



დიაგრამა #30: მმართველობით სტრუქტურებში, სტუდენტურ ალტერნატიულ ორგანიზაციებში გაერთიანება და საპროტესტო აქტივობები



დიაგრამა #31: მმართველობით სტრუქტურებში, სტუდენტურ ალტერნატიულ ორგანიზაციებში გაერთიანება და საპროტესტო აქტივობები უნივერსიტეტების მიხედვით

